

645
1993

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

●

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

● მარიკა ბარათაშვილი
● ნაზი თარგამაძე
● ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
● ნუცა კვარაცხელია
● ნანული ცაგარეიშვილი
● ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
● ირმა სოფრომაშვილი
● ზინო ჯავახიშვილი
● ნოდარ ჯანელიძე
● ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

საიუბილეო გარეკანი. მხატვარი
ცინარა ტერელაძე

დამფუძნებელი ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".

ჟურნალი გამოდის 1921 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".
ქ. კოსტავას ქ. №14.

„Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia



# ჟურნალ „საქართველოს ქალს", მის ავტორებსა და მკითხველებს!

მივესალმები ჟურნალ „საქართველოს ქალის" ღირსეულ კოლექტივს, მის ავტორებს, ათასობით მკითხველს ჟურნალის სახელოვანი იუბილის — 70 წლისთავის კვირაძალს.

მე არასოდეს დამიმალავს ჩემი პატივისცემა „საქართველოს ქალის" მიმართ, რადგან მიმაჩნია, როგორიცაა ქალი, როგორიცაა ოჯახი, ისეთივეა საზოგადოება. ჟურნალისათვის კი არ არსებობს უფრო მაღალი დანიშნულება, ვიდრე ოჯახის, საზოგადოების ზნეკეთილობის ამაღლება, სულიერი საზრდოს მიცემა ქვეყნის რთული მდგომარეობის გამო მრავალ სხვა სიკეთეს მოკლებული მისი სათნო, გონიერი, მშვენიერი მკითხველებისათვის.

დღეს ყველას უჭირს, მაგრამ ორმაგად მძიმეა ქალის ტვირთი, რომელსაც ბუნებამ განსაკუთრებული მისია დააკისრა და ჭირთათმენის დიდი ნიჭიც უბოძა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციას კარგად აქვს შეგნებული, რომ მოვალეა ტვირთის სიმძიმე შეუმსუბუქოს ქალს, ოჯახს, დაძლიოს იაფფასიანი პოპულიზმის, პოლიტიკით კეკლუცობის ცდუნება, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მრავალი ორგანოსათვის მოდად იქცა, აკეთოს თავისი უშუალო, კეთილშობილი საქმე და სანამ ამას ესოდენი ტაქტით, გემოვნებითა და პროფესიონალიზმით თანამედროვე სტანდარტების დონეზე აკეთებს, დარწმუნებული ვარ, მკითხველის სიყვარული და აღიარება არ მოაკლდება.

სამწუხაროდ, ჩვენი შეჭირვებული ყოფა ნაკლებად იძლევა ზეიმის საფუძველს, მაგრამ სიყვარულისა და პატივისცემის გამჟღავნებას როდი გვიკრძალავს.

მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი უცვლელი გრძნობა „საქართველოს ქალის", მისი სახით კი — ერის ჩინებული მანდილოსნების მიმართ, რომლებიც ასე ღირსეულად ილვწიან საქართველოს უკეთესი მომავლისათვის.

მშვიდობა და ბედნიერება საქართველოს ყველა ქალს, მათ ოჯახებს, ესე იგი, სრულიად საქართველოს!

გულწრფელი პატივისცემით
ედუარდ შევარდნაძე

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

# CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

380005, თბილისი-5, სიონის 4, ტელ. 99-69-30 ✱ 4, SIONI STR. TBILISI-5, USSR. 380005. TEL. 99-69-30

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულით ვულოცავ
ჟურნალ „საქართველოს ქალს"
საიუბილეო თარიღს.

დიდია შენი ღვაწლი ჩვენი ერის სულიერი და კულტურული დონის ამაღლებისათვის გაწეული; დიდია შენი შრომა, რომელიც იგი მიზნად ისახავს, რომ შექმნა და თანამედროვე ქალისა, რომლის ჭეშმარიტი ისტორიული და ეროვნულობისთვის ძალა და გამოჩენილიყო იგი ჩვენს ცხოვრებაში.

ვუსურვებთ ჟურნალს და მის თანამშრომლებს, ბევრ ღვაწლსა და სამშობლოს ღირსეული შვილობა და სათნოების მსახურება.

+ ილია II

ეროვნული ბიბლიოთეკა



## არ ძალმიძს ვდუმდე

რევაზ ჯაფარიძე

# ჰოი, დედანო!

დედა, და, მეუღლე!...

აი, სამი წმიდათა-წმიდა, რომლის წინაშე მუდამ მუხლს იყრიდა ქართველი კაცი და რაზედაც მისი პიროვნული თავისთავადობა, ცხოვრების ფილოსოფია და გარემომცველი სამყაროსადმი დამოკიდებულება იყო დაფუძნებული.

ერის ზნეობას ბალავრად დედის, დის, მეუღლის შეუბღალავი ნამუსი, დედობის, დაძმობის, უღლის ერთგულად გამწევი თანამეცხედრის მადლი ედო.

ეს ტრადიცია ქრისტეს მოძღვრებიდან მომდინარეობდა, დედის მუცლიდანვე მოსდევდა ქართველ კაცს და მოწიფულობაში მის ერთ უმთავრეს მორალურ კრედოდ გადაიქცეოდა.

საქართველოს, მისი მკვიდრი ქართველი ერის გადაგვარება და დამხობა მხოლოდ ამ ზნეობრივი საძირკვლის მოშლას შეეძლო. ეს იცოდა მტერმა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ლამობდა ერის ზნეობისათვის ძირი გამოეთხარა, ლამობდა და ალაგ-ალაგ, ხანგამოშვებით, ამას კიდევაც ახერხებდა. ახერხებდა მაშინ, როცა ძალა ალმართს ხნავდა, ათის წინააღმდეგ ხმალდახმალ მეომარ ქართველ კაცს მტრის გამკლავების ღონე აღარ შესწევდა და თავის უკანასკნელ ციხე-სიმაგრესთან — დედის, დის, მეუღლის ნამუსთან ერთად ეცემოდა.

ამაზე რომ ვფიქრობ, უნებლიეთ მაგონდება კახთბატონი თეიმურაზი, ერთ-ერთი იმ ქართველ მეფეთაგანი, რომელსაც, შეიძლება ითქვას, თანამოძმეთაგან ყველაზე უფრო ტრაგიკული ბედი ერგო. მის ერთგულებაში დაეჭვებულმა თუ შურის მაძიებელმა შაჰ-აბასმა მძევლად შვილი მოსთხოვა და რადგანაც ბაღლი, ბატონიშვილი ალექსანდრე, მცირეწლოვანი იყო, უბედურმა მეფემ პატარას ბებია, დედოფალი ქეთევანი გააყოლა.

ადრე დაქვრივებული ქეთევანი, მეფის დედა და პატარა ბატონიშვილის ბებია, ჯერაც თვალისმომჭრელი მეფური სილამაზით შემკული მანდილოსანი ბრძანდებოდა. თეიმურაზს, ქრისტიანულ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი კაცი, დარწმუნებული იყო, რომ თვით გარყვნილი, ზნედაცემული შაჰ-აბასიც კი მის დედობას, ყველაზე უზენაეს წოდებას, რომელიც შეიძლება ადამიანს ამ ქვეყნად გააჩნდეს, თავისი სიბილწის გამოხატვას ვერ გაუბედავდა და მის წინაშე ქედს მოიდრეკდა.

არ გამართლდა მეფის მოლოდინი. ქეთევანის საარაკო სილამაზით მოხიბლულმა შაჰმა არამცთუ ეს გაბედა, ქეთევანს უწმაწური ქათინაურით მიმართა და როდესაც სიტყვა თავაზიანად ბანზე აუგდეს, შინ დაიმედებულად გამოსტუმრებულს გზაში თავისი კაცები დაახვედრა, უპატიურად შეიპყრო და ყიზილბაშთა ბადრაგის თანხლებით ისპაჰანს გაგზავნა.

განჯაში დაბანაკებულმა ყაენმა, სანამ კახეთს ცეცხლითა და მახვილით შემოესეოდა, მეფეს ახლა ცოლი, თავისი ცოლისდა, მშვენიერი ხორეშანი მოსთხოვა.

განა არ იცოდა ვერაგმა შაჰმა: ამაზე უფრო ქართველი კაცის დამცირება, მისი კაცობის ფეხქვეშ გათელვა შეუძლებელი იყო! მას ჰარამხანაში ჰყავდა თეიმურაზის და ელენე, ქეთევან დედოფალს სარეცელს სთავაზობდა და რადგანაც ეს სურვილი ვერ შეისრულა, ახლა დედოფალ ხორეშანს წაეპოტინა!

თეიმურაზს რომ შაჰის ეს ხვაშიადი აღესრულებინა, ვინ იცის, რა მოხდებოდა, როგორ წარიმართებოდა ისტორია. იქნებ გადარჩენოდა კიდეც კახეთი აკლებას, ათი ათასობით ვაჟკაცი ბრძოლის ველზე სიკვდილს, აქაური ნასოფლარები მეჯოგე ტომების ჩამოსახლებას, ვინ იცის!.. ვინ იცის, არც მაზანდერანი, ფერია და ფერეიდანი აევსოთ სამშობლოდან სამარადისოდ აყრილი ქართველებით!

გამოდის, რომ იმდროინდელი კახეთი და მასთან ერთად ქართლიც თეიმურაზის დედის, დისა და მეუღლის, კახეთის ახალგაზრდა დედოფლის ნამუსის შეუბღალაობას შეეწირა!

ისტორია არ კიცხავს თეიმურაზს ამის გამო. ერთი საყვედურიც არსად გაისმის. არც თანამედროვენი უჩივიან. თეიმურაზი ქართველი კაცი იყო და ისტორიული ტრადიცია, მის სისხლსა და ხორცში გამჯდარი ადათი სხვაგვარად მოქცევის ნებას არ აძლევდა.

საქართველოს წარსული, ახლო თუ შორეული, სავსეა მსგავსი მოვლენებით, რომელიც ამ ერის შვილთათვის საყოველთაო იყო და არც ერთი წოდების პრივილეგიას არ წარმოადგენდა.

დედის, დისა და ცოლისადმი დამოკიდებულებაში წოდებრივი განსხვავება არ არსებობდა. აქ მეფე და ყმა თანასწორნი იყვნენ და ეს არც არავის უკვირდა.

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!..“ შეჰღაღადა პოეტმა ცას და ამით თავისი ყველაზე უფრო წმიდა და სანუკვარი გრძნობები გამოხატა.

მე მინდა, ეს სტრიქონები ყოველი ასაკის ქართველმა ქალმა წაიკითხოს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც სარფის საბაჟოს გავლით მეზობელ თურქეთში სავაჭროდ წასვლა განუზრახავთ.

წერილი ძალზე მაღალ ნოტაზე დავიწყე. ახლა მიჭირს, მიჭირს კი არა, აღარ ძალმიძს დაბლა დავეშვა და სიბინძურეში ხელი ავურიო.

განა ძნელია წარმოსადგენად, როგორ ენგრევათ თავზე ცარგვალი ისტორიის უკუღმართობით სამშობლოს ფარგლებს მიღმა დარჩენილ ქართველებს, როდესაც მემლუქეთიდან ჩამოსული ქართველი დედის, დისა და მეუღლის ზნეობრივ დამდაბლებას უყურებენ? სად არის აქ ტრაგიკული აუცილებლობა?! ეს ხომ ნიშანია ერის დაცემისა, დეგრადაციისა, მისი ზნეობრივი პრინციპების მოშლისა? მაშ, რაღაზე ვდგევართ? იქნებ ეს სულმდაბლობაც „უკანონო ხელისუფლებას“ დავაბრალოთ და პროტესტის ნიშნად ასი ათასიანი მიტინგი გავმართოთ, ანდა რუსეთის დასამშევად სამტრედიაში მატარებლები გავაჩეროთ?

„ჰოი, დედანო!..“ დღეს ეს ამაღლებული სიტყვები სულ სხვა ჟღერადობას იძენს, საყვედურად გაისმის და გულზე ლახვრად ხვდება იმას, ვისაც მტერმორეული სამშობლოს ბედზე, მის აწმყოსა და მომავალზე ერთხელ მაინც უფიქრია და ცალკეული ხეების უკან ტყე დაუნახავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადიული ვალი

ყოველდღიურ ფაციფუცში, არც თუ საამური ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმულები უცებ ჩვენც შევცბუნდით:

— როგორ 70 წელი? უკვე? — და ისევ ნაღვლიანი, თუმც არაფრისმთქმელი, მაგრამ ასეთ შემთხვევებში აუცილებლად სათქმელი სიტყვები: როგორ გარბის დრო!

აგერ გუშინ არ იყო 1974 წლის ნოემბერი?

მაშინდელი სტილის მიხედვით საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული თეატრი. სცენის სიღრმეში პროჟექტორით განათებული წარწერა „საქართველოს ქალი—50".

სიხარული. მილოცვები.

რა გვიხაროდა?

ალბათ, სიცოცხლე. მომავალს იმედის თვალით ვუცქეროდით.

შემდეგი ათი წელიც თვალის დახამხამებაში გავიდა. ის 60 წლის იუბილეც ზარ-ზეიმით ჩატარდა.

რამპის შუქი ირეკლებოდა ჩვენი სათაყვანო ქალების მკერდზე დაბნეულ ორდენებზე, გმირის ოქროს ვარსკვლავებზე.

რა ვქნათ, ესეც ისტორიაა, რასაც იმის მიხედვით ვერ შეცვლი, მოგწონს იგი თუ — არა.

ყოველ შემთხვევაში, იმ ორდენოსან, ვარსკვლავიან ქალებს არაფერი დაუშავებიათ. წვიმასა და ტალახში, წელში წახრილი მუშაობდნენ დაქანცულები, ხელებჩაშავებულები, კალოშებში ფეხწადგმულები, მაინც ყოფნიდათ ხალისი ასეთი დღეებისათვის დალამაზებულიყვნენ, წელში გამართულიყვნენ და ხალხში გამოსულიყვნენ, მორცხვად გაეღიმათ რეპორტიორის ობიექტივის წინ. სჯეროდათ, ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ! და ასეც იყო!

ჩვენი მშვენიერი ქალები!..

...აგერ უკვე 70 წელიც.

ამჟამად, რასაკვირველია, ზარზეიმის, სცენისა და ყვავილების გარეშე.

დღეს საქართველოს მწარე დღეები უდგას, იქნებ ყველაზე მწარეც თავისი არსებობის მანძილზე. აფხაზეთში დაღვრილი ჩვენი საუკეთესო შვილების მოწამეობრივი სისხლი არ აღმოჩნდა საკმარისი თხემით ტერფამდე შეიარაღებული სამთავიანი ურჩხულის დასამარცხებლად. სოხუმი დაეცა, მაგრამ ამ დამარცხებამ ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი. როგორც გამადიდებელ შუშაში, ისე გამოჩნდა ვინ ვინ არის და ვინ რად ღირს. ჩვენი თბილი მიწა ბევრი მომხვდურისთვის იქცა ცივ სამარედ. ისე რომ, გაკვეთილი მწარე მარტო ჩვენთვის როდი გამოდგა.

ამავე ნომერში ნახავთ რეპორტაჟს რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატებიდან, სადაც ვეფხვივით ბიჭებს ორივე ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს, დახედავთ ქალიშვილს, რომელმაც თვალის ჩინი დაჰკარგა. მთავრობა გადადგა (ეს წერილი აგვისტოს მეორე ნახევარში იწერება), პურზე უშველებელი რიგებია. არ არის რძე, კარაქი, საპონი, ოჯახების უმრავლესობას სანატრელი აქვს ხორცი, თევზი, ყველი, ტკბილეული.

ჰოდა, რა გვეზეიმება? რა გვესცენება?

მაგრამ მაინც იმედით ვუცქერით მომავალს, მაინც სიმბოლურად გვეჩვენება, რომ სახელმწიფოს მეთაურმა, ჩვენმა ძველმა კეთილმა მეგობარმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, გამონახა დრო მოელოცა ჩვენი ჟურნალისათვის: გავემხნევებინეთ, მოგვფერებოდა, რადგან, როგორც ბ-ნი ედუარდი ბრძანებს: „როგორიცაა ქალი, როგორიცაა ოჯახი, ისეთივეა საზოგადოება. ჟურნალისათვის კი არ არსებობს უფრო მაღალი დანიშნულება, ვიდრე ოჯახის, საზოგადოების ზნეკეთილობის ამაღლება".

თუმცა იუბილეზე კრიტიკა მიღებული არ არის და ჩვენი მოკრძალებული შრომაც ამ მილოცვაში ღირსეულად არის წარმოჩენილი, ჩვენ მაინც მარადიულ ვალში ვართ ჩვენი მართლაცდა ხათნო, გონიერი, მშვენიერი მკითხველის წინაშე.

ძვირფასო ქალბატონებო, იყავით ჩვენთან, გიყვარდეთ ძველებურად და ჩვენ გავაკეთებთ თქვენი ყურადღების ღირს ჟურნალს.

ჩვენ ერთად გავაკეთებთ ამას, მაგრამ მაინც ვიქნებით თქვენთან მარადიულ ვალში, თუნდაც იმის გამო, რომ თქვენ პურის ლუკმას იკლებთ და გარემოებათა გამო გაძვირებულ ჟურნალს — სულის საზრდოს არ აკლებთ ოჯახს.

ღმერთი გიშველით!

**ნარგიზა მგელაძე**

ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარი რედაქტორი

203 09



# არასოდეს გვენახოს

საკმაოდ ხანიერი ყოფილა „საქართველოს ქალი"... ვულოცავ დაბადების 70-ე წლისთავს და ვუსურვებ, რომ მარადიულად ახალგაზრდა და მშვენიერი ყოფილიყოს.

მინდა „საქართველოს ქალმა" ჩვენს დატანჯულ ქართველ ქალებს გადასცეს ჩვენი, მამაკაცების ასეთი სურვილი:

არასოდეს გვენახოს თქვენი ცრემლიანი თვალები!

და თქვენს ბაგეზე სიყვარულისა და სიმშვიდის ღიმი კრთოდეს სულ მუდამ.

თქვენი **ვახუშტი კოტეტიშვილი**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1993-ის ტრაგიკული

## რა აჭაღარავებს დედებს?

ქალი ომში

ჩვენ ჩვენს მიწა-წყალს ვიცავთ

70

თმაშევერცხლილი ქალი მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მეთაურის, გენერალ გენო ადამიას კაბინეტში ზის. ცხარედ საუბრობენ. ომში დედები ყველაზე მეტად ზარალდებიან. დედისათვის შვილი ფასდაუდებელი განძია და ბუნებრივაა, მისი დაკარგვა თავად სიკვდილზე დიდი ტრაგედიაა. ვიფიქრე, რომელიმე მებრძოლის დედა იქნება, შვილის ამბავს კითხულობს ან სულ სხვა ყოფითი სათხოვარი აქვს მეთაურთან-მეთქი. მოსახლეობას აქ პრობლემებს რა გამოულევს. გენო ადამია სოხუმელებს უსაზღვროდ უყვართ, ენდობიან და აფასებენ მის თავდადებას. გასაჭირსაც, ბუნებრივია, პირველად მას უზიარებენ.

— არ ვიცი, რა ვუყო ამ ქალს! ჩემი მეგობარი კია, მაგრამ, ქვეყანა შემიყარა, — თითქოს ეალერსებაო, ისე თქვა მეთაურმა, — მაინც თავისი [illegible]იტანა. ქალთა ოცეულის შექმნა სურს. თავდაცვის მინისტრსაც კი სთხოვა დასტური.

მეომარი, უნიფორმიანი, ავტომატმომარჯვებული ქალის დანახვა მამაკაცში სასიამოვნო ემოციებს ვერ აღძრავს, რადგან ქალი მაინც ქალია. მას უფრო დიდი მისია, მეომარი ბიჭების აღზრდა ევალება. თუმც ისტორიას შემოუნახავს ფაქტები, ომში ქალების მამაცობაზე. დღეს ჩვენი ისტორია ხელისგულზე გვიდევს, განხეთქილების, ქიშპის, ღალატის, გმირული თავდადების მაგალითებით აღსავსე და რამდენადაც საწყენი და პარადოქსულიც უნდა იყოს იგი, შეუცვლელად მეორდება ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მონაწილეობით.

— ერთი ბებია შერვაშიძე მყავდა, მეორე — ემხვარი. მე თვითონ ანჩაბაძე გახლავართ, — მიხსნის ქალბატონი ლუიზა. მისი ინიციატივით შეიქმნა სოხუმის ბატალიონის ქალთა ოცეული. [illegible] ჩვენს ბიჭებთან ვტრიალებთ, ვურეცხავთ საჭმელს ვუმზადებთ, როგორც შეგვიძლია ვუვლით, სახლში რა გაგვაჩერებს. ამიტომაც გვინდოდა ქალთა ოცეულის შექმნა, ყოველთვის ჩვენს მებრძოლებთან გვერდით დგომა. წინა ხაზზე გასვლისაც არ გვეშინია, იარაღსაც ავიღებთ ხელში.

აქ ბატონი გენო ერევა საუბარში: ქართველებს ჯერ ისე არ გაგვჭირვებია, თქვენ გაგიშვათ საბრძოლველად, ისე კი, ბიჭებს თუ დაეხმარებით და გაამხნევებთ, თქვენთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაცო.

— ჩვენს ოცეულში ისეთი დედებიც არიან, ვისაც ორ-ორი შვილი ფრონტზე ჰყავს გაგზავნილი, სვეტა მარკელიას, ლაურა კოლაბერიას, ლიანა ჩიტაიას შვილები ახლა წინა ხაზზე იბრძვიან, ოცეულში ორი რუსი გვყავს, ერთიც — ბერძენი. მსურველები ბევრნი არიან. ამიტომ მარტო ჩემი ახირება არ იყო ქალთა ოცეულის შექმნა. არა მგონია, ქალებმა მამაკაცებს რამეში ტოლი დაგიდოთ. ნურც სამშობლოს სიყვარულში შეგვეცილებით. ჩვენც შეგვიძლია საკუთარი მიწა-წყლის დაცვა. ერთი საათითაც არ დაგვიტოვებია სოხუმი. არსად გავქცეულვართ, არც ვაპირებთ სადმე წასვლას. რამდენი პირტიტველა ჭაბუკი დაგვიტირნია საკუთარი შვილივით. ახლახან განთიადელი ბიჭი დავასაფლავეთ, მშობლები სოჭში ჰყავს. ჩვენ დავიტირეთ, გავაპატიოსნეთ, ყველაფერი გავუკეთეთ. ამ ბიჭებს, ვინც დღეს იბრძვიან, ახლა სჭირდებათ ყველაზე მეტად დედური მზრუნველობა და ჩვენც, ამიტომ ვართ აქ.

ქალბატონი ლუიზა ნამდვილად არ ჰგავს მეომარს. ის ჩვეულებრივი ქართველი ქალია, უკვე ასაკოვანი. ორი შვილის დედა. ცოტა თამამიც. უბრალოდ ვერც წარმომიდგენია, იგი იარაღით ხელში. ალბათ, არც დასჭირდება. ამ ქალებს უფრო დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ მეომარი ბიჭების გასამხნევებლად, საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად, სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლ ჭაბუკთა მშობლების, დედების დასამშვიდებლად.

მადლობა ასეთ ვაჟკაცთა გამზრდელ დედებს. ისინი თავიანთ შვილებზე არანაკლებ ომში იბრძვიანო, — იტყვის ქალთა ოცეულის მეთაური და ამ სიტყვებში დიდი სიმართლე დევს. ვერსად გაექცევი, ომი ყველაზე მძიმე წისქვილის ქვას დედების თავზე ატრიალებს. უდროოდ აბერებს და ათეთრებს მათ. სოხუმის მეექვსე ბატალიონის ქალთა ოცეულის წევრები ამიტომაც დგანან მწყობრში. სურთ მებრძოლებს იარები დაუამონ, გვერდში ამოუდგნენ და სამშობლოს ზეალმართული დროშის ზიდვაში დაეხმარონ.

**შოთა მაჭარაშვილი**

1993 წ. ივლის-აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაფხული საქართველოში

## ომის ვაება და სიდიადე

1993 წლის ზაფხული ცხელი იყო მთელი საქართველოსათვის.

ცხელი — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა იგი აფხაზეთში, სადაც მთელი წელია მძიმედ ფეთქავს საქართველოს მტკივანი გული. ყველა ნასროლი ტყვია ხომ ამ გულში გაივლის — საქართველოს გულში, ქართველის გულში.

თბილისს თვალი და ყური აფხაზეთისაკენ მიუპყრია.

თბილისი სულგანაბული ელის ინფორმაციას.

სამწუხაროდ, სამშობლო, მისი მთლიანობა დრო და დრო მსხვერპლს ითხოვს. მსხვერპლად, როგორც წესი, საუკეთესონი იწირებიან.

თუ გსურთ თვალნათლივ იხილოთ ომის ვაება და ტრაგიკული სიდიადე — ადამიანთა სულის სიმაღლეში განსხეულებული — ვაჟა ფშაველას გამზირზე, რესპუბლიკის საავადმყოფოში უნდა მიბრძანდეთ. ომის დაწყებიდან 1482 დაჭრილი მეომარი იშუშებდა აქ თავის ჭრილობებს.

აგვისტოს შუაგულში, როცა ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ეს სურათები გადაიღო, იქ 254 მებრძოლი მკურნალობდა.

...ეს ლამაზი ვაჟკაცი ჯამბუ[illegible] ქარდავაა. სოხუმთან ბრძოლებში იგი ნაღმზე აფეთქდა და ორივე ფეხი დაკარგა.

აქ სიტყვები კარგავენ წონას, მხოლოდ ერთს ვიტყვით: თავისი ოჯახისა და თავისი ქვეყნისათვის ჯამბული ყოველთვის იქნ[illegible] გმირობის, სამშობლოსათვის თავგანწირვის მშვენიერი მაგალითი, საბედნიეროდ, — ცოცხალი მაგალითი.

...აფხაზეთში მებრძოლ_ ლია ვაშაკიძეს თვალი დაუზიანდა, მაგრამ ლიას დარდიც გაქრება. იგი ყველასათვის ისეთივე ლია იქნება — მშვენიერი, მამაცი, გამბედავი.

...საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილების ექიმებს სამწუხაროდ, საქმე არ ელევათ.

როცა ეს ფოტოები გადავიღეთ, აფხაზეთში დროებით შეწყვეტილი იყო ცეცხლი. საქართველოში იმედის დღეები დგას. მოლოდინით სუნთქავს საავადმყოფოს ტკივილჩაგუბებული პალატებიც.

დგას 93-ის ცხელი ზაფხული!

**ნათია გვასალია**



ტრავმატოლოგიური განყოფილები[illegible]მგე ოთარ ღლონტი შემოვლაზე.



აფხაზეთში დაჭრილს უმუშავებენ ჭრილობას

დავით იაკობაშვილის ფოტოები.



ლია ვაშაკიძე



ჯამბულ ქარდავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილი რედაქტორის თეო აბაშმაძის გახსენება



# დიდი პიროვნება იყო

ჩვენი ნაცნობობა 1957 წლის მაისში დაიწყო. შინ უცნობმა მანდილოსანმა დამირეკა და მთხოვა მივსულიყავი მასთან პროფსაბჭოში.

ფაშფაშა, მაგრამ საოცრად მოძრავი ქალი შემომეგება. მოკლედ შეჭრილი თმა საფეთქლებთან ტალღებად ადგა. არაჩვეულებრივი წყლიანი თვალები სითბოთი ჰქონდა სავსე. იღიმებოდა და ზემოთ ორი მეჩხერი კბილი საყვარლად მოუჩანდა.

პირველი ნახვისთანავე მეგონა ახლობელს შევხვდი, სადღაც დაკარგულ მეგობარს.

რესპუბლიკური ქალთა ჟურნალის აღდგენა მახარა. 1923 წლიდან გამომავალმა ჟურნალმა 30-იანი წლების ბოლოს არსებობა შეწყვიტა, ახლა თეო აბაშმაძე იყო მისი ერთ-ერთი აღმდგენელი და სულისჩამდგმელი. შემომთავაზა მასთან მემუშავა: „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნებული ნარკვევებით გიცნობთო. დავეთანხმე. თუმცა ვფიქრობდი, როგორ შევეგუებოდი ჟურნალში მუშაობის ტემპს, მე ხომ გაზეთის ოპერატიულობას ვიყავი მიჩვეული.

ნურას უკაცრავად. თეო აბაშმაძე ის რედაქტორი იყო, ვინც ერთ წუთს არ მოასვენებდა მუშაკს, აძლევდა დავალებებს — თემებს, იდეებს. ყოველდღე რომ მიგეტანა წერილი, მზად იყო დაებეჭდა. ასეთი მომთხოვნელობა რედაქტორის საუკეთესო თვისებად მიმაჩნია და ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ მასთან ვმუშაობდი.

შექება უყვარდა. წერილი რომც არ გამოსულიყო, გულს არ გაგიტეხდა.

უტყუარი ალღო ჰქონდა. ისეთ შენიშვნას მოგცემდა, რაზეც თვითონაც გული გეთანაღრებოდა. ახლის გრძნობა მუდამ ჰქონდა. დაჯერებაც იცოდა, ახალგაზრდებისა სჯეროდა და მათ აზრს ანგარიშს უწევდა. ბუნებით ახალგაზრდას, უმცროსებთან მეგობრობა საოცრად ეხერხებოდა. სულში ჩაგიძვრებოდა, ყველაფერს გაგიკეთებდა, მესაიდუმლედ გაგიხდიდა.

საოცარი პიროვნება იყო.

მის მოსაცდელში უამრავი ხალხი ირეოდა. მისგან დახმარებას ელოდნენ, თეოც მათთვის სამართალს ეძებდა და პოულობდა კიდეც, ჩვენ მისი კაცთმოყვარეობის და ჰუმანურობის უნებლიე მოწმენი ვიყავით.

ერთხელ შინ მიმავალს დამემგზავრა, ფეხით გავუყევით რუსთაველს. ქსოვილების მაღაზიაში შევიდა, ოქროსფერზოლებიანი ორი ლურჯი საკაბე გადააჭრევინა და ჩანთაში ჩაიდო. გამომშვიდობებისას ერთ-ერთი იღლიაში ამომიდო და დამაფიცა, შენს დედიკოს წაუღეო.

რაიმეს გაჩუქება კმაყოფილებით ავსებდა.

ჟურნალ „რაბოტნიცას" იუბილეზე მოსკოვში წამიყვანა. დილით ადრე დგებოდა, მეორე ოდახში გადიოდა და მისასალმებელ სიტყვას იზეპირებდა. მოსკოველი კოლეგები დიდ პატივს სცემდნენ. საღამოობით ჩვენთან იკრიბებოდნენ, იყო სიმღერა და მხიარულება. თეო მოლხენის თავი იყო და მოხდენილადაც ცეკვავდა.

ერთ ზაფხულს ათი დღე აჭარაში გავატარეთ მეჩაიეებთან. თეო მათთან ერთად კრეფდა ჩაის და გურიაში გატარებულ ბავშვობას იხსენებდა.

ერთხელ რედაქციაში ცუდად შეიქნა. ჩვენ დავფეთდით და მთელი შენობა ავაწრიალეთ. რომ მოიხედა, თქვა: აწი რომც მოვკვდე, აღარ დავეძებ, როგორ გყვარებივართო.

მოულოდნელად დაიღუპა მეუღლესთან ერთად ავტოკატასტროფაში. მისი სიკვდილი იმდენად წარმოუდგენელი იყო ჩვენთვის, გვეგონა, თეოს გარეშე ჟურნალიც აღარ იარსებებდა. მაგრამ ცხოვრება თავის გზით წავიდა. მისი სახელი კი დარჩება ჟურნალის ისტორიაში.

**ლია კაკაბაძე**



# ერთურთის გატანით

ქალთა საბჭოს ყოველთვის მხარში ედგა „საქართველოს ქალი" და რა თქმა უნდა — პირიქითაც. ერთურთის გატანით, ერთურთის პატივისცემით, შრომითა და რუდუნებით მრავალი სასიკეთო საქმე გაუკეთებიათ და მრავალს კიდევ ეპირებიან...

მიხარია, შესაძლებლობა რომ მეძლევა, მივულოცო ჩვენს ერთგულ მეგობარს საიუბილეო თარიღი. დიდ პატივს ვცემ „საქართველოს ქალს" და მისთვის სიკეთის მეტს რას ვისურვებდი!

დე, იყოს კვლავაც საინტერესო, კვლავაც თავისი შესანიშნავი წერილებითა და კეთილი რჩევებით დახმარება გაუწიოს ჩვენი ოჯახებისათვის, რჩეული მხატვრული მასალით კვლავაც სიამოვნება მოეგვაროს მკითხველისათვის.

წინსვლა და წარმატებები „საქართველოს ქალს!"

**ნინო ჯავახიშვილი**

რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამაგდარი ჟურნალი

ქართულ ცნობიერებაში ქალის ხატება შარავანდედით არის მოსილი, ხოლო მანდილი უზენაესი ნებისა და სიწმინდის სიმბოლოა.

ქართველი ერის ისტორია მდიდარია წმინდანი და გმირი ქალების სახელებით. როცა სახელმწიფო ტახტზე ქალი იჯდა, რაინდულ საქართველოს შინააშლილობა აღარ აწუხებდა.

ქალისადმი თაყვანისცემაა ასახული ქართულ პოეზიასა და ფრესკულ შედევრებში, მატრიარქატი მეფობს ქართული სპორტის, მეცნიერებისა და ხელოვნების სამყაროში.

აგერ 70 წელიწადი გასრულდა, რაც ქართული კულტურისა და ცნობიერების განვითარებას ემსახურება ქალთა ამაგდარი ჟურნალი „საქართველოს ქალი", რომელმაც ღირსეულად დაიმკვიდრა მკითხველთა სიყვარული და საზოგადოებრივი ავტორიტეტი.

„საქართველოს ქალი" მართლაც დედობრივი მზრუნველობით უვლის ქართული სინამდვილის მრავალ საჭირბოროტო საკითხს, სატკივარსა თუ პრობლემას. იგი ოჯახური მოვალეობების მორალურ-ზნეობრივი და ესთეტიკური იდეალებით მოძღვრავს მშვენიერი სქესის სამყაროს.

დიდი პატივისცემით მივესალმები იუბილარ ჟურნალს, ვუსურვებ მის სახელოვან კოლექტივსა და სარედაქციო კოლეგიას, არასდროს ეღალატოს თავისი მაღალი მოწოდებისათვის და მომავალშიც ღირსეულად მოეხადოს ვალი მშობლიური ერისა და ქვეყნის წინაშე.

**შოთა ნიშნიანიძე**





## ჩემო ძვირფასებო!

სულით და გულით მივესალმები ქართველ ქალთა და არა მარტო ქალთა საყვარელ ჟურნალს მისი დაარსების 70-ე წლისთავზე.

ახლა, როცა ასე უჭირს ჩვენს სამშობლოს, ჟურნალს ურთულესი მისია აკისრია — გააძლიეროს, ერთ მუშტად შეკრას დიდი თამარისა და ქეთევანის შთამომავლობა, ახალი მიზნები დაუსახოს მას ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს აშენებლად.

წარმატებას გისურვებთ ამ საპატიო მიზნის მიღწევაში.

თქვენი **გურამ ფანჯიკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქართველი აკადემიკოსი ქალები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად ოთხი ქალბატონი — ანა კალანდაძე, შარიკა ლორთქიფანიძე, ეთერ ქემერტელიძე და თინათინ ყაუხჩიშვილი აირჩიეს. გულწრფელი სიხარულით ვულოცავთ ამ დიდ გამარჯვებას და გთავაზობთ მათთან ინტერვიუებს.

# „როგორ არ შესვას ანამა...“

ივლისის ბუღი. ქალაქის ჩვეული ხმაური, თითქოს ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი, მაგრამ... გზა ქალბატონ ანასკენ, მისი სტრიქონებით მოფარდაგებული ბილიკები, სადაც შეიძლება თავგზაც აგერიოს და მუხლიც მოგჭკვეთოს — აქ ხომ იგი მეუფებს!.. „ყაყაჩოს ღვინო „სალხინო“ როგორ არ შესვას ანამა?!..“ და, გინდა თუ არ გინდა, შენც იმ ჯადოსნური ბახუსით თვრები. „ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო“...



ქ-ნ ანასთან ჩემი სტუმრობის მიზეზი ის არის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მას მწერალი-აკადემიკოსის წოდება მიანიჭა.

ქალბატონ ანას ლექსებმა თავად მოიტანეს, თავად გააცოცხლეს გარდასული გაზაფხულებიც და ზამთრისთვის გადამალული ფერთა აკიდოებიც... დედისადმი მიძღვნილი ლექსი „ჭექდა მაზურკა“ იქცა ჩვენი საუბრის პირველ მეგზურად:

„დედაჩემს — მარიამ სულავას ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. იგი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში.

რამდენიმე რაიონშიც მოუწია მუშაობა; ერთ-ერთი ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ხიდისთავი გახლდათ, სადაც შეხვდა მამას... ერთმანეთისგან ბუნებითაც განსხვავდებოდნენ და იერ-სახითაც: დედა ქერა იყო, მამა — შავგვრემანი, დედა — ხალისიანი და ცოცხალი, მამა-მშვიდი და წყნარი. მე მამას უფრო ვგავარ... საოცარია ალბათ, რომ მასზე არც ერთი ლექსი არა მაქვს. დედმამიშვილებში უფროსი ვარ, მყავს ორი ძმა... პირველ კლასში ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა... მამიდები გვეხმარებოდნენ. დედა საკმაოდ მკაცრი და წესრიგის მოყვარული იყო. არ გვანებივრებდა, — მზე და მთვარე შვილზე რომ ამოსდის, ამას როგორ დავანახებო, — ასეთი თქმა იცოდა. ახლა რომ ვაანალიზებ, უფრო ხევსურის ტიპის ქალი იყო — იქ ხომ სირცხვილადაც კი ითვლებოდა მშობლების მხრიდან შვილის მოფერება.

...დედას წარსულის გახსენება არ უყვარდა მაინცდამაინც... სენტიმენტალიზმი საერთოდ არ ახასიათებდა — ოპტიმისტურად განწყობილი და მებრძოლი ბუნების იყო... მაგრამ ერთხელ, ავადმყოფობის დროს, როგორღაც გადმოგვიშალა გული — „გარდასული დღეთა მოგონებანი“ გაგვიზიარა. ეს გახდა მიზეზი „ჭექდა მაზურკის“ დაწერისა.

ქალბატონმა ანამ დედის და მამის ფოტოები მოიტანა... მართლაც, საუცხოო გარეგნობის ყოფილა დედამისი... „ეცილებოდი თვით სანთელთაც უბრწყინვალეს შუქს“... მისმა სახებამ მახსოვრობის ჭრელ სამეფოდან დიდი ბაბუის ლანდიც გამოიხმო:

„ბებიაჩემი (დედის დედა) მამით პოლონელი იყო, დედით — ქართველი. ჩემი პოლონელი წინაპარი გახლდათ იან ბუძინსკი. ჯარში როცა გაუწვევიათ (მაშინ პოლონეთი რუსეთის ქვეშევრდომი იყო), ჩემს დიდ ბაბუას ქუთაისში მოუწია სამხედრო სამსახური. იგი აქვე დარჩენილა და დაოჯახებულა. მოხუცებულობისას ნანობდა თურმე თავის საქციელს. მის შესახებ ძალზედ ძუნწი ინფორმაცია მაქვს... დედას არ უყვარდა ლაპარაკი, თავის დროზე მეც არ ჩავძიებივარ, ახლა კი ვნანობ... მხოლოდ ის ვიცი, რომ ბაბუა შეძლებული ოჯახიდან ყოფილა და სევასტოპოლის დაცვის მონაწილეც. ბებიას ერთხანს უცდია ნათესავების მოძებნა, მაგრამ იმ დროს პირველი მსოფლიო ომიც დაწყებულა და ეს ოცნება ველარ აუსრულებია მამაშვილს. ორი ქალიშვილი ჰყავდა დიდ ბაბუას, ორივე ქართველზე გაათხოვა... გადმოცემით ის ვიცი კიდევ, რომ ქუთაისის „ფრანგების ეკლესიაში“ დადიოდა თურმე“...

ესაა სულ, რაც ქალბატონმა ანამ მისი ოჯახის შესახებ მიამბო, ხოლო რაც შეეხება მის სამეცნიერო მოღვაწეობას... იგი, ხომ მისსავე პოეზიასთან არის წილნაყარი.

„უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი — კავკასიური ენების სპეციალობით 1946 წელს დავამთავრე. ჩემი ლექსებიც პირველად მაშინ გამოქვეყნდა. მას შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტში ვმუშაობ ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ-მუშაკად. სალექსიკონო მასალების მოსაპოვებლად და შესასწავლად ხშირად გვიხდებოდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში მოგზაურობა. ბატონი არნოლდ ჩიქობავა, რომლის პირადი ინიციატივითაც ეწყობოდა სამეცნიერო მივლინებები, ცდილობდა, რომ „დასავლელებს“ მოგვენახულებინა საქართველოს აღმოსავლური რაიონები, გავცნობოდით იქაურ ყოფას და პირიქით.. ორმოცდაათიან წლებში ასეთი მივლინებით გახლდით გორისა და კასპის რაიონებში, სვანეთში, ფშავში. ამ მოგზაურობებით ჩემი შთაგონება დიდადაა დავალებული“.

ქალბატონმა ანამ გაიხსენა ექსპედიცია ფშავში, სადაც ინსტიტუტის თანამშრომელ ნუნუ საყვარელიძესთან ერთად ფშაური მასალის შესაგროვებლად წავიდა. სოფელ შუაფხოში ოჩიაურები (ამ ოჯახს ადრიდანვე იცნობდნენ) მასპინძლობდნენ.

„ესა თუ ის კუთხე იმისდა მიხედვით გამახსოვრდება, როგორი მასპინძელიც გყავს. ამ მხრივ ჩვენ ზომაზე მეტად გავნებივრდით. ცნობილ მოქანდაკეებს — გოგი და ირაკლი ოჩიაურებს ისეთი დედა ჰყავდათ, მთელი ფშავ-ხევსურეთის სიტყვიერების სალაროს რომ წარმოადგენდა — ქალბატონი ნათელა ბალიაური, ავტორი წიგნისა „სწორფრობა ხევ-

# მომავალი ჩვენია



ჩემო ძვირფასებო, რამდენი ხანია თქვენთან აღარ მისაუბრია. რა დრო გასულა! მაშინდელი გოგონები, რომელთაც დედები ჩვენი ჟურნალის საბავშვო გვერდს გიკითხავდნენ, დაზრდილხართ, დაქალიშვილებულხართ, ზოგი გათხოვილხართ და ზოგსაც უკვე ჩვილი გიჭირავთ ხელში. მომდევნონი — ჩემზე უმცროსნი და ჩემი ტოლნი — ცხოვრების ორომტრიალს ზოგი ძალიან, ზოგიც ნაკლებად დაუღლიხართ და გეჩვენებათ, რომ წლები ულმობლად მიიჩქარიან. გეთანხმებით, მაგრამ რა ვქნათ, უნდა გავუძლოთ. ოჰ, როგორ არ მინდა სიტყვა „ვბერდებით“-მეთქი ვიხმარო, მაგრამ...

ეს ლირიული შესავალი უნებურად, ისე ამოვთქვი... წერილის მთავარი დანიშნულება კი ჟურნალის კოლექტივისა და მისი მკითხველისათვის საიუბილეო თარიღის მილოცვა გახლდათ.

მე ამ ჟურნალში ოცდაათი წლისა მოვედი და მთელი ოცდასამი წელი, ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი პერიოდი, ისე ვემსახურე მას, როგორც შემეძლო. ეს კია (ამაზე „საქართველოს ქალელებიც“ დამეთანხმებიან), რომ არ დამიშურებია არც ძალ-ღონე, არც ცოდნა, ჩვენი ჟურნალი რომ ყოველთვის ღირსეული ყოფილიყო.

მახსოვს, რა ლამაზად, რა ზარზეიმით გადავიხადეთ ჟურნალის 50 და 60 წლის იუბილეები. რა ენთუზიაზმით ვცდილობდით ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. ჩემი ინიციატივით, დიდი მონდომებითა და შრომით გამოვუშვით საიუბილეო ბუკლეტები. როგორ გვიხაროდა, რა ამაყად ვათვალიერებდით მის ყოველ გვერდს. შემდგომში ეს ლამაზად გაფორმებული ბუკლეტები ჩვენი სტუმრებისათვის ერთ-ერთ საამაყო საჩუქრად იქცა.

ახლა სხვა სიტუაციაა. ნახევრად სისხლისაგან დაცლილ საქართველოს აღარ ეზეიმება. ჩემი კოლეგები აღარ ეძებენ დარბაზს საიუბილეო კონცერტისათვის, აღარ ადგენენ ბუკლეტებს (სადაა ქაღალდი)... ომმა დათალხა საქართველო, ბევრმა ჩვენმა მკითხველმა ჩაიცვა ძაძა...

ღმერთო, მიხედე შენს წილხვედრ ქვეყანას და ზავი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ დაიდო, რეალობად აქციე; სასუფეველში ამყოფე ჩვენი მზეჭაბუკების ცაში აფრენილი უმანკო სულები, მზეჭაბუკებისა, რომელთაც ასე სწყუროდათ სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელიც დაუფიქრებლად შესწირეს საფიცარ სამშობლოს.

ვიცი, ჩემო ძვირფასო კოლეგებო და მკითხველებო, ამ მილოცვას სიხარულის აფრები აკლია, მაგრამ გულით გილოცავთ თქვენც და ჩემს თავსაც (რამეთუ კვლავ „საქართველოს ქალის“ კოლექტივის წევრად ვრაცხ თავს), ამ მართლაც მრავალმხრივი, საინტერესო, ყველასათვის ცოდნისა და გამოცდილების გამზიარებელი ჟურნალის სამოცდაათ წლისთავს.

გილოცავთ, ჩემო კარგებო, „მომავალი ჩვენია!“

**ნანული ცაგარეიშვილი**

სურეთში“, ცნობილი მწერლის ლადო ბალიაურის და. ბატონი ალექსი ოჩიაურიც — მათი მამა, განათლებული კაცი გახლდათ, პედაგოგი, ხევსურეთზე გამოცემული მრავალი ეთნოგრაფიული ნაშრომის ავტორი. ფაქტიურად, არც გვიხდებოდა მასალის შესაგროვებლად შორს წასვლა-მოსვლა. ეს ოჯახი ფოლკლორის შეუდარებელი წყარო იყო. სულ ერთი თვე დავყავით შუაფხოში. ქალბატონ ნათელას წყალობით ბოლოს აღმოჩნდა, რომ მოძიებული მასალიდან ხევსურული სჭარბობდა ფშაურს.

იქ ყოფნისას ვესტუმრეთ პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთსაც. ძმების — ოჩიაურების უფროსი და გახლავთ დედიკა (მარო) ოჩიაური, ბოტანიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. იგი იყო ჩვენი მეგზური. რამდენჯერ ბეწვის ხიდზე გაგვივლია ერთად და ბედად გადავრჩენილვართ სიკვდილს“.

ქალბატონი ანა დღესაც შშვიდად ვერ იხსენებს, როგორ გავიდნენ ადიდებულ არაგვში ცხენებით, როცა მდინარეს ხიდიც კი წაელო; ანდა — ჭიუხებში როგორ ბედად ასცდნენ ლოდების ცვენას, ერთხელ კიდევ, საბარგო მანქანით მგზავრობისას, როგორ გადატყდა მანქანის ღერძი და როგორ მიექანებოდნენ არაგვისაკენ თავდაღმა... მაშინაც როგორ სასწაულად გადარჩნენ თურმე...

„დედიკა ბუნების მესაიდუმლე გახლავთ, ფშავ-ხევსურეთის ყველა ბილიკი ზეპირად იცის, სად რომელი ყვავილი და ბალახი ხარობს... ახლა უკვე ასაკშია და სიარული აღარ შეუძლია, გული კი ისევ იმ მთებისაკენ მიუწევს... ერთხელ, [illegible] როშკის წყლის ნაპირას და გაღმიდან ვიღაც გვიყვირის. წყალი ისეთი ზათქითა და გრიალით მოდიოდა, მიწას არყევდა. მის ხმაურში კაცი რას გაგაგონებდა!... დედიკამ მიწას ყური დაადო და მოისმინა, თუ რას გვიყვიროდა ის კაცი. ასეთი ფაქტის მოწმე ხშირად გავმხდარვართ. დედიკა ჩვენთვის აღმოჩენა იყო“.

ფშავი და ხევსურეთი მუზების ის წმინდა ნაკადულია, რომელზეც ქალბატონ ანას უამრავი შედევრი შეუქმნია და საუბარსაც ანდამატი არ ელევა... თუმცა ბევრი რამ მაინც უთქმელი რჩება... „არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ წელამდეა სათიბები“...

...და ბოლოს, დავუბრუნდეთ ჩვენს არალირიკულ სინამდვილეს — ნირშეცვლილ საქართველოს. სადაც „მთა კვნესის და ცაიც გულდაკოდილია, ჩემო კარგო, მტკვარიც გულდაკოდილი“... ეს ლექსი 1945 წლით არის დათარიღებული და თითქოს დღეს ეთქვას ქალბატონ ანას.

...და მაინც, დღეს რას ფიქრობს ქალბატონი ანა? — „უდიდესი სიკეთეა სახელმწიფოსათვის ერთსულოვნება... ელადაში მოქმედებს კანონი, რომ მოქალაქეებმა ერთსულოვნების ფიცი დადონ ხოლმე და, მართლაც, ყველანი დებენ ამ ფიცს. ერთსულოვნების გარეშე არც სახელმწიფოს მართვა შეიძლება და არც ოჯახის გაძღოლაო. — ბრძანა ბრძენმა სოკრატემ. გაჩნდა ჩვენში იმედის ნაპერწკალი: ბოლოს და ბოლოს, დავინახეთ საერთო მტერი და ერთმანეთის მხარში ამოდგომას ვცდილობთ! მხოლოდ ასე თუ ვიხსნით ჩვენს გაწამებულ ქვეყანას“.

დიახ, პოეტი თავის ქვეყანაზე ფიქრობს.

ეს ფიქრი მომაცილებს და ვერც ვამჩნევ როდის გადავდივარ ღიღინზე:

„ყაყაჩოს ღვინო „სალხინო“
როგორ არ შესვას ანამა...“

**რუსუდან ბაბროშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

განვაგრძობთ ახალგაზრდა დედების შეკითხვებზე პასუხების გაცემას. კონსულტაციას გაგიწევთ ექიმი მიროსლავ მატოუშეკი.

**— როცა დიათეზზე ვსაუბრობდით, თქვენ თქვით, გამონაყარი, შესაძლოა, ეგზემისა იყოსო. რა არის ეგზემის გამომწვევი მიზეზი?**

— ეს არის გამონაყარისადმი მემკვიდრეობითი მიდრეკილება. უშუალო მიზეზი კი გახლავთ ზედმეტი მგრძნობიარობა სხვადასხვა, მათ შორის მავნე ნივთიერებებისადმი. ზოგი ზედმეტად მგრძნობიარეა განაკაწრის, კანის გადაყვლეფის, ოფლის, ზოგი კი სხვადასხვა გამღიზიანებლის, მაგალითად, მატყლის, ბუმბულის, ყვავილების, საპონიტების, სადეზინფექციო საშუალებების მიმართ. ეგზემა შეიძლება საჭმელში შემავალმა ზოგმა კომპონენტმაც გამოიწვიოს. ხშირად ეს არის სურნელოვანი ხილი: მარწყვი, ატამი, ჭერამი, ანანასი, ციტრუსები ან ძალზე არომატული საჭმელი. მაგრამ ხანდახან ისეთი რამეც იწვევს ეგზემას, რაც თითქოს სრულიად ნეიტრალური და უვნებელია. მაგალითად, ფქვილი ან კვერცხი. საინტერესო ფაქტია — ახლახანს დედის რძეში აღმოჩნდა ნივთიერება, რომელიც ამცირებს ზემოთნახსენებ ზემგრძნობიარობას. ყველაზე რთულად მაშინ არის საქმე, როცა ჩვილი ზემგრძნობიარობას იჩენს ძროხის რძის მიმართ. ექიმები ვცდილობთ გამოვრიცხოთ ჩვილის საკვებიდან ყველაფერი, რაც მას აღიზიანებს, მაგრამ თუ რძის მიმართაც ასე მოხდა, მაშინ რაღა ვაჭამოთ? ერთადერთი გამოსავალია ჩვენთვის უჩვეულო სოიოს რძე.

საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ბავშვი ზემგრძნობიარობას ერთდროულად იჩენს რამდენიმე საკვების მიმართ. ყველაფრის გამორიცხვა რაციონიდან ასუსტებს ორგანიზმს. ამიტომ დიეტის დაცვას უკვე სხვაგვარად ვუდგებით, რადგან ვიცით, მარტო დიეტის დაცვით ეგზემა არ განიკურნება.

**— მაშ რითი ვუმკურნალოთ?**

— უპირველესად უნდა ეცადოთ კანი არაფრით გაუღიზიანოთ. ოფლიანობის თავიდან ასაცილებლად ბავშვს მსუბუქად ჩააცვით, მოერიდეთ შალს, ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილებს. ბავშვის ტანსაცმელს და თეთრეულს ფხვნილით ნუ გარეცხავთ. ეგზემის დროს ბავშვს სხეული ძალიან ექავება და ვერც შეგონებით უშველით საქმეს. ხელები და ფრჩხილები აბსოლუტურად სუფთა უნდა ჰქონდეს. ხელებზე კი წამოაცვით მსუბუქი მატერიისგან შეკერილი ხელთათმანები და მიაბით საწოლის კიდეებს. დიდი სიფრთხილე თუ არ გამოიჩინეთ, პატარა მაინც მოახერხებს დაბანის ან ჩაცმის დროს დაიკაწროს ის ადგილები, რომლებიც ექავება.

**— ასეთი გამონაყარის დაბანა თუ შეიძლება?**

— შეიძლება კი არა, აუცილებელიცაა კვირაში ორჯერ მაინც ჩამობანოთ წამლის ნარჩენები, ოფლი. ეგზემა ვერ იტანს ჩვეულებრივ საპონს, ამიტომ ბავშვი დაბანეთ ანადუღარ წყალში ან გვირილის, ხორბლის ღეროებისა და კარტოფილის სახამებლის მსუბუქ ხსნარში. თუ კანი ძალიან გაღიზიანებული აქვს, კვირაში ერთხელ აბანავეთ. მალამოს ნარჩენები შეიძლება მოაცილოთ ზეთიანი ბამბით, ან ღია ფერის მანგანუმის ხსნარით. თუ ძალიან მშრალი კანი აქვს, დასაბან წყალში ამატებენ რამდენიმე კოვზ აუდუღარ რძეს.

ეგზემიანი ბავშვის ბანაობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უმჯობესია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ექიმმა გირჩიოთ, როგორ მოიქცეთ.

ეგზემის მკურნალობა მეტად რთულია, რადგან ის მეთოდი, რაც, ვთქვათ, ათ ბავშვზე საუკეთესო შედეგს იძლევა, მეთერთმეტეზე გაუარესებას იწვევს.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ეგზემის შორს წასულ ფორმებს ეხება, თქვენს ბავშვს კი მხოლოდ მსუბუქად გაღიზიანებული კანი აქვს.

**— მზეს მოვარიდოთ?**

— წინასწარ ვერასოდეს იტყვი ბავშვის კანს მზეზე რა მოუვა. ეგზემათა უმრავლესობა ზაფხულობით წყნარდება, ჩანს, მზე ცუდად არ მოქმედებს. მაგრამ მზეზე მისი უკონტროლოდ დატოვება არ შეიძლება. გამონაყარი კანი უფრო მგრძნობიარეა და მისი გაღიზიანება კარგს არაფერს მოგვცემს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეგზემიანებისათვის კარგია მთაში ან ზღვის პირას დასვენება.

**— დღეს უნდა აუცრან. ძალიან პატარა ხომ არ არის?**

— პირიქით, რაც უფრო პატარაა, აცრას უკეთ გადაიტანს. დღეს ერთად ცრიან დიზენტერიას, ყივანახველასა და გაშეშებაზე (ტეტანუსი). ეს ერთი ნემსით კეთდება 3 თვის ასაკიდან. აცრა არ გამოიწვევს დაავადებას, პირიქით, ორგანიზმი გამოიმუშავებს დამცავ ნივთიერებას — ანტისხეულებს.

მხოლოდ იმ ბავშვებს, რომლებიც იმ მომენტში ავად არიან, ან კრუნჩხვები და ნერვული დაავადებანი ჰქონდათ, აცრისას მეტი სიფრთხილე მართებთ.

**— აცრის შემდეგ ამ ავადმყოფობებისაგან სამუდამოდ თუ მაინც არიან დაცული?**

— სრულ გარანტიას ერთხელ აცრა არ იძლევა, ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ ხელახლა ცრიან. ეს წესი აუცილებლად უნდა დაიცვათ, აცრის თარიღი კალენდარზე ან უბის წიგნაკში ჩაიწეროთ. სამივე ეს ავადმყოფობა ფრიად საშიშია სიცოცხლისათვის და ის მშობლები, რომლებიც აცრას ხელს უშლიან, დიდ რისკს ეწევიან, რადგან უმძიმესი ავადმყოფობა გაშეშება („სტოლბნიაკ“) შეიძლება უბრალოდ მუხლის გადაყვლეფისას დაემართოს ბავშვს, თუკი ის აცრილი არ არის.

**— შპრიცის დანახვაზე შიშის კანკალი ამიტანს ხოლმე. პატარას კი ალბათ ათჯერ მეტად ტკივა.**

— წარმოიდგინეთ, რომ არა. ძუძუთა ბავშვს ტკივილისადმი მგრძნობიარობა ბევრად დაბალი აქვს და უჩვეულო გარემო რომ არ აშინებდეს, სულაც არ იტირებდა.

და თუ ბავშვს შიში უვითარდება, უთუოდ მშობლების ბრალია, რადგან ისინი ზედმეტად დრამატიზებულად აღიქვამენ ყოველივეს, შეშფოთებული ლაპარაკობენ აცრაზე ბავშვის თანდასწრებით და ა. შ.

რაც უფრო ჩვეულებრივად, მშვიდად მოვიქცევით, მით უკეთესია ბავშვისათვის, რადგან დედის შეშფოთება ბავშვზე ინსტინქტურად გადადის, რაგინდ პატარა იყოს იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიკა ბარათაშვილი 1966 წელს მოვიდა „საქართველოს ქალის“ რედაქტორად — უკვე ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სამი შვილის დედა და ერთი შვილიშვილის ბებია, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 55 წლისა. 26 წელი დაჰყო ჩვენთან. თუ რა დიდი სკოლა იყო მასთან მუშაობა და თანაც სასიამოვნო, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

# და კვლავ ვეძებ საპოვნელას...

**— ქალბატონო მარიკა! წელს თქვენი დაბადების მნიშვნელოვანი თარიღი ჟურნალის დაარსების 70-ე წლისთავს დაემთხვა. თქვენ ჟურნალის შესამე იუბილის მონაწილე ხდებით. როგორია თქვენი განწყობილება?**

— მძიმე, მე ვიტყოდი, ძალიან მძიმე.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით უზომოდ შეწუხებულს, თითქმის აღარაფერი მახარებს. აფხაზეთში მიცხოვრია, იქ სახლი მქონდა, აფხაზებთან ვმეგობრობდი და დღეს კი... არ მეგონა, თუ ამ დღეს მოვესწრებოდი. ამიტომ ჟურნალის იუბილეც გამიფერმკრთალდა...

**— ხშირად გითქვამთ: წინაპარი არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ ხსვა ყველაფერიო. მერედა, რა გეხმარებოდათ შეგენარჩუნებინათ სიმხნევე?**

— ალბათ, სიცოცხლის დიდი სიყვარული, ჩემი ქვეყნისადმი თაყვანისცემა, ადამიანებზე ზრუნვა.

ათი წელი მძიმე ავადმყოფ ქმარს და ლოგინად ჩავარდნილ მამამთილს ვუვლიდი. ორი პატარა შვილი კალთაზე მეწეოდა. ქმარი და მამამთილი ერთდროულად დავასაფლავე.

ერთადერთი ძმა — პოლიტიკური პატიმარი, შორეული გადასახლებიდან მძიმე ავადმყოფი დამიბრუნდა და მალევე გარდაიცვალა. მამა, როგორც ყოფილი მღვდელი და პოლიტპატიმრის მამა, გამუდმებულ დევნა-შევიწროებას განიცდიდა. დედა, რაც თავი მახსოვს, ბავშვებს ვერ გვეფერებოდა, ტუბერკულოზი არ გადავდოო.

მაგრამ შინაგანი ძალა ყველაფერს მაძლევინებდა, სიცოცხლის სიყვარულს არ ვკარგავდი, ის კი არა, სხვასაც ვამხნევებდი.

**— თქვენი სულიერი მხნეობის ფესვები ალბათ უფრო შორს უნდა ვეძიოთ, თქვენს ბავშვობაში.**

— ჩემს სულიერ ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა პაპაჩემმა შიო მღვიმელმა და იმ „ხუთშაბათობებმა“, რომლებიც ჩვენს ოჯახში იმართებოდა და რომელზეც ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები იკრიბებოდნენ.

ვცხოვრობდით ჭიათურაში. იქვე ვსწავლობდი. ზაფხულს კი ნავარძეთში ვატარებდი ბებიასთან. მე მაოცებდა მისი განსწავლულობა. იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, უამრავი ხალხური ლექსი. ბალახებისგან ამზადებდა წამლებს. ღარიბთა და უპოვართა დასახმარებლად ნიადაგ შემართული იყო. ხალხის სიყვარული და დახმარების წადილი მისგან გადმომედო.

**— რაზე წერდით პირველ ლექსებს?**

— ყველაფერზე, რაც მახარებდა ან მაწუხებდა. სევდიანი ლექსების უმეტესობა ძმას მივუძღვენი.

**— რა გახდა ისეთი პოპულარული ლექსის დაწერის საბაბი, როგორიცაა „საპოვნელა?“**

— „საპოვნელამ“ მართლაც ბევრის გულში დაიდო ბინა. მის პოპულარობას არჩილ კერესელიძის მუსიკამაც შეუწყო ხელი... ეს მარჯნისფერი ყვავილი პირველად ზემო იმერეთის სოფელ ბერეთისაში ვნახე. მითხრეს, გოგოები ამ ყვავილს სურვილების ახდენას და სატრფოს პოვნასაც თხოვენო. და დაერქვა კიდეც მას საპოვნელა.

**— ლექსებიდან პიესებზე გადახვედით. შემდეგ ისევ ლექსებს მიუბრუნდით. იქნებ, პიესებისადმი ლტოლვა „ჭრიჭინას“ პოპულარობამაც განაპირობა? იგი ხომ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების მრავალზე მრავალ სცენაზე იდგმებოდა. ასეთი პოპულარობა იქამდე არცერთ პიესას არ რგებია.**

— ლექსების რამდენიმე კრებული მაქვს გამოქვეყნებული. ლირიკული, ე. წ. პუბლიცისტური ლექსებიც. დრამატურგიაში პრობლემის დასმის და გადაწყვეტის მეტი საშუალებაა. ამიტომაც მიზიდავს იგი. ჩემი 11 პიესიდან 10 დაიდგა. მათგან ზოგი მეტად გახმაურდა, ზოგი — ნაკლებად. „ჭრიჭინას“ განსაკუთრებული ბედი ერგო.

გადასახლებაში ეტაპით მიმავალ ლევან გოთუას რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში წაუკითხავს „ჭრიჭინას“ აფიშა. თქვენმა სახელმა და გვარმა ისეთი ძალა მომცა, ძლივს რომ მივლასლასებდი, წელში გამასწორაო.

**— თქვენ ღირსეული შვილები გყავთ. როგორ ზრდიდით მათ?**

— გულახდილობისა და სიამტკბილობის ატმოსფეროში ვზრდიდი, ვაგრძნობინებდი, რომ ისინიც პიროვნებები არიან, რომელთაც შეიძლება ენდო. მათი მზრუნველობა ჩემდამი, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, იმდენად დიდია, რომ ვწუხდები კიდეც.

**— უფროსი თაობის ადამიანები სიამოვნებით იგონებენ, როგორ „დაიპყარით“ დარბაზი გალაკტიონისა და გრიშაშვილის საიუბილეო საღამოებზე, მოსკოვის დიდ თეატრში, ლესია უკრაინკას საღამოზე მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას.**

— ხალხმრავალ აუდიტორიაში გამოსვლები არასოდეს მაფრთხობდა, პირიქით, ამანთებდა ხოლმე და სათქმელს უკეთ წარმოვთქვამდი. გაუთავებლად მირეკავდნენ ნაცნობ-უცნობები მაშინაც, როცა დეპუტატმა სესიაზე ჩემი საქართველოს ინტერესებისათვის ვილაპარაკე. სწორედ დეპუტატობის დროს დავეხმარე ჩემს გაჭირვებულ სოფელს — გავაყვანინე წყალი და შუქი, ავაშენებინე სკოლა, გავახსნევინე საექიმო პუნქტი, რამდენადაც შემეძლო, სხვებსაც ვეხმარებოდი.

სიკეთემ მომცა სწორედ სიცოცხლის ძალა. ვერაფერი მოგგვრის ადამიანს ისეთ სიხარულს, ისეთ სულიერ კმაყოფილებას, როგორც სიკეთის ქმნა.

**— რა გიზიდავთ ყველაზე მეტად ადამიანებში?**

— სიკეთე.

**— როგორც რედაქტორი, რას აფასებდით თანამშრომლებში?**

— ნიჭს, პატიოსნებას, პირდაპირობას.

**— თქვენს დღევანდელ ლექსებს ასაკი არ ეტყობა, წერთ ისე, როგორც დაბრძენებული ახალგაზრდა. მკითხველს უხარია თქვენი ხმის გაგონება... და კვლავ ელის მას. მომავალში რით გაგვახარებთ?**

— ვასრულებ ლექსების ახალ ციკლს. მას „ტკივილიანი ლექსები“ დავარქვი და დღევანდელ საქართველოს მივუძღვენი. სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია, ჩემი დიდი სურვილია მალე ვიხილო სამშობლო გაერთიანებული და ბედნიერი. ასე რომ, კვლავ დავეძებ საპოვნელას.

ესაუბრა ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





# რამდენია მოსაგონარი

ოცდაჩვიდმეტი წელი, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი „საქართველოს ქალის“ რედაქციაში ვიმუშავე. ჟურნალის ყველა სიხარულმა და ტკივილმა ჩემს გულშიც გაიარა. მრავალი მოგონება მაკავშირებს მასთან.

## ხელმეორედ გაბედნიერებულები

რედაქციაში ყოველდღე მოდის წერილები. ადამიანები, როგორც საუკეთესო მეგობარს, ისე გვიხსნიან გულს და ჩვენგან ელიან შველას. თუმცა რედაქციაში მხოლოდ წერილები როდი მოდის...

ახალგაზრდა კაცი მოვიდა, აღშფოთებული და ფერდაკარგული.

— ცოლი წამართვეს, — თქვა და მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

— როგორ?! — შეიცხადა ქალბატონმა მარიკამ.

— სიყვარულით შევუღლდით. იმერლებმა იუკადრისეს, როგორ თუ მაიკო ჩვენს დაუკითხავად გათხოვდა, თან კახელს გაჰყვაო! ექვსი თვე ისე გავიდა, შვილი არ მოუკითხავთ და უცბად მაიკოს დედა გვესტუმრა. მითხრა, მაიკო ფეხმძიმედ არის, ასეთ დროს სხვანაირი ხელშეწყობა უნდა. წავიყვან თბილისში, მამას და ძმასაც შევარიგებ, მერე ჩამოაკითხე და წამოიყვანეო.

ორი კვირის მერე ჩავაკითხე. სახლში არ შემიშვეს და მითხრეს: ამიერიდან შენ ცოლი აღარ გყავსო.

სპეციალობით ინჟინერი ვარ, თითით საჩვენებელი ოჯახი მაქვს. გარეგნობით კი, ხედავთ, რაცა ვარ, — თქვა და თავი ჩაღუნა. მშვენიერი ბიჭი იყო.

მაშინ მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ ნანული ცაგარეიშვილი მუშაობდა.

მეორე დილით მე და ნანული მთაწმინდის აღმართს ავუყევით.

— ვინ დაიჯერებს, პირველი კაცის ცოლი ამ კორტოხზე ფეხით რომ ადიხარ, — დაქანცული ხმით ვეუბნები ნანულის.

— აბა, აბა, — გვეცინება ორივეს.

ოფლში გახვითქულებმა კითხვა-კითხვით მივაღწიეთ იმერლიშვილების სახლამდე. რომ გაიგეს, საიდან ვიყავით და რა საქმეზე, თავი გაიგიჟეს, დედა, მამა, ძმა თუ დეიდა ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ლანძღავდნენ სიძეს:

— დედამთილი ჩემს უმაღლესდამთავრებულ ქალს ერთ კილომეტრზე აგზავნიდა თურმე წყლის მოსატანად, — ყვიროდა მამა.

— ახლადმოყვანილ პატარძალს „დედაკაცოო“, — დაუძახა ქმარმა. ვინ არის მაგის დედაკაცი, როგორ გაბედა, როგორ? — კაპასობდა დედა.

გაცეცხლებულები ჩვენსკენ მოიწევდნენ, ლამის თვალებში გვთხრიდნენ თითებს.

შემეშინდა უარესი შეურაცხყოფა არ მოგვაყენონ-მეთქი და გაბრაზებულმა ვთქვი:

— თუ იცით, ვის უქნევთ თითებს? იცით, რომ ეს ქალბატონი ედუარდ შევარდნაძის მეუღლეა?

ნანულიმ თვალები დამიბრიალა, მაგრამ მოსახდენი მოხდა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, მეგონა ენა გადაყლაპეს.

დრო ვიხელთე, აცრემლებულ მაიკოსთან მივედი და ვკითხე:

— გიყვარს ქმარი?

— მიყვარს და ძალიანაც მენატრება!

ნანულიმ ყური მოკრა ქალის ნათქვამს, წამოდგა, საქციელწამხდარ მახპინძლებს მოეფერა და მამას დაუბარა:

— ხვალ დილით მაიასთან ერთად რედაქციაში მობრძანდით!

დილით მამამ მართლა რედაქციაში მოიყვანა მაია. მაიას ნანულის კაბინეტში უცდიდა ქმარი. ვიდრე მამა რედაქტორთან საუბრობდა, მშობლების მიზეზით დაცილებულებს, ახლა ხელმეორედ გაბედნიერებულებს რედაქციიდან გზა დაულოცეს...

## ღმერთი გადაგიხდით!

ქალი იჯდა ცრემლგამშრალი და სასოწარკვეთილი ჰყვებოდა:

— მიყვარდა ვაჟი, რომელიც სიწმინდისა და სიძლიერის განსახიერებად მიმაჩნდა. მეგონა, მასაც ვუყვარდი, უჩემოდ სიცოცხლე არ შეეძლო და მეც მივენდე... სიყვარულით გაბრუებული ქორწინებაზე არც ვფიქრობდი. ერთ დღეს ვიგრძენი, დედა რომ უნდა გავმხდარიყავი. მეგონა ისიც სიხარულით გაგიჟდებოდა, მაგრამ მალე მივხვდი, უსუსურ, სულმდაბალ კაცუნასთან მქონია საქმე.

იმ დღიდან გაუჩინარდა ჩემი დამღუპველი...

ბავშვი სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე — გოგო შემეძინა. მშობლებმა სახლში არ შემიშვეს. ახლა არც სახლი მაქვს და არც სამსახური. თავი ვერ მოვიკალი. საბავშვო სახლში მივიყვანე ჩემი გოგონა, იქნებ ვინმემ იშვილოს და ბედნიერი იყოს-მეთქი. მაგრამ ღამეები არ მძინავს, სულ ბავშვის ტირილი მესმის, მეშინია, არ გავგიჟდე...

ნანული შვილივით მოეფერა ქალს:

— ცხოვრება წინა გაქვს, ჯერ კიდევ შეიძლება, ბედნიერი იყო. ახლა წადი და ინახულე. შვილის დაკარგვას ვერასოდეს აპატიებ საკუთარ თავს. ჩვენც მხარში ამოგიდგებით, დაგეხმარებით.

ნანული ისე გულმხურვალედ ელაპარაკებოდა, ქალის თვალებში იმედის სხივმა გაიელვა.

მთელი რედაქცია დადგა ფეხზე. თავად ნანულიმ ჩასაცმელთან ერთად ჩვილისათვის საბანი და ლეიბიც შეაკერინა. ირმა ჩოფიკაშვილმა, ლია კაკაბაძემ, ცინარა ტერელაძემ და ნანული ბუკიამ დატენილი ფუთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიტანეს. იმდენი თეთრეული და ბავშვის ტანსაცმელი დაგროვდა, მირცა კალანდაძემ იხუმრა, — ასეთი საჩუქრების იმედით ამ სიბერეში მეც გავაჩენდი შვილსო.

რედაქტორმა სართიჭალის მეურნეობის დირექტორს დახმარება სთხოვა, რომელმაც ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ქალს ბინაც მისცა და საბავშვო ბაღში მომვლელადაც მოაწყო.

მერე იმ ქალის წერილი მოვიდა: „ქალბატონო ნანული, თქვენი და რედაქციის მუშაკების სიკეთე მუდამ მემახსოვრება. თქვენი სიყვარულით ნანული დავარქვი ჩემს პატარას. ღმერთმა ქნას, თქვენნაირი გულმოწყალე და სათნო გაიზარდოს. თქვენს პატივისცემას ვერასოდეს გადავიხდი. მაგრამ ღმერთი მაღალია და გადაგიხდით"...

## ჭორი

— არ ვიცი საიდან გაჩნდა ეს ჭორი, რომელიც ჯერ ტექნიკუმს მოედო, მერე — სოფელს. სამუშაოდან უდანაშაულოდ დამითხოვეს და სოფელმაც ზურგი შემაქცია. თუ თავი ვერ ვიმართლე, სკოლის ეზოში ჩამოვიხრჩობ თავს, — ქალი კი არ ტირის, თვალებიდან წვიმასავით ასხამს ცრემლები და კაბის უბეს უსველებს.

ყველანი ძალიან ავღელდით.

ნაზი კილასონია და მე კახეთში მივგავლინეს.

მაინც რა ლამაზია ეს დალოცვილი კახეთი... გული ხალისით ამევსო, ნაზის კი მუზა მოშგვარა. თურმე ნაზის მუზა რომ ეწვევა, მთელი ღამე არ სძინავს.

სასტუმროში დასაძინებლად მოვეწყვე და მესმის:

„მე ვტირი, ვმღერი, ვიცინი, ვკვნესი,
და როგორც სული, ამომდის ლექსი".

ნაზის ლექსის მოსმენას რა სჯობს, მაგრამ მაინც ვეხვეწები:

— ხვალ საქმე გვაქვს, დამაძინე. შენც არ მომიკვდე...

„ოღონდ გახსოვდეს, დამწვი, დამნაცრე,
შენთვის აჯად და ლოცვად მოფენილს.
შენ ლექსი მომეც, მე კი სანაცვლოდ
და ისიც ტანჯვით, სული მოგეცი.
ოდეს ეგ ბასრი მზერა მზარავდა, —
მე შეყვარებულ მკერდით გისუნთქე.
ჰო, ამაშია ჩემი ძალა და
მშვენიერი ჩემი სისუსტე".

ლექსებით ვაბრუებულს თავზე დამათენდა.

ტექნიკუმში დიდი სიყვარულით შეხვდნენ ნაზი კილასონიას. როცა გაიგეს ჩვენი მისვლის მიზეზი, აიმრიზნენ. განსაკუთრებით შინაბერა მასწავლებლები წიწმატობდნენ.

— ეკას ჩვენთან რა უნდა, მასწავლებელმა მოსწავლესთან გააბა რომანი, შეგვარცხვინა, თავი მოგვჭრა.

— კი მაგრამ, რით უმტკიცებთ?

— იმ დღეს გამოპრანჭული ხეს მიყრდნობოდა, ის ბიჭი წინ ედგა და თვალებით სჭამდა.

— მარტო ეგ იყო?

— მეტი რა უნდა ყოფილიყო, შენ გენაცვალე. მოსწავლემ მასწავლებელს შეხედვაც ვერ უნდა გაუბედოს, — დაამატა მეორემ.

განსაკუთრებით ახალგაზრდა სასწავლო ნაწილის გამგე აძაგებდა ეკას. ეს კაცი არ მომეწონა და ჩემი აზრი ნაზის გავუზიარე.

სიმართლემ მართლა არ დამალა თავი.

— მთლად მასე არაა საქმე, როგორც ქალები ჭიკჭიკებენ, — მითხრა ერთმა მხცოვანმა პედაგოგმა, — წუწკია ჩვენი ვანუაი (სასწავლო ნაწილის გამგეზე მეუბნებოდა).

თურმე ამ ვანოს ეკა მოეწონა, საშველს არ აძლევდა: ეკამ ცოლიანი კაცი სიახლოვეს არ გაიკარა. ერთხელ თურმე საკოცნელადაც მიეტანა ქალს, საპასუხოდ კი ისეთი სილა მიიღო, მისი ნაკვალევი კარგახანს აჩნდა სახეზე... და დაიწყო შურისძიება. ნაწილი მასწავლებლებისა სათავისოდ დარაზმა და გამოცხვა ჭორი...

იმ მხცოვანმა მასწავლებელმა გაგვარკვია ყველაფერში.

— მერე ამდენხანს რატომ გაჩერდით, რატომ არაფერი არა თქვით?

— ეს ამბავი რომ გახმაურებულიყო, კაცს ოჯახი დაენგრეოდა და ამიტომაც ჩავიგუბეთ პირში წყალი.

აღშფოთდა ნაზი: კაცი დაიცავით, ქალი გაწირეთ, ამ ქალის ცოდვით ან კი როგორ გეძინათ?

მერე დირექტორს შეუვარდა და კატეგორიულად მოსთხოვა ეკას სამუშაოზე აღდგენა. მაგრამ სასწავლო ნაწილის გამგემ თავი ქვას შეუშვირა.

— ეგ თუ მოვიდა, მე წავალ მაშინ, — იმუქრებოდა იგი.

მივხვდით ჩვენი ძალა არ ეყოფოდა ამ საქმეს:

თბილისში ჩამოსვლისთანავე სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხეილ ღვინჯილიას მივაკითხეთ.

სამართალმა პური ჭამა.

რედაქციაში შემოსული ყველა წერილი ასე იწყებოდა: „თქვენ ყველა ქალის ქომაგი, დამხმარე და გამკითხავი ხარ. ნურც ჩემთვის დაიშურებთ ძალასა და ენერგიას"...

რედაქტორი უპასუხოდ არავის ტოვებდა.

— ოლეჩკა, რაიონებიდან მწვავე წერილებია მოსული. წავიდეთ, მივეშველოთ ქალებს.

ქალბატონ მარიკას თუ სადმე გაჭირვებაა, ყველგან მივყავარ.

...აბედათში (მარტვილის რაიონი);

მთელი სოფელი უჩივის შინაბერა დებს. მეზობლებთან ჩხუბით გულს რომ იჯერებენ თურმე, ერთმანეთს დაერევიან და მთელი დღე ისმის მათი წივილ-კივილი. შეწუხდა სოფელი...

ჭიშკართან უფროსი და — ცაბუ შემოგვეგება.

— დედა, ქოგორლუაფუდა, მარიკა, თქვენ ვინ და რამ შეგაწუხათ, ჩვენო სასახელო ნოსა (რძალო).

— ჩიტმა ამბავი მომიტანა, დები ჩხუბობენო.

ამ დროს ელპიტე, უმცროსი და შემოვიდა. მოიბოდიშა, ახლა გოჭი გავრეცხე, ასე ამოწუწული არ უნდა შემოვსულიყავი. მარა... თქვენ რომ დაგინახეთ, სიხარულით სულ დავიბენი.

გოჭის ხსენებაზე თვალები გამიბრწყინდა. ვწივართ და ვმასლაათობთ, დები ისე ჭუკჭუკებენ, თითქოს ბუზი არ აეფრინოთ ერთმანეთისათვის, და უცბად შეიცხადა ელპიტემ:

— დიდუ, ჩემი სიკვდილი, ეხლა გავრეცხე ეს შეჩვენებული გოჭი და შეხედე, აგერ არ გორავს ტალახში?!..

რა თქმა უნდა, სამეგრელოში პურ-მარილი არ დამკლებია, მაგრამ იმ გოჭის ამბავი ახლაც ძალლის ნაკბენივით მახსოვს...

კიდევ რამდენი რამ მაქვს მოსაგონარი, მაგრამ სხვა — სხვა დროს იყოს.

ოლია რევია



## ხუმრობით

# რა ღირს ქალის შრომა?

განტერესებთ, როგორ აფასებენ ქალის შრომას მამაკაცები?

— ქალები, — ამბობენ ისინი, — ხშირად ავადმყოფობენ, აგვიანებენ სამსახურში, ძირითადი დრო ლაპარაკში გაჰყავთ, თანაც მას ვერ მოეპყრობით ისე მკაცრად, როგორც კაც-თანამშრომელს, საკმარისია შენიშვნა მისცეთ და წამსვე ტირილს დაიწყებს.

ვერაფერს იტყვი, „კრისტალურა" არგუმენტებია. ამჯერად საპირისპირო მტკიცებებს არ შემოგაგებებთ, ძვირფასო მამაკაცებო, გამარჯვება ხომ მაინც ჩვენ დაგვრჩება? ერთს გეტყვით მხოლოდ: თქვენ მატერიალურად უზრუნველყავით ოჯახები და ყველა სამუშაო ადგილი თქვენთვის დაგვითმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადაიკარეს

მოგონებები გარდასულ დღეთა



● ნინო კოპალი



● დავით კოპალი

Სარეცელს მიჯაჭვული ახალგაზრდა ქალი მერამდენედ კითხულობდა ძვირფასი მეუღლის გამოგზავნილ ბარათს. ქმარს კი, მეტეხის ციხეში სევდა რომ ეწვეოდა, მზის შუქსა და ცოლ-შვილის ხილვას ნატრობდა.

„ძვირფასო ნინა! მივიღე შენი წერილი. ჩემზე ნაკლებად იფიქრე. შენს თავსა და ბავშვებზე — მეტი. საქმე ისევ ძველებურადაა, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ. სულ მალე განახავთ. ყოჩაღად და იმედიანად იყავი. მტკივნეულად ნუ წუხარ და ნუ გაშინებს მომავალი. არ მოაკლო „სულს რწმენა და გულს იმედი". ალბათ ძალიან გიჭირს. სამტრედიაში სახლი გაყიდე ან დააგირავე. ჩვენზე უბედურებიც არიან. წერილს როგორც მიიღებ, აუცილებლად მიპასუხე. ხომ იცი, ჩემი მდგომარეობის კაცისათვის მიღებული ბარათი ყველაფერია — რაოდენ სიხარული შემოაქვს ჩემს მარტოობაში. ვკოცნი ბავშვებს. შენი დათიკო".

* * *

დარდისაგან შეჭირვებული ქალი ზამთრის ერთ სუსხიან დღეს მოსაკითხით ხელდამძიმებული, მეტეხის ციხისაკენ მიაბიჯებდა. ოჯახის მამას, საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ ერის კაცს — დავით კოპალს ბოლშევიკები არასაიმედო კაცად თვლიდნენ და სიცოცხლის მნიშვნელოვან წლებს პატიმრობაში ატარებინებდნენ.

ნინას, ციხისაკენ მიმავალს, ყინულზე ფეხი დაუცდა, მძიმედ დაეცა და მალა დაუზიანდა. ეს ახალი თავზარი იყო ბედკრული ოჯახისათვის. შვილებს დღემდე შემორჩათ მამის ბარათი.

„შვილებო ივერი, ნელი! თქვენი წერილი გადავიკითხე და მეტად მეამა. ასე მეგონა, ჩემთან იყავით და მეძახდით „წამოდი მამა". ტირილი ვაჟკაცს არ ეკადრება, ცრემლმა ბალიში მაინც დანამა, სიზმარში მესმის კარებთან ყვირით: „ციხის უფროსო, გვაჩვენე მამა".

* * *

სამტრედიელი დიანოზ კოპალეიშვილის ვაჟიშვილი დავითი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ დავითმა სორბონის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. იქ მყოფ ლადო გუდიაშვილთან, დავით კაკაბაძესთან, ელენე ახვლედიანთან, დავით კასრაძესთან მეგობრობდა.

ერუდირებულ, მაღალკვალიფიციურ იურისტად დაბრუნდა საფრანგეთიდან დავით კოპალი (გვარი კოპალეიშვილი საფრანგეთში კოპალად შეუმოკლეს), წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ფლობდა ფრანგულსა და ინგლისურ ენებს, იბეჭდებოდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში", რომლის რედაქტორი იოსებ იმედაშვილი იყო. ლექსში „საქართველოს" დავითი წერდა: „ძმანო გმირნო, ხომ არ გძინავთ? თუ არ გძინავთ, რად არ სწირავთ თქვენს სიცოცხლეს სასახელოს, გმირთ-სამშობლო საქართველოს?!"

სამშობლოში დაბრუნებულმა თავდაპირველად ბათუმში „აზნევთის" იურისტად დაიწყო მუშაობა და დიდად გაითქვა სახელი. ქალაქში სილამაზით გამორჩეულ ნინო ქუთათელაძეზე იქორწინა.

ნინას მონათხრობი.

1924 წელს სამტრედიაში ახალგაზრდებმა გამოსვლები მოაწყეს. დემონსტრანტები არ იშლებოდნენ. პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორმა დავით ღოღობერიძემ დავითს დახმარება თხოვა, რადგან დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდებზე. ისინი მართლაც დაიშალნენ. დავითს მილიცია დაედევნა. ძლივს დაუძვრა მდევარს.

საქართველოს ბედი დავითს მოსვენებას უკარგავდა. დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ისევ დააპატიმრეს. მეტეხის ციხეში ჩასვეს. იქაც პატიმრებს მეთაურობდა. ლექსებს წერდა. „ციხის უფროსო, ჩამოჰკარ ზარი და გადასძახე იმ არამზადებს, წმინდა გიორგი სასჯელს ამზადებს".

ნელის ნაამბობი.

პატიმრობიდან გათავისუფლებულ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარტეხილებმა

თბილისში მიმავალ მამას გზად გალაკტიონი შეხვედრია. საუბრის დროს მამას ლექსი უთქვამს: „ლომი ბორკილს არ იგუებს, ან მოკვდება, ან იმეფებს, შინაური არ გახდება და ლეკვივით არ იყეფებს“...

გალაკტიონი მას გადახვევია და თვალთაგან ცრემლი წამოცვენია.

ეს ლექსი შემდგომ სიმღერად იქცა.

მამამ ციხიდან პოემა „ივერ ნელო“ გამოგვიგზავნა. პოემა ასე იწყებოდა:

„ივერ ნელო, დედას უთხარ, წუხელ სიზმრად შაშვი მყავდა, გალიაში დამწყვდეული, იგი შაშვი სულ მე მგავდა. მონადირეს შაშვი თურმე მეშვიდეჯერ დაეჭირა, შიგ ბუდეში რომ ეძინა, ბარტყებს დედა აუტირა“...

მამამ დრამატული პოემა „ცისანა“ დაწერა. ლადო გუდიაშვილმა დაასურათა. გრიგოლ რობაქიძე პარიზიდან იწერებოდა: „არ ვიცი, რა ბედი ეწია დავით კოპალის დრამატულ პოემა „ცისანას“, რომლის ილუსტრაციები გუდიაშვილმა შეასრულაო. ოჯახს მხოლოდ „ცისანას“ ყდის გუდიაშვილისეული ნახატი შემორჩა.

რევაზ კვერენჩხილაძე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1992 წლის 2 ოქტომბრის ნომერში წერილში — „რეპრესირებული მწერლები“ წერს: „პოეტი დავით კოპალიც (კოპალეიშვილი) ჰყოლიათ მეტეხში 1924 წელს. ამის თაობაზე ცნობა ისევ ემიგრანტულ პრესაში ვიპოვეთ (ელიზბარ მაყაშვილი, „მეტეხის ციხეში“, ჟურნალი „კავკასიონი“. პარიზი. 1968). დავითმა იქ უძღვნა ლექსი ამბროსი კათალიკოსის დაპატიმრებას („მძიმედ გაიღო ციხის კარები, ვით ქანდაკება მარმარილოსი, შემოაბრძანეს ციხე მეტეხში ტანჯულ ქართლოსის კათალიკოსი“) და ექსპრომტი გადასახლებაში მიმავალთ („ტკბილო სამშობლოვ! ტყვე საქართველოვ! მშვიდობით! წასვლის ჩამოჰკრეს ზარი! შენი მზე აწი ველარ გაგვათბობს, — რუსეთს გვასახლებს გველი საზარი“).

დღეს ამ ლექსებს დოკუმენტის ღირებულება აქვს.

...დავით კოპალისა მხოლოდ ის ვიცით, რომ ის იდგა რუსეთის იმპერიაში მწერალთა პირველი ორგანიზაციის — საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის (1917) სათავეებთან“.

დავით კოპალი 16 წლის მანძილზე რვაჯერ დააპატიმრეს. იმყოფებოდა მეტეხისა და ქუთაისის ციხეებში.

ხშირმა პატიმრობამ მძიმედ დააავადა.

1937 წელს ისევ წაიყვანეს. ცოლი დღენიადაგ ეძიებდა მის სამყოფელს, სამართალს. ელოდა პასუხს. ერთ დღეს საგამომძიებლო ორგანოს მდივანმა ქალმა საიდუმლო გაანდო: ტყუიან, საღორიის ტყეში ვინც წაიყვანეს, ცოცხლები არ გადარჩენილანო. ნინა უგონოდ ჩაიკეცა...

ვინ იცის დავით კოპალმა სად, რომელ მიწაზე დალია სული.

ასე იკეცებოდა ერთი ინტელიგენტური, ქართული ოჯახის გაუხარელი წუთისოფელი.

* * *

ნათელ ბინაში მამაბოძის დავით კოპალის სახე კედლიდან იღიმის. მისი ლანდი თითქმის ექვსი ათეული წელია საყვარელ ადამიანებს ელაციცება.

ნინა კოპალი, 95 წლის მანდილოსანი, ამ დიდ ოჯახს დღესაც მხნედ მართავს. მრავალ ჭირგამოვლილ, მაგრამ ქედმოუხრელ ქალს პირმშვენიერება და კეთილი ღიმილი ისევ შემორჩენია.

ქალიშვილი ნელი, დამსახურებული პედაგოგია.

მისი მეუღლე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვლადიმერ შარვაშიძე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ზოოლოგია-ფიზიოლოგიის კათედრაზე მუშაობდა.

შვილიშვილები მედეა და გია ღირსეულად აგრძელებენ სახელოვანი ოჯახის ტრადიციებს.

დავით კოპალის, თავშეწირული ერისკაცის, ქარტეხილგამოვლილ დანატოვართ ხომ დიდი შისია აკისრიათ ამჟამად, ძნელბედობის ჟამს, ბრძოლის ველად ქცეულ საქართველოში.

**ეთერ ჯაფარიძე**

---

## ● აქეთური-იქითური ●

### საუკუნის აღმოჩენა

ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთმა „ლოს-ანჯელეს ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სენსაციური ცნობა, რომ მიაკვლიეს მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლის“ ხელნაწერის პირველ ნაწილს.

მწერლის შემოქმედების მკვლევარებმა განაცხადეს, რომ ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან უკვე ასი წელია ყველასათვის ცნობილია ამ რომანის პირველი ნაწილის არარსებობა.

ხელნაწერი ადვოკატ გლაკის შვილიშვილებმა — ბარბარა გლაკ-ტესტამ და პამელა გლაკ-ლინდჰოლმმა ნახეს ჩემოდანში, რომელიც მათ ბაბუას ეკუთვნოდა. ადვოკატი გლაკი 1897 წელს გარდაიცვალა. მისი ჩემოდანი კი ბუფალოდან ათასი მილის დაშორებით, ლოს-ანჯელესის გარეუბანში, ბარბარასთან ინახებოდა.

მას შემდეგ, რაც ექსპერტებმა ხელნაწერი ცნობილ მწერალს მიაკუთვნეს, დაიწყო დავა იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის იგი — ბუფალოს ბიბლიოთეკას, რომელსაც მარკ ტვენმა რომანის მთელი ხელნაწერი აჩუქა, თუ ადვოკატის შვილიშვილებს... ჯერჯერობით კი იგი აუქციონ „სოთბის“ ნიუ-იორკის განყოფილების სეიფებში ინახება და მყიდველს მოელის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ხელნაწერი სულ ცოტა მილიონ დოლარად იქნება შეფასებული.

### 280 გრამიანი ტელეფონი

რადგან ქალებს განსაკუთრებით უყვართ ტელეფონით საუბარი, ინტერესმოკლებული არ იქნება, ვაცნობოთ: მსოფლიოში ყველაზე მინიატურული პორტატული ტელეფონის აპარატი შეიმუშავა იაპონურმა კომპანიამ „ნიპონ ტელეგრაფ ენდ ტელეფონ“-მა („ენ-ტი-ტი“). იგი 280 გრამს იწონის და 8-ჯერ უფრო პატარაა ამ კლასის ჩვეულებრივ აპარატზე. აკუმულატორი უზრუნველყოფს 45 წუთიან საუბარს.

### ჩაშავებული ფილტვები

თურმე მწეველი ადამიანის ფილტვები შავ ფერს იღებს არა ნიკოტინის დალექვისაგან, როგორც ადრე მიიჩნევდნენ, არამედ მრავალრიცხოვანი მიკროსკოპიული სისხლჩაქცევებისაგან, რასაც თამბაქოს ბოლი იწვევს. ასე რომ, შავი მასა ფილტვებში, ეს შედედებული და ნახევრადგახრწნილი სისხლია.

● აქეთური-იქითური ●

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თუ ბავშვს ალერგიული დიათეზი აქვს

ალერგიული დაავადებები ბოლო წლებში მკვეთრად მატულობს და თითქმის ყოველ მეხუთე ადამიანში ვლინდება. ალერგიული დიათეზი, მაგალითად, ბავშვთა 70-80 პროცენტს აღენიშნება. ამ დაავადებას ძირითადად განაპირობებს ქალის დაავადება ორსულობის პერიოდში და მისი შეუფერებელი პრეპარატებით მკურნალობა, ორსულობის პერიოდში არასწორი კვების რეჟიმი, თამბაქოს წევა, ალკოჰოლური სასმელების გამოყენება, გენეტიკური ფაქტორები ანუ მშობლების ალერგიული მდგომარეობა (ორჯერ უფრო ხშირად დედების მხრივ), ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება, ქიმიური სარეცხი საშუალებების გამოყენება, ახალშობილთა ნაადრევი ხელოვნური კვება, დარღვევები იმუნურ სისტემაში, სტრესები, ქრონიკული ინფექციური კერების არსებობა, აცრები და სხვა.

დადგენილია, რომ ორსულობის ტოქსიკოზის შემთხვევათა ოთხმოც პროცენტში ახალშობილებს ალერგია უვითარდებათ.

პირველ თვეებში მომატებული მგრძნობელობა საკვებისადმი ვლინდება, შემდეგ კი — მედიკამენტებისა და ბაქტერიებისადმი; მატულობს ნერვული სისტემის როლიც, რომელსაც სამწუხაროდ, დედა და ზოგიერთი ექიმიც საჭირო ყურადღებას არ აქცევს.

დასაწყისში ალერგიული დიათეზი შედარებით მსუბუქი დერმატიტის ანუ კანის ანთებით ვლინდება მშრალ კანზე ჰიპერემიული, აქერცლილი ლაქების სახით, მეტწილად ლოყებზე, თვალების ირგვლივ, ყურების უკან, კისერზე, სხივმაჯის სახსრების არეში, თავზე, განსაკუთრებით შუბლ-თხემის არეში ფირფიტოვანი აქერცვლა და ყვითელი ქერქები ჩნდება. შედარებით იშვიათად ბავშვებში ვითარდება ე. წ. კეროვანი ფორმები, რომლის დროსაც მკაფიოდ შემოფარგლული სხვადასხვა ფორმის მუქი წითელი მოყავისფრო, კანზე ოდნავ შემაღლებული ბალთები ჩნდება, რასაც ერთვის ქავილი. დიათეზი პერიოდულად მწვავდება ბავშვთა ეგზემის სახით. ძლიერი ქავილის გამო დიათეზის მოვლენებს ზოგჯერ მეორადი ჩირქოვანი ინფექცია ერთვის და ვითარდება მიკრობული ეგზემა, დიდდება ლიმფური კვანძები კისრის და საზარდულის არეში. მოგვიანებით (მეტწილად სკოლის ასაკში) ვითარდება ე. წ. ნეიროდერმიტი, კეროვანი ან დიფუზური, გავრცელებული ფორმა (მთელ ტანზე და კიდურებზე, განსაკუთრებით იდაყვების და მუხლების სახსრების ფოსოებში), რომლის დროსაც ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის პათოლოგია, მომწიფების ასაკში კი ნეირო-ენდოკრინული ძვრები აღენიშნება. მოგვიანებით კანის ფორმებთან ერთად სხვა სისტემების და ორგანოების (სასუნთქი გზების, თირკმლების და სხვა) დაზიანების ნიშნები ვითარდება. ბავშვები აღგზნებულები და ჭირვეულები ხდებიან, ერღვევათ ძილი და კუჭ-ნაწლავის მოქმედება.

დიათეზით დაავადებულ ბავშვებში ზრდასთან ერთად მატულობს ორგანიზმის მგრძნობელობა (სენსიბილიზაცია), მეორადი იმუნოდეფიციტის განვითარებით, რის გამოც შინაგანი პათოლოგია და კანის დაზიანებაც უფრო გავრცელებულ ფორმას ღებულობს. დიათეზით და ბრონქიტით დაავადებულ ბავშვებს ასთმური მოვლენები ეწყებათ, რომელსაც სულ უფრო ამწვავებს საკვები ალერგენები და სხვა მედიკამენტები. დიათეზიან ბავშვებში კუჭ-ნაწლავის დაზიანება ქრონიკული ენტეროკოლიტის (ყაბზობისადმი მიდრეკილებით), დისბაქტერიოზის და ლამბლიოზური ქოლეცისტიტის სახით ვლინდება, ხოლო ავადმყოფთა ერთ მესამედს აღენიშნება ღვიძლის გადიდება. ზემოაღნიშნულის გამო ალერგიული დიათეზით დაავადებულთა მკურნალობა მკვეთრად ინდივიდუალური, კომპლექსური, ეტაპური და კურსობრივი უნდა იყოს, კანზე კლინიკური მოვლენებისა და ავადმყოფის კომპლექსური გამოკვლევებით გამოვლინებული ვისცერალური და იმუნოპათოლოგიის გათვალისწინებით. ავადმყოფთა მონოტონური, ან მხოლოდ გარეგანი საშუალებებით (მალამოებით, განსაკუთრებით ჰორმონალური პრეპარატებით) მკურნალობა არაეფექტური და სრულიად გაუმართლებელია. მშობლებს არაერთხელ მოუმართავთ შეკითხვით თუ სად უნდა მკურნალობდნენ დიათეზით და ნეიროდერმიტით დაავადებული ბავშვები პედიატრთან, ალერგოლოგთან თუ დერმატოლოგთან. უწინარეს ყოვლისა, შეგახსენებთ, რომ ამ არჩევანს აკეთებენ ავადმყოფი ბავშვის მდგომარეობის მიხედვით. თუ დედა ამჩნევს, რომ ბავშვს ასთმური მოვლენები აქვს, პირველად ალერგოლოგს მიმართავს, თუ ბავშვს აქვს ტემპერატურა, კუჭ-ნაწლავის აშლილობა და სხვა ზოგადი პათოლოგიის მოვლენები — პედიატრს, ხოლო თუ გამონაყარი და ძლიერი ქავილი — დერმატოლოგს, რადგან თუ კანის მოვლენები და ძლიერი ქავილი ჭარბობს სხვა ზოგად პათოლოგიას, მიზანშეწონილია ჯერ დერმატოლოგის დანიშნულება. რესპუბლიკაში ერთადერთი ბავშვთა დერმატოლოგიური განყოფილება ფუნქციონირებს დერმატოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან, სადაც ავადმყოფთა საკონსულტაციო მიღება ტარდება, რომელიც ფართოდ იყენებს პედიატრისა და ალერგოლოგების კონსულტაციებს.

მკურნალობის პარალელურად საჭიროა კვების რეჟიმის დაცვა, რომელსაც მშობლები ხშირად უგულებელყოფენ. უწინარეს ყოვლისა, უნდა შეიზღუდოს ცილების, ნახშირწყლების შემცველი პროდუქტები, ხმარებიდან სრულიად ამოსაღებია რძე, ხორცის ნახარშები, კვერცხი, შაქარი, ტკბილეული, კონსერვები, ყურძენი, ნესვი, პამიდორი, ციტრუსები, ხენდრო და სხვა.

დიათეზით და ნეიროდერმიტით დაავადებულები სისტემატურ დისპანსერულ დაკვირვებას საჭიროებენ, რომლის დროსაც მათ რეციდივის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური კურსი ენიშნებათ.

დასასრულ, ალერგიული დიათეზის პროფილაქტიკის შესახებ. ე. წ. პირველადი პროფილაქტიკა გულისხმობს მაღალი რისკის ჯგუფის ფეხმძიმეებს და ახალშობილთა (პირველ თვეში) დროულ გამოვლინებას და ყველა პროფილაქტიკური ღონისძიების ჩატარებას ალერგიის განვითარების თავიდან ასაცილებლად. მეორადი პროფილაქტიკა კი დიათეზით დაავადებულ ბავშვთა პროფილაქტიკურ ვაქცინაციას გულისხმობს, რომელიც ორგანიზმის იმუნური დაცვის სისტემის მდგომარეობის განვითარებით უნდა ტარდებოდეს.

**ლუბა შეწირული,**

რესპუბლიკის მთავარი დერმატოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მჯერა „საქართველოს ქალის“



საქართველო დღეს არნახული განსაცდელის წინაშე არის — შიმშილი, დაუცველობა, უსახლკარობა, სისხლისღვრა, ომი—ყველაფერმა ერთად მოიცალა ჩვენთვის. თითქოს რაღაც საშინელი ცოდვა ტრიალებს ჩვენს თავს, ქანცგაწყვეტილნი ვეხეთქებით ერთმანეთს მოჯადოებულ წრეში; გვშია, გვწყურია, გვეშინია... და მაინც ვითმენთ, ვითმენთ და გვჯერა, რომ მოიძებნება გამოსავალი, გაბრწყინდება ჩვენი სამშობლო, დადგება ამოსუნთქვის ჟამიც...

ასეთ ყოფაში ძნელია გაარჩიო, ვის უფრო უჭირს — ქალს თუ კაცს. ალბათ, ყველასათვის ერთნაირად მოიცალა ბედისწერამ, ყველას ერთნაირად გვატკინა... და მაინც, ქალისათვის დღევანდელი დღე უფრო მძიმეა და საშიში, ქალისთვის, რომელსაც მაინც არ უნდა დაავიწყდეს, რომ ის, პირველ რიგში, ქალია. დღეს კი რა ძნელია ამის გაკეთება, როცა საათობით რიგში მდგომს, ტრანსპორტში გასრესილსა და დამცირებულს, სანახევროდ ხელცარიელი შინ დაბრუნებულს ნერვებდაფლეთილი ქმარი და ცირკის ბილეთების გამო აცრემლებული ბავშვი გხვდება. ასეთ ვითარებაში რა დროს შენი ქალობაა, სიცოცხლეც აღარ გინდა ადამიანს, თუ ვინმემ არ განუგეშა, ვინმემ არ დაგანახა მომავალი, ვინმემ არ შეგახსენა, რომ შენი სილამაზე, შენი ქალობა ყოველთვის საჭიროა, თვით ასეთ ჯოჯოხეთშიც კი. სწორედ ასეთ მშველელად მესახება დღეს ეს ჟურნალი, რომელიც არ დაავიწყებს ქალს ყველაზე უმძიმეს წუთებშიც კი, რომ მისი გაუხეშება არ შეიძლება, რომ მას მამაკაცზე მეტი მოვალეობა აქვს — გაუჭირდეს და არ გაუხეშდეს, დარჩეს ძველებურად ნაზი, თბილი, სანდომიანი და მომთმენი. მჯერა, რომ ეს ჟურნალი მისცემს ჩვენს ქალებს იმ სითბოს, რომელიც ასე გვჭირდება დღეს. მჯერა, რომ სწორედ „საქართველოს ქალი“ მოახერხებს შეუნარჩუნოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მომავალს ნამდვილი ქალები და მათ მიერ აღზრდილი შვილები, რათა ბედნიერ მომავალში ჯანსაღმა, უკომპლექსო, ნათელმა ადამიანებმა შეაბიჯონ.

**ირინა სარიშვილი**



# ქართული მანდილი „საქართველოს ქალის“ სიტყვაა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარის მინისტრთა საბჭოსა და ქალთა საბჭოს სახელით ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სახელოვან კოლექტივს, მის მრავალრიცხოვან მკითხველებს გულითადად გილოცავთ ჟურნალის დაარსების 70 წლისთავს.

დიდია „საქართველოს ქალის“ დამსახურება მრავალჭირნახული ჩვენი მხარის აღორძინების, აჭარის ქალებში საკუთარი ღირსების გრძნობის ამაღლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

საქართველოს დღეს მძიმე დღეები უდგას. შექმნილი მდგომარეობა გულგრილს ვერ ტოვებს ქალების ჟურნალს, რომლის ძირითადი მოვალეობა აწ და მარადჟამს ერის სულიერ და ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვაა. ჟურნალი გვახსენებს წინაპართა ღირსეულ ტრადიციას — ნუ დავინანებთ მანდილს ძმათა გასაშველებლად, ყველა საშუალებით აღვუდგეთ წინ ძმათა-კვლას.

დღეს ქართული მანდილი „საქართველოს ქალის“ სიტყვაა. ჩვენი გული და ჩვენი სინდისია. უდავოდ დიდია ჟურნალის როლი ჩვენს მიწა-წყალზე მშვიდობის დამკვიდრებაში.

ვუსურვებთ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ნიჭიერ და დამსახურებულ კოლექტივს და მთელ ქართველ ერს მშვიდობის დამკვიდრებას, გულის ჭრილობების მოშუშებას, შემოქმედებით აღმშენებლობას საქართველოს აღმავლობისა და მთლიანობის განმტკიცებისათვის.

დაე, მუდამ ყოფილიყოს „საქართველოს ქალი“ ჩვენი მომავალი ლამაზი დღეების მემატიანე.

**ნანი გუგუნავა**

აჭარის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირინე არეხოვსკაიას მხრებზე რვა ათეული წელი აწევს — ქარტეხილებითა და ტკივილებით აღსავსე. შეუძლებელია გაცნობისთანავე არ მოიხიბლოთ მისი გადამდები სიმშვიდით, კეთილი ღიმილით და ლაღი საუბრით. ქ-ნი ირინე გახლავთ ცნობილი კომიკოსის სანდრო ჟორჟოლიანის მეუღლე და ქართული კინოს ერთ-ერთი მშვენების — დინარა ჟორჟოლიანის დედა.

ირინეს მამა პოლონელი იყო, პროფესიით იურისტი. მუსიკაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა გადაწყვიტა პეტერბურგის კონსერვატორიაში აემაღლებინა ოსტატობა. სწორედ იქ გაიცნო ანდრონიკაშვილების მშვენიერი ასული. ცოტა ხანში საქართველოში ჩააკითხა და ცოლად ითხოვა. ცხოვრობდნენ ვარშავაში, მაგრამ 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ოჯახი საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა...

ქალბატონი ირინე თავის მოგონებებს 1980 წლიდან იწყებს, რადგან სწორედ მაშინ გაიცნო სანდრო ჟორჟოლიანი.

# ოჯახი მისი ნავსაყუდელი იყო

— სანდრო ახალი ჩამოსული იყო ქუთაისიდან. მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა. ჩვენც თეატრის ახლოს ვცხოვრობდით. იმ ხანად მოდაში შემოვიდა „კოვერკოტის“ პალტოები. მოდას არც სანდრო ჩამორჩა. მე და ჩემი მეგობრები ქუჩაში ხშირად ვხვდებოდით და ხუმრობით „კოვერკოტს“ ვეძახდით. სანდრომ ყურადღება მომაქცია, გამეცნო და მალე დედაჩემს ჩემი ხელი სთხოვა. მე მაშინ 18 წლის ვიყავი, კონსერვატორიაში ვსწავლობდი. იმავე წელს შევუღლდით. შემდეგ დინარა შეგვეძინა. ნათლია კოტე მარჯანიშვილის მეუღლე ელენე დონაური იყო, სახელიც მან შეურჩია.

**— ამბობენ, კომიკოსები ცხოვრებაში სერიოზულები არიანო. როგორი იყო ბატონი სანდრო ოჯახში?**

— სანდროც ძალიან სერიოზული იყო, თითქმის არასოდეს ხუმრობდა. დიდად განათლებული იყო. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტი, ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. ერთ ხანს ლათინურს და ისტორიას ასწავლიდა ბაქოსა და განჯაში. სწორედ იქ შეიკრიბა თეატრით გატაცებული ქართველების პატარა ჯგუფი და საკუთარი ძალებით სპექტაკლებს დგამდნენ. სწორედ მაშინ ეზიარა სცენის სიყვარულს სანდრო. თბილისში დაბრუნების შემდეგ მასწავლებლობას თავი დაანება და თეატრში დაიწყო მუშაობა. მახსოვს, დედამისი ხშირად ეტყოდა: პატიოსანი კაცი იყავი, მასწავლებელი, და ახლა ქვეყნის მასხარა გახდიო.

სხვათა შორის, განსაკუთრებული იუმორის გრძნობა არ ჰქონია. ხანდახან რაღაცაზე მთელი ოჯახი რომ ვიცინოდით, სანდრო გაოცებული გვეუბნებოდა, რა არის აქ სასაცილოო?



დინარა ჟორჟოლიანი მეუღლესთან ერთად

**— როგორ მუშაობდა როლებზე?**

— საოცრად მომთხოვნი იყო საკუთარი თავის მიმართ. შეუძლებელს შეძლებდა და გააკეთებდა, თუკი ამას საქმე ითხოვდა.

„სამ ბლენძში“ ბუშტების გამყიდველის როლს ასრულებდა. ერთ-ერთ სცენაში ჭერიდან ეშვებოდა ბუშტებით ხელში და უზარმაზარ ტორტში ვარდებოდა. სიმაღლის ძალიან ეშინოდა, მაგრამ არ ამჟღავნებდა. თუმცა ძილში შეშინებული წამოვარდებოდა. ესიზმრებოდა, თითქოს სიმაღლიდან ვარდებოდა.

**— ბატონ სანდროს ქართული კინოსა და თეატრის კორიფეებთან ურ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა რამაში. საყვარელი პარტნიორები თუ ჰყავდა?

— ძალიან უყვარდა სესილია თაყაიშვილი. ნათესავები იყვნენ. სცენაზეც ხშირად იყვნენ ერთად. არაჩვეულებრივი, ჰარმონიული დუეტი ჰქონდათ. ერთმანეთს ავსებდნენ, სესილიას დღესაც პირველ მსახიობ ქალად ვთვლი.

— შვილის მსახიობობა თუ მოსწონდა?

— დინარა შვიდი წლის რომ იყო, სანდროსთან ერთად მონაწილეობდა სპექტაკლში. მაშინ მამამისს ძალიან უხაროდა დინარას მსახიობობა. უხსნიდა, ასწავლიდა სცენაზე როგორ მოქცეულიყო. მაგრამ დინარა რომ წამოიზარდა და ფილმებში გადასაღებად მიიწვიეს, მაშინ კი უთხრა: სანამ ლამაზი და ახალგაზრდა ხარ, მანამდე სჭირდები რეჟისორებს. კინო სერიოზული საქმე არ არის ქალისათვის. ეცადე, საინტერესო პროფესია აირჩიოო. დინარამ მართლაც ისმინა მამის რჩევა. არ აჰყვა ცდუნებას. ახლა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია.

— სანდრო ჟორჟოლიანთან დაკავშირებულ კურიოზებს დღესაც ანეკდოტებად ყვებიან. თქვენც ხომ არ გაიხსენებდით რამეს?

— ხაშურში გასტროლებზე ყოფნისას კვერცხებით სავსე კალათა იყიდა. ყოველ დილით რესტორანში რომ არ ვიაროთ, ხანდახან შევიწვავ და ვისაუზმებო. მიშა სარაულს სადღაც შპრიცი უშოვია და ყველა კვერცხის გული ამოუცლია. სანდრომ გატეხა ერთი, ცარიელია, გატეხა მეორე — ისიც ცარიელია. ასე დაუცლია მთელი კალათა...

სანდროს ჩვევად ჰქონდა სადილის შემდეგ დასვენება. ერთხელ პავლე კობახიძეს პაპანაქება სიცხეში ტახტის ქვეშ ანთებული ნავთქურა დაუდგამს. სანდრო აწრიალებულა, ხან იქით გადაბრუნდება თურმე, ხან აქეთ. რა მჭირს ნეტა, ალბათ სიცხე მაქვსო.

— არ ბრაზდებოდა?

— არა, გაბრაზება საერთოდ არ იცოდა. ოჰ, თქვე მამაძაღლებოო, იტყოდა. ეს იყო და ეს.

როგორც გითხარით, ოჯახში ძალიან სერიოზული იყო, მაგრამ ამხანაგებში და ნაცნობებში სულ იცვლებოდა. ერთ ზაფხულს ბათუმში გასტროლებზე წავყევი. „ინტურისტში" ვცხოვრობდით. ერთხელაც სასტუმროდან გავედი. ვხედავ ხალხი შეკრებილა და ისე იცინიან, ლამის არის თავები მიწაზე დაარტყან. ახლოს მივედი და რას ვხედავ: სანდრო მათ შორის ჩამდგარა და რაღაცას მთელი მონდომებით ყვება. ის იმდენად იხარჯებოდა სცენაზე, რომ ოჯახი მისთვის ნამდვილი ნავსაყუდელი იყო, სადაც ისვენებდა, ძალასა და ენერგიას იკრებდა.

ძალიან მწყდება გული, მასზე რომ ამბობენ, ძუნწი იყოო. ეს კი იყო, ფულს ტყუილუბრალოდ ქარს არ გაატანდა. თუმცა სტუმრები ძალიან უყვარდა. შვიდი ნოემბრის და პირველი მაისის დემონსტრაციების წინ სანდროს მეგობრები ტრადიციულად ჩვენთან იკრიბებოდნენ. კარგად იქეიფებდნენ და შემდეგ სიმღერ-სიმღერით მიდიოდნენ დემონსტრაციაზე.

ახალ წელს ძირითადად ოჯახურ გარემოში ვხვდებოდით. ძალიან უყვარდა რუა მარტი, თეატრში ერთ ქალს არ დატოვებდა უსაჩუქროდ.

— ბატონ სანდროს ხშირად უწევდა გასტროლებზე, გადაღებებზე სიარული. ეჭვიანობდით?

— რომ იტყვიან, ქალების მუსუსიაო, სწორედ სანდროზეა ნათქვამი. სადაც ქალი იყო, ისიც მაშინვე იქ გაჩნდებოდა. გავიხედავდი, ქუჩაში მოდის სანდრო ვიღაც ქალთან ერთად, თავს ევლება, რაღაცას უყვება, უმტკიცებს. დამინახავდა თუ არა, უცებ სერიოზულ სახეს მიიღებდა. მაგრამ ჩემზე ეს არ მოქმედებდა, ბუნებით არ ვარ ეჭვიანი. თანაც კარგად ვიცოდი, რომ მისთვის ოჯახი მთავარი იყო. ამას გარდა, მსახიობის ცოლს რაღაც იმუნიტეტივით უნდა ჰქონდეს გამომუშავებული ასეთი შემთხვევებისათვის.

კარგი დრო იყო. ბევრი რამ არის გასახსენებელი. დინარა რომ შეგვეძინა, თამარ ჭავჭავაძე გვეწვია. დინარა თავიდანვე კარგი იყო. თამარს ბავშვი ძალიან მოეწონა და სანდროს გაეხუმრა:

— სანდრო, მომეხმარე რა. მეც მინდა ასეთი ბავშვი.

იყო სიცილი, სიხალისე.

ძალიან მძიმე იყო ჩემთვის 1968 წელი. დედაჩემი უკანასკნელ დღეში იყო. სანდროც ცუდად გამიხდა და საავადმყოფოში დავაწვინეთ. დედას ვერ ვტოვებდი. მაშინ ძალიან დიდი დახმარება გამიწია თეატრის მთელმა კოლექტივმა. განსაკუთრებით კი დირექტორის მოადგილემ ნესტორ ჭილაძემ.

დედა მალე გარდაიცვალა, სანდრო გამოჯანმრთელდა, მაგრამ ავადმყოფობის შემდეგ ერთი წელი იცოცხლა მხოლოდ.

არც კი ვიცი, კიდევ რა გითხრათ. ან იქნებ არც არის საჭირო მეტის თქმა. დანარჩენზე მისი როლები მეტყველებენ.

მარინე ნაკაიძე



ქალბატონი ირინე და პატარა დინარა



ბატონი სანდრო შვილთან დინარასთან ერთად



დინარა ჟორჟოლიანი

**მალი ლიუ ჯანდარელი ეროვნებით ჩინელია, პროფესიით — მხატვარი. ვიდრე გივი ჯანდარელის მეუღლე და ტრადიციული ქართული ოჯახის რძალი გახდებოდა, ლიუ გუანვენად იცნობდნენ. ვფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს ქალბატონ მალის განვლილი ცხოვრების გზა.**

# დედის ბედი-ქალიშვილს ტახტადაო...



● ქალბატონი მალი და ბატონი გივი ახალგაზრდობისას





● სტუმრად ჩინეთში

**— ქალბატონო მალი, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენი ოჯახის, წინაპრების შესახებ, როდის და როგორ დამკვიდრდით საქართველოში?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ბაბუაჩემი ჩაის ცნობილი სპეციალისტი, ჩინელი იყო, გვარად ლაო (აქედან ჰქვია ჩვენში გავრცელებულ ჩაის ლაო ჩაი). 1890 წელს იგი საქართველოში ჩაის გასაშენებლად მოიწვია კაპიტალისტმა პოპოვმა, ინდოეთის შემოვლით, დატვირთული გემით ჩასულა ბათუმში. მალე ქართულ კლიმატს შეგუებულ საგანგებო ჯიშის ჩაი გამოუყვანია, რომელმაც 1901 წელს პარიზში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა. პაპას ჩააბარა პოპოვმა მთელი თავისი ადგილ-მამული, ჩაის ფაბრიკა და მის დირექტორადაც დანიშნა. მოგვიანებით ორი ფაბრიკა საკუთრადაც ააშენა. არაჩვეულებრივად არომატული და სურნელოვანი ყოფილა მაშინდელი ქართული ჩაი (ახლანდელს ჩინელები ამრეზით უყურებენ, არ მოსწონთ მისი ხარისხი).

...ექვსი შვილი ჰყავდა პაპას, ყველამ ბათუმის გიმნაზია დაამთავრა, ცხოვრობდნენ ჩაქვში. მამაჩემს — ლიუ ვეიჯოუს ჩაქველები ვალოდიას ეძახდნენ. როცა მამამ დედაჩემზე — ნინა თუშმალიშვილზე იქორწინა, ცოლის ხათრით ქრისტიანად მოინათლა. საქართველოში შექმნილმა მაშინდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ და მოსალოდნელმა გართულებებმა იძულებული გახადა ლაოების ოჯახი დაეტოვებინათ საქართველო. ჩააბარეს მიწები, ქარხნები, აგარაკი და 1924 წელს სამუდამოდ დაბრუნდნენ ჩინეთში. ძალიან გაიტანჯა დედაჩემი, ერთი წელი იწვალა, ვიდრე წინასწარ ჩინეთის მოქალაქეობა არ მიალებინეს, ნება არ დართეს გაყოლოდა მეუღლეს. პაპამ საქართველოდან ოცი ჯიშიანი ცხენი წაიყვანა და ხარბინში საკუთარი ჰიპოდრომიააგო. მამა ლან ჯოუს უნივერსიტეტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. იგი სიცოცხლის ბოლომდე უცხო ენებს კითხულობდა. ბიძა ცნობილი დიპლომატი — ჯოუ ენლაის მრჩეველი ქალბლდათ, იყო რუსულ-ჩინური ლექსიკონის ავტორი.

დედაჩემი — მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი, პროფესორი, პეკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში ასწავლიდა რუსულ ენას. ორი ძმა მყავს. ყველანი ჩინეთში დავიბადეთ. პეკინის სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა პირველად ჩამოვედი ნანატრ საქართველოში. მე და დედას ერთნაირი ბედი გვარგუნა განგებამ. მას საქართველოს ნახვის ნოსტალგია ტანჯავდა, მე — ჩინეთისა. ხომ გაგიგონიათ: დედის ბედი ქალიშვილს ტახტადაო. სტალინის გარდაცვალებამდე დედას სამშობლოს ნახვის ნება არ მისცეს. სიკვდილამდე სამჯერ მაინც მოესწრო ამ ბედნიერებას. მშობლები პეკინში არიან დაკრძალულნი.

**— თქვენი მეუღლე, ბატონი გივი ჯანდარელი?**

— 27 წლის იყო გივი, როცა ერთმანეთი გავიცანით. სამხატვრო აკადემიის ასპირანტი იყო, ჩვენ ვიქორწინეთ. ახლა იგი პროფესორია. ბედნიერი ვარ, ასეთ საინტერესო პიროვნებას და ხელოვანს რომ შევხვდი. მყავს 30 წლის ქალიშვილი ნინო, მხატვარი, ორი შვილის დედა, ვაჟიშვილი ირაკლი არქიტექტორია, ისე იმძლავრა მათში ქართულმა გენმა, არცერთი არ დაემსგავსა ჩინელს.

**— რა საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით?**

— აზია-აფრიკის ენების შემსწავლელ ინსტიტუტში ჩინური ენის სპეციალისტად ვმუშაობ, ვზრდი მრავალ სტუდენტს. ჩამოვაყალიბეთ საზოგადოება „აბრეშუმის გზა“, რომლის პრეზიდენტიც გახლავართ, საზოგადოებამ ბევრი საინტერესო პროექტი მოამზადა.

**— როგორ გრძნობთ თავს საქართველოში, გაქვთ თუ არა ორი სამშობლოს განცდა?**

— ჩემი ორივე ძმა პეკინში ცხოვრობს. ფიქრით არასოდეს გამიწყვეტია მათთან კავშირი. გაჭირვებამ ლექსების წერაც კი დამაწყებინა. დედის და მამის სახება მუდამ თვალწინ მედგა. დედა საოცარი პიროვნება იყო, დიდად განათლებული, საქართველოზე შეყვარებული, წმინდა ნინოს გიმნაზიადამთავრებული, შესანიშნავად იცოდა ინგლისური, გერმანული, რუსული. დიდი წვლილი მიუძღვის პეკინის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის შექმნაში. ვიდრე საქართველოდან წავიდოდა, მოწინავე ინტელიგენცი-

აში ტრიალებდა. ჩემი და ჩემი მშობლების ბედი ისე გადაებდო ერთმანეთს, მართლაც რომ ორი სამშობლო მაქვს.

— ხშირად ხართ ჩინეთში?

— ჩვენი დღევანდელი და ჩინეთის განვლილი პოლიტიკური მდგომარეობა ერთმანეთს ჰგავს. ორივე უძველესი ერია, კუთხურობის პრობლემა იქაც მწვავედ დგას. ორივე ნახევრად ფეოდალური სახელმწიფო, არასოდეს ყოფილა კაპიტალისტური, მეტსაც გეტყვით, ბევრ პროვინციას საკუთარი დიალექტი აქვს.

პირველად მე და ჩემი შვილი 1985 წელს ჩავედით ჩინეთში. მერე ყინული გალხვა და მოვუხშირეთ მისვლა-მოსვლას. სისტემატურად მყვანან ჩინელი სტუმრები — ხელოვნების დარგის მუშაკები, მეცნიერები, ახლაც ერთი თვეა ჩემთან არიან ჩინელი მხატვრები, პერსონალური გამოფენა მოაწყვეს ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში.

...გივი ორჯერ იყო ოფიციალურად მიწვეული პეკინის სამხატვრო აკადემიაში, როგორც გობელენის სპეციალისტი. ამ საქმეს მისი მეშვეობით დაედო სათავე ჩინეთში. ქალაქ ცინ დაოში მისი ინიციატივით გობელენის საამქრო გაიხსნა. მე მისი „თარჯიმანი", მუდამ მის გვერდით ვარ.

ახლა საქართველოში ჩინეთის საელჩო გაიხსნა, კონტაქტი მაქვს მის თანამშრომლებთან. ჩინეთი ახლა აყვავებული ქვეყანაა, ათი წელი კი ნამდვილად იტანჯებოდნენ. ამ მოვლენას სოციალიზმიდან გამოსვლის აგონია დავარქვი.

— შვილებმა თუ იციან ჩინური, ოჯახში რომელ ენაზე საუბრობთ?

— ჩემს დედამთილ-მამამთილს ვუმადლი — ქართული მათი წყალობით შევისწავლე. ოჯახის წევრებმა არ იციან ჩინური, ცოტა მეშინოდა კიდეც. ხომ იცით, რა დრო იყო.

— როგორია თქვენი სამზარეულო?

— საინტერესოა ჩინური ოჯახის ყოფა. კერძის მომზადება მძიმე შრომად ითვლება, ამიტომ ეს საქმე უმეტესად მამაკაცს აკისრია. ქალი ზრდის შვილებს. ეუფლება ყველანაირ ხელსაქმეს...

ჩინური სამზარეულო მრავალფეროვანია. ჭარბობს ბოსტნეულის, ხორცის, თევზის, ზღვის ცხოველთა კერძები. ზოგან მოწონებით სარგებლობს გველის კერძები. ოჯახში შერეული სამზარეულო გვაქვს. უკეთესად გამომდის ლობიო, საცივი. როცა გივის მეუღლე გავხდი, მაქსიმალისტი ვიყავი, მინდოდა ვყოფილიყავი კარგი მხატვარი, კარგი დედა, კარგი მეუღლე, მოგვიანებით, როცა ცხოვრებას ჩავუკვირდი, მივხვდი ჩემი მეუღლე დიდი ხელოვანი იყო, ამის თქმის სულაც არ მერიდება, მას უნდა შევწირვოდი, თუმცა ერთი წუთითაც არ მიმიტოვებია საზოგადოებრივი საქმიანობა, მხატვრობა... მოკლედ ქართულ ყაიდაზე გადავკეთდი.

— ქალბატონო მალი, ჩვენ ადრე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, ვაგრამ თქვენ ჩინეთში თარჯიმნად ახლდით საქართველოს სამთავრობო დელეგაციას.

— ჩინეთი უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყანაა, ასეთი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როცა პეკინში ალიმართა ჩვენი დროშა, აჟღერდა ჰიმნი, ყველას სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა, მე კი — ორმაგად. ყველა მიღება მაღალ დონეზე ჩატარდა. მიუხედავად მძიმე და ძნელი წარსულისა, ვფიქრობ, ადამიანები დღეს ჩინეთში თითქმის უპრობლემოდ ცხოვრობენ, ღმერთმა ქნას, რომ შეძლებამალე ჩვენც დაგვიდგეს ეს ნანატრი დრო.

ნანული მუკა...

● აქთური-იქითური ● ● აქთური-იქითური ● ● აქთური-იქითური ●

# სიტყვის ძალა

ქალის ხმა

იაპონიის ზოგიერთი ქალაქის გზაჯვარედინზე გამოჩნდა ახალი შუქნიშნები, რომელსაც აინთება წითელი შუქი, ქალის სასიამოვნო ხმა აფრთხილებს ფეხით მოსიარულეებს, შეჩერდნენ და დაელოდონ მწვანე შუქს. სიტყვის ძალა და ქალის მომხიბვლელი ხმა გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე წესრიგის დამცველთა მიერ გამოწერილი ჯარიმები.

შეყვარებულთა უპირატესობა

ვენესუელაში სასიყვარულო წერილებს მხოლოდ ვარდისფერ კონვერტებში ათავსებენ. როდესაც ასეთ კონვერტსა და მარკას ყიდულობენ, 50 პროცენტით ნაკლებ საფასურს იხდიან. ზოგჯერ წერილის შინაარსი იშიფრება, რათა ვინმემ არ ისარგებლოს შეყვარებულთა უპირატესობით.

ვინ არის ოჯახის უფროსი?

ფრანგმა სწავლულებმა ჩაატარეს გამოკვლევა, ვინ არის უფროსი თანამედროვე ოჯახში? ხუთასამდე მამაკაცის გამოკითხვით, შედეგები ასეთი იყო: გამოკითხულთა უმრავლესობა (350 კაცი) ცოლს ასახელებდა ოჯახის უფროსად, ასორმოცდახუთმა უპირატესობა მიანიჭა სიდედრის უფლებამოსილებას, მხოლოდ ერთმა მამაკაცმა უყოყმანოდ გამოაცხადა თავი ოჯახის უფროსად, მოგვიანებით გაირკვა, რომ ის უცოლო იყო.

დაამსხვრიეთ ჭურჭელი, მოიხსენით დაძაბულობა

იტალიელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ ძლიერი ტემპერამენტის ადამიანებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამალონ თავიანთი უარყოფითი ემოციები, რადგან ეს ზეგავლენას იქონიებს მათ ფსიქიკაზე. აქ ლაპარაკია წუთიერ აფეთქებებზე და არა საუკუნო მტრობაზე. ცოლ-ქმარს შორის წუთიერი აღგზნებადობის პრობლემა ფრანგებმა საკმაოდ ორიგინალურად გადაწყვიტეს. კერძოდ, ერთ-ერთმა ფრანგულმა ფირმამ, ფსიქოლოგის რჩევით, დაიწყო ჭურჭლის კომპლექტის (სერვისი) გამოშვება შემდეგი რეკლამით: „ჩვენი ჭურჭელი იმსხვრევა იოლად, ნამსხვრევები გლუვია და მსუბუქი, ადამიანს თუ მოხვდა, არ დააზიანებს. ასე რომ, ნუ მოთოკავთ თქვენს რისხვას, დაამსხვრიეთ კომპლექტი და მოიხსენით დაძაბულობა, სამაგიეროდ შეინარჩუნებთ ოჯახს.

ფირმას საკმაოდ დიდი წარმატებები აქვს.

კორწინება იძულებით

გასულ საუკუნეში იაპონიაში და სირიაში თითქმის არ იყვნენ გაუთხოვარი ქალები. თუ ქალი დროულად არ გათხოვდებოდა, მთავრობა სასწრაფოდ შეურჩევდა მას საქმროს. ქალს უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა ამ არჩევანზე. სირიაში ძირითადად დამნაშავეებზე ათხოვებდნენ გაუთხოვრად დარჩენილ ქალებს. ის, ვინც უბრალო დანაშაულის გამო იყო დაკავებული, თვითონ ირჩევდა საცოლეს, დიდ დამნაშავეს კი აიძულებდნენ შეერთო ესა თუ ის ქალი.

კოსმეტიკა ჯადოქრობად ითვლებოდა

1770 წელს ინგლისის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი: ქალი, რომელიც მოატყუებდა მამაკაცს და კოსმეტიკური საშუალებებით უფრო ლამაზად მოაჩვენებდა თავს (კორსეტით, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელით, ფერ-უმარილით, პომადით) ისჯებოდა როგორც ჯადოქარი და ქორწინება ბათილდებოდა.

3-5 ქმარი

ბრაზილიაში ტინუკას ტომის ქალებს უფლება ჰქონდათ სამიდან ხუთამდე ქმარი ჰყოლოდათ.

მოამზადა თინათინ ჩხიკვაძემ

● აქთური-იქითური ● ● აქთური-იქითური ● ● აქთური-იქითური ●

## პოეზია

ცისანა უტარიშვილი

# გიბრუნებ ვარდებს

მე დავიტოვე შენი ლარნაკი
უკვდავებით და სიცოცხლით სავსე,
მე დავიტოვე შენი მონასმი
თუნგით ბალზამი...
გიბრუნებ ვარდებს, თეთრად
გადაშლილს
შენს ნაყიდ ვარდებს.

დე, უვარდებოდ დამრჩეს ლარნაკი,
მზისფერ სურაში იები დაჭკნეს,
თუნგში ჩამიშრეს ნამი წამწამის,
ოღონდ იქ შენი სულის ლამპარი
ენთოს, მათრობდეს მათი სისავსე
სანთლის ლაპლაპი?
ღვინის კამკამი?
ეს ჩემგან დარჩეს.



ბესიკ შაკიაშვილი

* * *

შემოგიჩვიე ფიქრით და ლექსით
და მზის სხივებით აგივსე უპე,
რაღაც გჭირს ახლა, ნაღველის მსგავსი,
და მე მგონია, გიყვარვარ უკვე.

დე, ეს დღეები ნუ დამთავრდება,
ნულარ გავაქრობთ ზეციდან მთიებს,
ვინ დაგვიდგება ღმერთთან თავმდებად,
ამღენ ოცნებას ვინ გვაპატიებს?

* * *

მიყვარხარ, რადგან ღვთის ვალებს ვიხდი
და ვიტანჯები, რადგან მიყვარხარ,
ძლივს ვმარხავ ცოდვის ატეხილ სიზმრებს
ჩემსავ თვალებში და ერთ სიტყვასლა
ველი, ვით ხვატის შემდეგ სიგრილეს,
მარტოობისფერ ღამეებს ვფურცლავ
და მენატრები სიყვარულივით,
შენით ყელამდე სავსე ვარ თუმცა...

* * *

უნდა დაგტოვო, რომ უშენობით
გადავიქანცო, როგორც არასდროს
და დავიჯერო, რომ ერთად ყოფნა
ამ განშორებას სულაც არა სჯობს.
შენზე ეს ტრფობა იყოს ალალი,
ჩვენს სარკმელზე ხომ ახლა ობი დევს
და მე კი ჩემი ფიქრთა ამალით
გავწევ საკუთარ მარტოობისკენ...

ვით აბლაბუდის გაბმული ასხმა,
ეხვია ქალაქს სინათლის ძაფი,
თითქოს ვიღაცის სევდა მოთავდა,
გამოუთქმელი და მძაფრზე მძაფრი.
ცა მგლოვიარე და მარტოსული
ჩამოდიოდა წვიმების აფრად
და იმ ჩიტივით მტკიოდა გული,
რომელიც ბიჭმა შურდულით დაჭრა...

* * *

აღარც კი მახსოვს, იმ ყიამეთში
ვის დავეკარგე ან ვინ დავკარგე,
ყელთ გამიჭირეს სქელი ბაწარი
და ზვარაკივით სანამ დამკლავდნენ,
მე მოვასწარი ყველა კარების
დაკეტვა, თუმცა მითვალთვალებდნენ
და ათას მზეზე უფრო ნათელი
მზე ამოგორდა სულის გარედან.
ვიცანი, ვისაც ველოდებოდი,
ვისაც ვუყვარდი და ვინც მჯაბნიდა,
მოვასვენებდი საკუთარ სხეულს
და საკუთარ სისხლს ვხვრეპდი ძარღვიდან.
ვით ხავსიანი ბებერი ლოდი,
ჩემი ცხოვრება ისე გორავდა,
მივხვდი, ვის დიდრონ თვალებს წავაწყდი
გზაგასაყარზე, იმ თეთრ გორაკთან.
თუმცა ბრმასავით ხელის ფათურით
ვეცემოდი და ფეხზე ვდგებოდი,
ვიბადებოდი ძალიან ნელა,
მაგრამ მაინც ხომ ვიბადებოდი.
ყელთ გამიჭირეს სქელი ბაწარი
და ზვარაკივით სანამ დამკლავდნენ,
მე აღარ მახსოვს, იმ ყაიმეთში
ვის დავეკარგე ან ვინ დავკარგე...

* * *

როგორ ვიქნები... ჩემს სახლის კედლებს
გაუჩნდა ბზარი, ხავსი მოედო,
ატმისფერ დღეებს არ უჩანთ ბოლო,
ჩემი სევდა კი მიეთ-მოეთობს.
მოხუცი ბერის სიმშვიდით ვუვლი
დანაღმულ სულს და უყუჩარ ტკივილს,
მგონი, ზედმეტი ბედნიერებით
უბედური ვარ და მოთქმით ვტირი...

* * *

შემოიპარა უკვე მარტი ველურ ქალივით
და სველი მიწა გულზე იკრავს ჭრიალა ურემს
ჩემს ლალ ქორბუდებს მოჰკლებიათ
მთაში მარილი,
ვერ ავედი და ვერ დავაპურე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახარება ყმაწვილთათვის

## ლაზარეს აღდგინება

იესო ქრისტე ლაზარესა და მისი დების — მართასა და მარიამის — ოჯახის მეგობარი იყო. ერთხელ დებმა კაცი გაუგზავნეს იესოს და შეუთვალეს: ლაზარე მძიმე ავადმყოფიაო. ეს ებრაელთა დღესასწაულის, პასექის ცოტა ადრე მოხდა.

იერუსალიმის გზაზე ქრისტემ გაიგო, რომ ლაზარე მოკვდა და დაასაფლავეს. მართა გამოეგება ქრისტეს და ტირილით უთხრა: „უფალო! შენ რომ აქ ყოფილიყავი, აღარ მოკვდებოდა ჩემი ძმა!“

„შენი ძმა აღდგება“, — უპასუხა იესომ. — „ვისაც ჩემი სწამს, საუკუნოდ იცოცხლებს. გწამს თუ არა ეს, მართა?“.

„მწამს, უფალო, რომ შენ ქრისტე ხარ, ძე ღვთისა!“ — უპასუხა მართამ. ლაზარეს სახლთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ეს მისი მეგობრები იყვნენ, რომლებიც მოსულიყვნენ, რათა სამძიმარი ეთქვათ მისი დებისთვის.

შესაგებებლად მარიამიც გამოვიდა, დაემხო იესოს ფეხებთან და ატირებული იმეორებდა: „უფალო! შენ რომ აქ ყოფილიყავი, აღარ მოკვდებოდა ჩემი ძმა!“.

„სად დაასვენეთ იგი?“ — იკითხა იესომ. იესოს აჩვენეს გამოქვაბული, სადაც ლაზარე იყო დასაფლავებული. იესომ ბრძანა, მოეშორებინათ ქვა გამოქვაბულის შესასვლელისათვის. „უფალო!“ — უთხრა მართამ, — „უკვე ოთხი დღეა, რაც იგი კუბოში წევს“. იესომ ილოცა და ხმამაღლა შესძახა: „ლაზარე! გამოდი გარეთ!“ მაშინვე წამოდგა სუდარაში გახვეული მიცვალებული და გამოქვაბულიდან გამოვიდა.

მრავალმა იქ დამსწრე იუდეველმა ირწმუნა იესო ქრისტე. ზოგიერთები დაბრუნდნენ იერუსალიმში და ფარისევლებს მოუთხრეს, რაც იხილეს. მათ, იმის შიშით, რომ მთელ ხალხს არ ერწმუნა იესო ქრისტე, საბჭო შეკრიბეს, რომელზედაც ქრისტეს მოკვლა დაადგინეს.

ქრისტეს ერთი მოწაფეთაგანი, იუდა ისკარიოტელი, მივიდა ფარისევლებთან და ქრისტეს გაცემა შესთავაზა ოცდაათი ვერცხლის ფასად. ისინი დათანხმდნენ. მათ გადაწყვიტეს ქრისტეს შეპყრობა, როცა იგი იერუსალიმში მივიდოდა, მაგრამ ეს დღესასწაულებზე არ უნდა მომხდარიყო. დღესასწაულებზე იერუსალიმში უამრავი ხალხი იყრიდა თავს და ფარისევლებს ეშინოდათ, რომ ხალხი აუმხედრდებოდა მათ, იესო ქრისტეს რაიმე ბოროტებას თუ შეამთხვევდნენ.



## იერუსალიმში შესვლა

ლაზარეს აღდგინებიდან ცოტა ხნის შემდეგ ქრისტე იერუსალიმს გაემართა, როგორც ყოველთვის, მოწაფეებისა და დიდძალი ხალხის თანხლებით.

იერუსალიმის მახლობლად იგი შეჩერდა და ორ მოწაფეს უთხრა: „წადით უახლოეს სოფელში, იქ დაბმულს იპოვით ახალგაზრდა ვირს, რომელზედაც ჯერ არავინ მჯდარა. ახსენით იგი და მოიყვანეთ აქ“.

მოწაფეებმა მოიყვანეს ვირი და ზურგზე ქსოვილი გადააფარეს. იესო ქრისტე შეჯდა ზედ და იერუსალიმისაკენ წავიდა. დიდძალი ხალხი გამოვიდა მის შესახვედრად. ყვავილებისა და პალმის რტოებით ამკობდნენ მის სავალს. გაისმოდა აღტაცებული შეძახილები:

„კურთხეულია ღმრთის სახელით მომავალი“. ქალაქის ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი, ვინც იესოს არ იცნობდა, კითხულობდნენ: „ვინ არის იგი?“ ვინც იცნობდა, პასუხობდნენ: „ეს იესოა. წინასწარმეტყველი ნაზარეთიდან“.

იერუსალიმის ტაძარი იმ დროს მიგდებული იყო. შიგ ყიდდნენ და ყიდულობდნენ, იყო ნივთების გაცვლა-გამოცვლა, როგორც ბაზარში. იესო ქრისტემ გამოყარა ვაჭრუკანები ტაძრიდან. ფარისევლებს მაშინვე უნდოდათ მისი შეპყრობა, მაგრამ შეეშინდათ, როცა დაინახეს, ხალხის როგორი დიდი სიყვარულით იყო იგი გარემოსილი.

ჩვენში არის გამოთქმა — „მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენტის ტიპი“... ეს ნიშნავს, რომ პიროვნება აუცილებლად საზოგადო მოღვაწეცაა და მასში ქართულ თავდაუზოგაობასთან და ნიჭიერებასთან ერთად ევროპული პედანტიზმი და საქმისადმი ძალიან სერიოზული დამოკიდებულებაა გაერთიანებული.

გვყავდნენ ჩვენ გასული საუკუნის ბოლოსა და მეოცის დასაწყისში ასეთი ადამიანები... სწორედ დღეს კი ძალიან გვჭირდება ასეთნი, გვჭირდება ისე, როგორც არასდროს...

ჩემის აზრით, ქალბატონი ეთერ ქემერტელიძე ასეთ ინტელიგენტთა ტიპს მიეკუთვნება და ეს ხასიათი მის გარეგნობაშიც გამოსჭვივის — მკაცრი უბრალოება და შინაგანი სითბოთი გაჯერებული გამოხედვა.

# [illegible]

## ქართველი აკადემიკოსი ქალები



— ჩემზე საინტერესო წერილს ნამდვილად ვერ დაწერთ, მშრალზე მშრალი ბიოგრაფია მაქვს, — საუბრის დაწყებისთანავე მოიბოდიშა ქალბატონმა ეთერმა, — დავიბადე საჩხერეში, ექიმის ოჯახში. 16 წლისა უგამოცდოდ ჩავირიცხე ფარმაცევტულ ინსტიტუტში (მაშინ ცალკე იყო სამედიცინოსგან), დავამთავრე წარჩინებით, მერე ასპირანტურის წლები სამეცნიერო კვლევით ქიმიო-ფარმაცევტულ ინსტიტუტში (ამჟამად ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტი რომ ჰქვია), აქვე დამტოვეს უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, დავიცავი საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები, მომანიჭეს პროფესორის წოდება... აი, ახლა აკადემიკოსიც გავხდი, მაგრამ... ვერ ვგრძნობ სიხარულს... ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას რომ ვუყურებ, ალარაფერი მახარებს...

ქალბატონ ეთერს ახალგაზრდობაში თვითონ ჩამოუყალიბებია ფიტოქიმიის განყოფილება და დღემდე თვითონვე ხელმძღვანელობს. მისი ხელმძღვანელობითვე ჩაეყარა საფუძველი მცენარეთა ქიმიური შესწავლის რამდენიმე მიმართულებას. მთელი საქართველო ფეხით აქვს მოვლილი, თანამშრომლებთან ერთად სისტემატურად იკვლევს ჩვენს ფლორას და მერე... იქმნება სამკურნალო პრეპარატები. იგი ავტორია ასობით პრეპარატისა, მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა — საგულე საშუალებანი, კანის ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო, ნაღვლის დამდენი...

გაანალიზებული აქვს 3000-მდე ქიმიური კლასის ნივთიერება, გამოყოფილი და დახასიათებული — 350-ზე მეტი ინდივიდუალური, მათ შორის ნაწილი სტრუქტურულად სრულიად ახალი.

— ქალბატონო ეთერ, წეღან ბრძანეთ, ალარაფერი მახარებსო, ალბათ უამრავი პრობლემა დაგიგროვათ ამ ჩვენმა აუწყობელმა ცხოვრებამ...

— ნუ იტყვით, ინსტიტუტი, სადაც მე ვმუშაობ (ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობს 30 წელზე მეტია), ვაშლიჯვარშია, მე საბურთალოზე ვცხოვრობ და... ხშირად ფეხით მიწევს სიარული, ეს კარგია ჯანმრთელობისათვის, მაგრამ ზამთარში... ეს ისე, სიტყვამ მოიტანა და... ძალიან გვეშლება მუშა-

# შეწევნას ითხოვს

ახალდაბადებული სიცოცხლე სათუთია. მითუმეტეს, თუ მას ატარებს უმწეო სხეული, რომელსაც განვითარების ესა თუ ის მანკი აქვს.

საქართველოში ყოველწლიურად ორი ათასამდე ბავშვი იბადება გულის თანდაყოლილი მანკით, რომელთა 30-40 პროცენტი სიცოცხლის პირველ წელს იღუპება, თუ მათ არ აღმოუჩინეს დროული მაღალკვალიფიციური ქირურგიული დახმარება. ყოველი ათასი მოსწავლიდან, სხვადასხვა მონაცემებით, 4-6 ბავშვია გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული.

სამწუხაროდ, მოსალოდნელია ამ ციფრების ზრდა, რაც განპირობებულია ამ ბოლო დროს ჩვენს თავს დატეხილი უბედურებებით: ცხრა აპრილს მრავალი ადამიანის მოწამვლა, ცხოვრების დაბალი დონე, არაჯანსაღი სოციალური და ფსიქოლოგიური კლიმატი, სამედიცინო მომსახურების არაერთი რგოლის მოშლა, მუდმივი სტრესებით სავსე ყოფა, მოსახლეობის არადამაკმაყოფილებელი სამედიცინო განათლება, მზარდი ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და ბოლოს, ჩვენი საერთო სატკივარი — ომი, მასთან დაკავშირებული ყველა ჭირ-ვარამით...

გულის თანდაყოლილი მანკები არ განეკუთვნება წმინდა მემკვიდრეობით დაავადებებს: ხდება რა დეფექტის მემკვიდრეობით გადაცემა, მისი ექსპრესია გენების გარეგან ფაქტორებთან ურთიერთქმედებაზეა დამოკიდებული. თუ ოჯახში არის ერთი ბავშვი გულის თანდაყოლილი მანკით, რისკი იმისა, რომ მეორე ბავშვიც მანკიანი დაიბადება, მხოლოდ 4%-ს შეადგენს, ხოლო თუ მანკი ორ ახლო ნათესავს აღენიშნება, მაშინ რისკი 15%-მდე იზრდება.

და მაინც, რატომ იბადებიან ბავშვები გულის თანდაყოლილი მანკებით? ზემოთ უკვე ითქვა მემკვიდრეობითი ფაქტორის როლზე, თუმცა, მისი არსებობა სავალდებულო სულაც არ არის. საქმე ისაა, რომ ემბრიონის გულის ჩამოყალიბება ჩასახვიდან დაახლოებით მეოცე დღეს იწყება. ეს ის პერიოდია, როცა მომავალმა დედამ შეიძლება არც კი იცოდეს ორსულად რომ არის, ამდენად მკაცრად არ იცავდეს აუცილებელ წესებს და არც ერიდებოდეს ზოგიერთ უკვე ნახსენებ მავნე ფაქტორის ზემოქმედებას.

ამიტომაც, თუ თქვენ გადაწყვიტეთ გახდეთ დედა, გახსოვდეთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობაში ხელი, ადრე მჭიდრო კავშირი გვქონდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ბევრ კვლევით ინსტიტუტთან, ერთად ვიკვლევდით მთელ რიგ საკითხებს... ახლა ეს კავშირები გაწყდა, არ ვიცი, როგორ, მაგრამ აუცილებელია გამოსავალი გამოიძებნოს...

კიდევ იცით რა მაშფოთებს, ჩემო კარგო? — ადამიანის მორალური დაცემა, რაც ჩვენთან კატასტროფული სიჩქარით ხდება. უნდა შევჩერდეთ, უნდა მოვიხედოთ უკან.

— თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ რას იტყოდით?

— პირადი ცხოვრება მეცნიერებამ შეიწირა. არცა ვნანობ — ეს ჩემთვის უმთავრესი იყო. მეგობრები მეუბნებიან: — შესანიშნავი დედა იქნებოდიო, — ვინ იცის...

საჩხერეში გავიზარდე-მეთქი, ხომ გითხარით, — იცით, რა იყო მაშინდელი საჩხერე? — კულტურული ცხოვრებით სრულიად არ ჩამორჩებოდა თბილისს (ახლა ძალიან მწყინს, რომ ჩვენი პერიფერიები მხოლოდ დედაქალაქის ცხოვრებით ცხოვრობენ), ხალხიც საოცრად კარგი ცხოვრობდა — წერეთლები, აბაშიძეები... ბევრი ცნობილი სტუმარი ჩამოდიოდა და თითქმის ყველა მათგანს ჩვენი ოჯახი მასპინძლობდა.

მამა დამსახურებული ექიმი იყო, თერაპევტი. მეტად მშვიდი და კეთილი კაცი. უშურველად იცოდა სიკეთის გაღება. იცოდნენ ეს და ძალზე ბევრი გაჭირვებული აკითხავდა. მაშინ ქველმოქმედება და დახმარება ჩვეულებრივი ამბავი იყო, არ ითვლებოდა თავმოსაწონებელ საქმედ. მამა ხშირად იტყოდა ხოლმე გულმოსვლით: — რას ქვიან პატიოსანი კაცი, კაცი აბა როგორი უნდა იყოსო.

მამა ადრე გარდამეცვალა, აი, დედამ კი დიდხანს იცოცხლა, ძალიან ლამაზად მოხუცდა. დედისაგან ხმამაღალი სიტყვა არ გამიგონია. საერთოდ, ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყო ურთიერთგაგებისა და სიმშვიდის ატმოსფერო. ჩემ ძმას გამოყვა მშობლების ძვირფასი თვისებები. აფთიაქის გამგე გახლდათ, არ ვაჭარბებ, ყველაზე კარგი აფთიაქის. ახლაც გულწრფელი სიყვარულით იხსენებენ ხოლმე...

ქალბატონი ეთერის ამ მონათხრობმა მე არცთუ შორეული ამბავი გამახსენა. ქალთა საბჭოს ინიციატივით ჯავახეთში ჩასახლებული აჭარლების დასახმარებლად კარგად გაძეძგილი ავტობუსით გაემგზავრნენ ცნობილი მეცნიერი, ხელოვანი ქალები; მათ შორის იყო ქალბატონი ეთერიც. იქ, ერთ-ერთ სოფელში ერთი ძალზე გაჭირვებული ოჯახი ენახათ, მაგრამ უკვე ყველაფერი დანაწილებული იყო და სიტყვიერი თანაგრძნობის გარდა, ვერაფრით დაეხმარნენ. მოგვიანებით, ქალბატონმა ეთერმა საკმაოდ მოზრდილი თანხა გაუგზავნა იმ ოჯახს და შეუთვალა, თქვენმა სტუდენტმა ვაჟმა მომაკითხოსო... მას შემდეგ აგერ, ოთხი წელი გავიდა და... ის ვაჟი დღესაც თავის ყველაზე დიდ გულშემატკივრად ქალბატონ ეთერს თვლის.

ესეც ისე, სიტყვამ მოიტანა, თორემ... იქნებ არც ესიამოვნოს ცნობილ მეცნიერს ამ ამბის გამომზეურება.

ძალზე მშრალი ბიოგრაფია მაქვსო, — ბრძანა ქალბატონმა ეთერმა...

მის მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი მეცნიერული კადრების აღზრდას უკავია. დღეს ფიტოქიმიკოსთა კარგი სკოლა რომ არსებობს, ესეც მისი დამსახურებაა. მისივე ხელმძღვანელობითაა მომზადებული და დაცული 21 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაცია. ამ მშრალი ჩამონათვალის უკან რამდენი რამ იმალება...

ყველაზე დიდ სიხარულს ახალგაზრდობასთან მუშაობა მანიჭებსო, — მითხრა ქალბატონმა ეთერმა და ამით ბევრი რამ ითქვა.

დღეს ჰაერივით ჭირდება საქართველოს ასეთი მოღვაწენი.

**მანანა ზარიძე**

# გული

ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა მის ჩასახვიდანვე უნდა დაიწყოთ. ხოლო თუ თქვენს ბავშვს პედიატრმა გასინჯვისას გულის შუილი აღმოუჩინა, სასწრაფოდ უნდა მიმართოთ კარდიოქირურგიული პროფილის სამკურნალო დაწესებულებას (შუილის ხასიათის განსაზღვრა, გულის თანდაყოლილი მანკის დიაგნოზის დასმა და ქირურგიული ჩარევის საჭიროების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ კარდიოქირურგის კომპეტენციაა), სასურველია აქ აჩვენოთ ბავშვი მაშინაც, თუ მას რომელიმე მემკვიდრეობითი დაავადება აქვს, რადგან მათი ხშირი თანამგზავრია გულის თანდაყოლილი მანკები. დააკვირდით თქვენს ბავშვს თამაშის ან კიბეზე ამორბენისას ადვილად ხომ არ იღლება, უჩნდება თუ არა ქოშინი, უხშირდება თუ არა გულის ცემა, ხომ არ ულურჯდება ტუჩები. ამ შემთხვევაშიც დახმარებისა და რჩევისათვის კარდიოქირურგიული კლინიკის სპეციალისტებს უნდა მიაკითხოთ. ასეთი ბავშვები სპეციალურ მოვლას საჭიროებენ. მათი გაჯანსაღება ჩვენი ერის მომავალზე ზრუნვაა, ამ ზრუნვას კი თავის თავზე იღებს აკადემიკოს ერისთავის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის გულის ქირურგიის განყოფილება, რომელიც დღეს ამ პროფილის ერთადერთი კლინიკაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში და მრავალ სხვა მეზობელ რეგიონში. აქ თავმოყრილია მსოფლიოს არაერთი კარდიოქირურგიული ცენტრის გამოცდილება, რომლის საფუძველზეც ხდება გულის თითქმის ყველა თანდაყოლილი მანკის ქირურგიული კორექცია. უნდა ითქვას, რომ მარტო ბავშვებს როდი მკურნალობენ ჩვენთან. გულის შეძენილი პათოლოგიის შემთხვევაში საიმედო ხელში აღმოჩნდება მშობლების, ბებიებისა და ბაბუების ჯანმრთელობაც.

რაღა თქმა უნდა, გვაქვს სიძნელეებიც. გვიჭირს, როგორც ყველას დღევანდელ საქართველოში. არადა, კარდიოქირურგია განეკუთვნება მედიცინის ყველაზე ძვირადღირებულ დარგებს. ამ პრობლემათა გადაჭრის მიზნით ჩვენმა კლინიკამ დააფუძნა კარდიოქირურგიის განვითარების ეროვნული ფონდი.

მივმართავთ საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, პირველ რიგში კი „საქართველოს ქალის" მკითხველებს, ჩვენს ძვირფას მანდილოსნებს:

მიუხედავად ძალზე ბევრი ჭირთათმენისა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ხელს იწვდის და წყალობას ითხოვს მრავალი, თქვენს დედობრივ თვალს შეუმჩნეველი ნუ დარჩება უსუსური პაწია ხელიც.

მისი ძარღვის ფეთქვა სუსტი გულის ანარეკლია, შველას რომ ელის...

კარდიოქირურგიის ეროვნული ფონდის რეკვიზიტებია:

საქართველოს ექსიმბანკი. კოდი 805227, ანგარიში № 70000556.

**ვახტანგ ახალაძე**

კარდიოქირურგიის ეროვნული ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხელსაქმე**

# სუფრები

სუფრას ინტერიერში ისეთივე მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც ფარდებს. გემოვნებით შერჩეული სუფრა ოთახში სახიამოვნო განწყობას ქმნის.

სუფრები ყველანაირი ქსოვილისგან შეიძლება შევკეროთ, მაგრამ ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ მისი სპეციფიკა, შესაფერისი ნახატი და ფაქტურა.

სურათზე მოცემულია სუფრის 5 ნიმუში. თუ ცოტა მაინც გეხერხებათ კერვა, მათ ძალიან მარტივად შეკერავთ.

1 ნახატზე ნაჩვენებია მართკუთხა სუფრა, რომელსაც კიდეებზე გაყრილი აქვს ლენტი. ერთ მხარეს იგი ბაფთისებურად იკვრება. აქვეა დაკერებული აპლიკაცია. ასეთი აპლიკაცია შეგიძლიათ ოთხივე მხარეს მოათავსოთ. ლენტი სასურველია პრიალა იყოს.

ნახატი 2. ქსოვილში ჩადგმულია აჟურული ფარდის ზოლები და შუაში წრე. თუ ფარდის ფერი სუფრის ფერისგან განსხვავდება, შეღებეთ ერთიანად სასურველ ტონალობაში.

მე-3 ნახატზე სუფრას გარშემო სამკუთხა კიდეები აქვს. გაფორმებულია აპლიკაციით, რომელსაც კუთხეებში პატარა ბაფთები აქვს.

მრგვალი მაგიდისთვის ასევე (მე-4, მე-5) უამრავი რამ შეიძლება მოიფიქროთ. სუფრის ზომა წინასწარ უნდა განსაზღვროთ. თუ ასეთი ზომის ქსოვილი არა გაქვთ, გადაკერეთ ის ოთხ ან რვა სიმეტრიულ ნაწილად. აქაც მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ფანტაზია. თითოეული ეს დეტალი სხვადასხვა, ერთმანეთის შესაფერისი ნაჭრის შეიძლება იყოს.

მე-6 ნახატზე ნაჩვენებია ღამის პერანგის შესანახი კონვერტი, რომელიც ბალიშის ქვეშ შეიძლება დადოთ. იგი მაქმანებით და აჟურული ქსოვილითაა გაწყობილი.

ყოველივე ამისთვის და განსაკუთრებით აპლიკაციისათვის უმჯობესია გამოიყენოთ ე. წ. მჭიდრო „ზიგზაგი". სურათზე ნაჩვენებია ასევე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ლენტის გასაყრელი ჭრილები.

სუფრებისთვის შეკერეთ 6-6 ხელსაწმენდი, რომელიც ასეთი სუფრების მცირე და ზოგიერთ შემთხვევაში გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენს.

მრგვალი სუფრებისთვის მართკუთხა ხელსაწმენდებიც გამოდგება, იმავე ფერის კანტებითა და ნახატის ისეთივე სტილით.

გადახედეთ თქვენს მოძველებულ სუფრებს, მოიფიქრეთ, თუ რომელი შეიძლება განახლდეს და გალამაზდეს, მერწმუნეთ, რომ თუ მოინდომებთ, უსახური და უგემოვნო სუფრაც კი ორიგინალურ ელფერს შეიძენს.

**თამარ ზეზეჭკორი**





ეროვნული ბიბლიოთეკა



# 2-3 წლის ბავშვის კოფთა შორტით

ბამბის ან „ირისის“ ძაფი 300 გრ (ორწვერი), ჩხირები № 3.

ქსოვის სახე: წინდისებური და ტალღისებური ნახჭი, რომელიც იქსოვება წინდისებურად (ე. ი. წალმა პირზე სულ წალმა თვლებით, უკუღმაზე — უკუღმა თვლებით), ხოლო ყოველ მე-5 რიგზე (წალმა პირზე) 1 თვალი წალმა, 1 თვალი კვლავ წალმა გამოიქსოვება, ოღონდ ჩხირიდან ქვემოთ მესამე თვალში. ასე გრძელდება რიგის ბოლომდე.

კოფთის ორივე კალთა ერთნაირად იქსოვება. ჩხირებზე შეაბით 70 თვალი და მოქსოვეთ ორმაგი სალტე — 3 სმ მოქსოვეთ წინდური ნახჭით, შემდეგ თეთრი ძაფით გაავლეთ ერთი დაკბილული ზოლი (1 ნამატი, 2 ერთად) და კვლავ გააგრძელეთ ქსოვა წინდურად 3 სმ-მდე. გადადით ძირითად ნახჭზე. კოფთის სიგრძეა 33 სმ. იქსოვება სულ სწორად და ბოლოვდება ისეთივე ქობით, რითაც დაიწყეთ ქსოვა. ორივე კალთის ზედა ქობა შემოკეცეთ, შემდეგ ისინი ჯერ მხოლოდ მხრებთან გაკერეთ რვა-რვა სანტიმეტრზე. შუაში 16 სმ ნავისებურ საყელოს მივიღებთ.

ბოლოდან 23 სმ-ზე გვერდით ნაწიბურებზე ამოკრიფეთ 70 თვალი და მოქსოვეთ ზედა და ქვედა ქობის ანალოგიური 3 სმ-იანი სახელო. ბოლოს კოფთა ჩაკერეთ გვერდებში და შემოუკეცეთ ქვედა ქობა და სახელოები.

შორტები იქსოვება ორ ნაჭრად ისე, რომ ნაკერები წინ და უკან ხვდება. დაიწყეთ ისევე 70 თვალით, ისეთივე 3 სმ სიბრტყის ქობით, როგორც კოფთა, იგივე ნახჭით სწორად უცვლელად მოქსოვეთ უბემდე 24 სმ (ამ ზომებში ქობის შიგნითა პირი არ შედის). ამის შემდეგ ორივე ნაპირზე დაიწყეთ თითო თვალის მოკლება ყოველ მეორე რიგზე. მოუკელით 9-9 თვალი და 52 თვალით გააგრძელეთ შარვლის ტოტის ქსოვა 30 სმ-მდე. შორტების სიგრძე სურვილისამებრ შეგიძლიათ გაზარდოთ. ტოტები კვლავ ორმაგი 3 სმ-იანი სიბრტყის ქობით დააბოლოვეთ. შეკერეთ შორტები, თავში და ბოლოში ქობები შემოუკეცეთ. სალტეში ბრტყელი რეზინი გაუყარეთ.

ჯიბისათვის აკრიფეთ 35 თვალი და მოქსოვეთ 10 სმ წინდისებური ნახჭით. 5 რიგის შემდეგ ჩააქსოვეთ ორნამენტი. ჯიბე დააბოლოვეთ „ლასტის“ 3 რიგით (6 რიგი სულ წალმა თვლებით).

ლატავრა თეთრაული





○ წითელი

V შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „დაწყევლილი სიყვარული“

ყოველი ცხოველი, მათ შორის ადამიანიც, თვითშენარჩუნების, გადარჩენის ინსტინქტით იბადება. მას გაჩენისთანავე „უყვარს“ საკუთარი არსება. ამ გაგებით, იგი თავიდანვე ეგოისტია.

ცხოველისამებრ, ადამიანიც ბუნების ნაწილია, თანაც ცნობიერებით აღჭურვილი, რითაც იგი თანდაყოლილი ინსტინქტების ამარა კი არ რჩება, რაც ცხოველისათვის სრულიად საკმარისია გადასარჩენად, მას არჩევანის საშუალება ეძლევა. მაგრამ, სანამ იგი მისთვის სასარგებლოს გარჩევას ისწავლის, ფიზიკური და სულიერი მომწიფების ხანგრძლივი პერიოდი უნდა გაიაროს და სწორედ ამაზეა დამოკიდებული დარჩება თუ არა იგი ეგოისტად.

ეგოისტი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს. იგი ყველაფერს თავისი საზომით უდგება, ყველაფერში საკუთარ სარგებელს დაეძებს. ცდილობს მეტი მიითვისოს და არაფერი გაიღოს, ყველა და ყველაფერი საკუთარი მიზნების მისაღწევ საშუალებად აქციოს. ეგოისტი შურიანია, ყოყოჩა და ამპარტავანი. მისთვის უწესო საქციელი ჩვეულებრივი მოვლენაა, სულგრძელობა და ქველმოქმედება კი — უაზრობა.

ახლა გავიხსენოთ ძველბერძნული თქმულება პირმშვენიერი ჭაბუკის, ნარცისის შესახებ, რომელმაც არაფრად ჩააგდო ასევე მშვენიერი ნიმფის — ექოს თავგანწირული სიყვარული. გულგატეხილი ექო ნარცისისადმი უპასუხო სიყვარულის დარდს გადაჰყვა. ამ უსამართლობისათვის აფროდიტამ დასაჯა ნარცისი,— ტბის დამდგარ წყალში ჩაახედა და დაანახა საკუთარი სახე. ჭაბუკი მონუსხა საკუთარი სილამაზის ხილვამ, ვეღარ მოაშორა მზერა საკუთარ სხეულს, საბოლოოდ მოწყდა გარემოს და თვითშეყვარებით აღტაცებულმა დალია სული. ლეგენდა გვიცხადებს, რომ ამგვარი „დაწყევლილი სიყვარული“, კატასტროფით, თვითგანადგურებით მთავრდება.

ახლა მოვიგონოთ ბიბლიაში „ოქროს ასოებით“ ჩაწერილი მოწოდება: — შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო და მივხვდებით, რომ ნარცისს არ შეეძლო ექოს შეყვარება. მან არ იცოდა რა იყო სიყვარული, მას ჯერ კიდევ არ ენახა წყლის სარკეში საკუთარი გამოსახულება. მაშინ მას ჯერ კიდევ არ უყვარდა საკუთარი თავი.

— რა გამოდის აქედან?— ის, რომ ეგოისტმა (იგივე ნარცისისტმა) არ იცის რა არის სხვისი სიყვარული და არ იცის იმიტომ, რომ მას საკუთარი თავი არ უყვარს.

ნარცისი დასაჯეს! — „ასწავლეს“ სიყვარული, მოხიბლეს საკუთარი სიმშვენიერით, მაგრამ, მას უკვე მოსპობილი ჰქონდა სიყვარულის სხვაზე გადატანის საშუალება — ექო აღარ არსებობდა. ამიტომ, მისი სიყვარული თავისთავზე მიჯაჭვული, ეგოისტური, ნარცისისტული დარჩა. ეს კი არ არის სიყვარული, რადგან, ქრისტიანული გაგებით: „სიყვარული სულგრძელია, ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ ჩადის უწესობას, არ ეძიებს თავისას“. სიყვარული არ არის და არც შეიძლება იყოს ნარცისისტული, ეგოისტური. დასკვნა ერთადერთია: ეგოისტს, ნარცისისტს არ უყვარს თავისთავი. მას არ შეუძლია სიყვარული. იგი ღუპავს ყველას, ვინც კი მისი სიყვარულით აენთება და თვითონაც დაიღუპება, თუკი თავისთავის სიყვარულით განიმსჭვალება.

ახლა ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდეთ და ჩვენს ირგვლივ მრავლადარსებულ ეგოისტურ პიროვნებებს ჩავუკვირდეთ. სამწუხაროდ, ეგოიზმს საზღვარი არა აქვს და ისეთი უანგარო გრძნობაც კი შეუძლია დათრგუნოს, როგორიც დედობრივი სიყვარულია. ეგოისტი — დედა შფოთიანია და ზედმეტად მზრუნველი. მას „გაგიჟებით უყვარს“ შვილი. მას არ შეუძლია დაიძინოს, თუ იმავე ოთახში საკუთარი, უკვე მოზრდილი შვილის „სუნთქვა არ ესმის“. სინამდვილეში კი ასეთი დედა გადამეტებული შფოთვითა და ზრუნვით ცდილობს თავისი ეგოისტური ბუნება და აქედან გამომდინარე შვილის მიმართ დაფარული გულგრილობა დამალოს. ამგვარი არაცნობიერი კომპლექსი კი იმითაა გამოწვეული, რომ დედობაში იგი უანგარო არ არის. მას საერთოდ არ შეუძლია რისამე მიმართ უანგარო იყოს, დედობა კი ესაჭიროება თვითდამკვიდრების, საკუთარი პიროვნული ხარვეზების ამოვსების, სიბერეში მარტოდ დარჩენის შიშის, ქალური პატივმოყვარეობის, ან სხვა ეგოისტური მიზნების მისაღწევად.

არსებობს ნარცისიზმის კიდევ ერთი სახესხვაობა, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად გამორიცხავს ეგოიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. ასეთი ადამიანები „სხვებზე გადამკვდარ“, „სხვისთვის თავგანწირულთა“ შთაბეჭდილებას ახდენენ, რომლებიც არაფრად აგდებენ საკუთარ პიროვნულ ინტერესებს. ჩვეულებრივ, მათი მცდელობა კეთილი საქმეებით ვერ გვირგვინდება. ისინი მხსნელად ვერავის ევლინებიან. ეს სხვები ხშირად წუხდებიან კიდეც მათი უადგილო ზრუნვით. ასეთ ვითარებას უკიდურესად დახვეწილი და სულის სიღრმეში გამჯდარი ეგოიზმი განსაზღვრავს, რის გამოც ადამიანს საკუთარი თავი შეძულებია, რაც სულიერი დეპრესიის, მძიმე და დაფარული ნევროზის გამოვლინებაა: ერთი სიტყვით, ეგოიზმი და თავისთავის სიყვარული სულაც არ არიან ერთგვაროვანი მოვლენები, პირიქით, ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო, ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებებია.

ასეთია ეგოიზმის, ნარცისიზმის ბუნება.

მაგრამ, ეგოიზმი საშიშ ფორმებსაც ღებულობს, როდესაც ის ადამიანთა ჯგუფებზე, იდეოლოგიურ ინსტიტუტებზე, პოლიტიკურ პარტიებზე, რელიგიურ მიმდინარეობებზე და ნაციონალურ მოძრაობებზე ვრცელდება.

ჩვენს სინამდვილეში, ცალკეული დაჯგუფებების ეგოისტურ-ნარცისისტული ბაცილით მოწამლულმა განწყობილებამ, დესტრუქციული ძალა შეიძინა და გამოიწვია ურთიერთდაპირისპირება, ექსტრემიზმი და სეპარატიზმი. სწორედ ამ კანონზომიერებებზე დაყრდნობით უნდა გავიაზროთ აფხაზეთის ომი, მისი ფსიქოლოგიური შინაარსი.

როდის უნდა დამთავრდეს ეგოისტურ-ნარცისისტული უბედურება?

ამ კითხვაზე მხოლოდ აბსტრაქტული პასუხის, რუსთაველური სიბრძნის იმედი უნდა გვქონდეს:

— „ბოროტსა სძლია კეთილმან“... მერე? — მერე „არსება მისი გრძელია“... ანუ ბოროტების დაძლევამდე დიდი, „გრძელი“ დრო გაივლის... სანამ, სანამ ადამიანის ბუნება არ შეიცვლება. სანამ იგი ეგოიზმისა და ნარცისიზმის ბორკილებს არ შემოიმსხვრევს. სანამ იგი თავისთავისა და მოყვასის სიყვარულს არ ისწავლის, სანამ იგი საერთო საკაცობრიო ჰუმანიზმის იდეებით არ განიმსჭვალება, სანამ იგი სულიერად ცივილიზებულ მოქალაქედ არ გადაიქცევა.

თენგიზ აბრამიშვილი
ფსიქიატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ბედი ეწევა პრინცესა დიანას გულსაბნევს?

**შეშფოთებას გამოთქვამს კანადელი ოქრომჭედელი ჟორჟ შვარცი ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში**









Არ ვიცი, ვის შეხვდება ეს საჩუქარი, თუ პრინცი ჩარლზი და პრინცესა დიანა მართლა გაიყრებიან, — მეუბნება ჟორჟ შვარცი, — და, იცით, მე ძალიან ვღელავ, ვწუხვარ და მენანება.

დასანანია, ინგრევა ლამაზი, ახალგაზრდა და, რაც არც თუ უმნიშვნელოა, სამეფო ოჯახი. მაგრამ ცნობილი კანადელი ოქრომჭედელი ყველაფერთან ერთად იმაზეც წუხს, რომ ალბათ ვერასოდეს გაიგებს, რა ბედი ეწევა მის ნახელავს — პლატინითა და 105 ბრილიანტით გაწყობილ ოქროს გულსაბნევს, რომელიც კანადამ საქორწინო საჩუქრად მიართვა პრინცესა დიანას.

თუ არ ვცდები, ჯერჯერობით საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ და თავისუფალ ქვეყანას, საერთაშორისო ასპარეზზე თავისი გულუხვობის გამოჩენის არც იმდენი შანსი ჰქონია, მაგრამ დადგება დრო — შესაძლოა სულ მალე, როდესაც დიდი პოლიტიკური მოვლენები დიდი ლამაზი საჩუქრების გაცემის აუცილებლობის წინაშე დაგვაყენებენ. ასეთია საერთაშორისო თანამეგობრობის ეტიკეტი, რომელსაც ვერც ჩვენ ავცდებით.

საინტერესოა, რა საჩუქარი შეუძლია გაამზადოს საქართველომ? როგორი ან რამდენად ძვირფასი უნდა იყოს იგი? ან ვისი ნახელავ-ნაოსტატარი იქნება ეს საჩუქარი? ამ კითხვებზე ფიქრისათვის შეიძლება ბევრი დრო აღარ დაგვრჩეს.

— რა თქმა უნდა, ეს ნამუშევარი შემობრუნების მომასწავებელი გახდა ჩემი, როგორც ოქრომჭედლის ბედ-იღბალში, — იხსენებს ჟორჟ შვარცი, — ეს ყველაზე მნიშვნელოვანი შეკვეთა იყო ჩემს სიცოცხლეში.

მაშინ, 1981 წელს, რამდენიმე კანადელ ოქრომჭედელს შესთავაზეს წარედგინათ თავიანთი ნახელავი სამკაულების ფოტოსურათები.

არავისთვის აუხსნიათ, რისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარდებოდა ასეთი არაოფიციალური კონკურსი, მაგრამ იმავე წლის ზაფხულში კანადაში უნდა გამართულიყო „დიდი შვიდეულის" თათბირი და ჟორჟ შვარცმა იფიქრა, ალბათ მთავრობათა მეთაურების ცოლებისთვის საჩუქრების გასამზადებლად არჩევენ ოქრომჭედლებსო (სხვათაშორის, ესეც ეტიკეტია). იმაზე კი ფიქრსაც ვერ ბედავდა, რომ სწორედ მას მიანდობდნენ პრინცესა დიანასათვის საჩუქრის გამზადებას.

ხომ ასე ცნობილი ხელოვანია ჟორჟ შვარცი, მაგრამ საოცრად თავმდაბალი და სასიამოვნო პიროვნებაა. მისი ოფისი პატრონს ჰგავს — თუმცა მონრეალის ცენტრში, ყველაზე დიდებულ ქუჩაზე მდებარეობს (აქ არის განლაგებული ყველაზე ძვირფასი მაღაზიები), მაგრამ თავისი მორთულობა-მოწყობილობით გამაოგნებელი სულაც არ არის. აქ ყველაფერი ლამაზი და სადაა. ჟორჟ შვარცი განათლებული და ინტელიგენტი ადამიანია. ძალიან მსიამოვნებს, რომ საქართველოს მდებარეობის ასახსნელად, რუკაზე შავი ზღვის ჩვენება არ მჭირდება. თვითონ წარმოშობით უნგრეთიდანაა, მეორე მსოფლიო ომმა პარიზში მოუსწრო, სადაც ოკუპაციის დროს დაკარგა მშობლები. ჯერ საინჟინროზე სწავლობდა, მერე დიზაინმა გაიტაცა, ოქრომჭედლობამ, მერე კანადაში მოხვდა. ერთი სიტყვით, ახლა ჟორჟ შვარცი კანადელია, აქა ჰყავს ოჯახი — ცოლი, ორი შვილი და უკვე შვილიშვილებიც. მას აქვს ჰობი, თუმცა მგონი, ეს მთლად სწორად ვერ ვთქვი. ეს უბრალოდ ჰობი არ არის. აგერ უკვე 40 წელია, რაც ჟორჟ შვარცი კანადის გაზეთებში სპორტის შესახებ წერს და ის კი არა, ყოველკვირეული ნახევარსაათიანი პროგრამაც კი მიჰყავს ტელევიზიაში. მისი, როგორც სპორტული კომენტატორის სახელი და დიდება ოდნავადაც არ ეხება მისი, როგორც ოქრომჭედლის სახელსა და დიდებას. უბრალოდ ადამიანთა უმრავლესობას ვერაფრით ვერ გაუერთიანებია, გონებაში ვერ გაუიგივებია — ორი ერთნაირი სახელი, იმდენად ძნელად დასაჯერებლად ეჩვენება ეს ამბავი ყველას.



— დიანასათვის მისართმევად გულსაბნევი ,იქნა არჩეული, — მიყვება ჟორჟ შვარცი, — იმიტომ, რომ ეს „ხელებს გვიხსნიდა" — არც თითის ზომის აღება იყო საჭირო ბეჭდისთვის და არც მაჯისა სამაჯურისთვის. მე გავაკეთე პროექტი, განვსაზღვრე რა მასალები უნდა გამომეყენებინა: მოლურჯო-მომწვანო მინერალი — ეს კანადური ქვაა, აქ ეს მინერალი, რომ იტყვიან, ფეხქვეშ გვიყრია, ბრილიანტები აქაურების ყველაზე საყვარელი და პოპულარული თვალია. და, რაღა თქმა უნდა, ოქრო და პლატინა. ეს „მეფეთა" ლითონია. პროექტი წინასწარ გაგზავნეს ბუკინჰემის სასახლეში და იქ ვისაც ეხებოდა, ალბათ სამეფო ოჯახის წევრთაგანმა, საჩუქარი მოიწონა. მაშინვე კეთებას შევუდექი. ქვების არჩევის უფლება და დრო — ერთი თვე მომეცა.

— ქორწილის შემდეგ თუ მოუმართავთ სამკაულის გამეორების თხოვნით? — ვეკითხები ჟორჟ შვარცს (ალბათ ძალზე ქართული შეკითხვაა. ჩვენ ხომ ასე გვიყვარს, რომ ყოველივე უმაღლესი კლასისა გვქონდეს).

— იცით, აქ სასაცილო რამ მოხდა. როცა გაზეთში ქორწილისა და საქორწინო საჩუქრების ფოტოსურათები დაიბეჭდა, ჩემი სახელი ისე ხშირად და ისე ხმამაღლა გაისმოდა, რომ ბევრმა რატომღაც გადაწყვიტა, ქორწინების ბეჭედიც ჩემი ნახელავი იყო. ეს ბეჭედი, რომელიც სხვათა შორის, ერთობ კონსერვატულია, სამეფო კარის ოქრომჭედელმა გააკეთა, მაგრამ მე სწორედ ამ ნაკეთობაზე მივიღე ბევრი შეკვეთა, მრავალ ადამიანს უნდოდა ჰქონოდა ისეთი ბეჭედი, „როგორიც დიანასა აქვს". დიანას გულსაბნევი არასდროს გამიმეორებია.

— მართალია, რომ ზოგ ქვას ბედნიერება მოაქვს, ზოგს კი არა?

— არა მგონია. მუშაობის ორმოცი წლის მანძილზე ხშირად შევსწრებივარ, როგორ გამხდარა ერთი და იგივე ქვა ბედნიერების სიმბოლო ერთისთვის, ხოლო ისეთივე ქვის სხვა მფლობელი უბედური ყოფილა. ამიტომ მე ვერც კი ვურჩევ ვინმეს რომელი ქვით შემკული ნივთი შეიძინოს.

...არავინ იცის, გაიყრებიან თუ არა ბოლოს და ბოლოს პრინცი ჩარლზი და პრინცესა დიანა. არავინ იცის, როგორ გაიყოფა ქონება. არავინ იცის, რომელი საქორწინო საჩუქარი აღმოჩნდა მათთვის ბედნიერი და რომელი არა. მათ ხომ 12 წელი იცხოვრეს ერთად და ორი შვილიც ჰყავთ. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ ვიცით. ოდესმე ჩვენი ჯერიც მოვა, ჩვენც მოგვიწევს საჩუქრების გაკეთება, ხოლო ჩვენ, ქართველებს თავის შერცხვენა არ გვჩვევია.

**პეპი გოგორიშვილი**
კანადა
სპეციალურად „საქართველოს ქალისთვის"

# მშობლიური



შარშან ჩემმა საქმრომ სამობაოდ თავისი მშობლების სახლში მიმიწვია — გვწერს 25 წლის ისაბელი, — ძალიან გამიხარდა, რადგან კარგა ხანია მსურდა ნათესავების გაცნობა. ისინი მალავაში ცხოვრობენ და ისე გულთბილად მიმიღეს, რომ სულ მალე შინაურივით ვგრძნობდი თავს. მართალია, ყველა თავს მევლებოდა, მაგრამ მე ყოველ წუთში საათს ვუყურებდი, ჩემს სახლზე ვფიქრობდი და ცრემლებს ძლივს ვიკავებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახლის მონატრება

წარმოვიდგინე, როგორ ისხდნენ მოწყენილები საშობაო სუფრასთან და ნაღვლიანად უყურებდნენ ცარიელ სკამს, სადაც მე უნდა ვმჯდარიყავი. როცა ვიგრძენი, რომ მეტს ვეღარ გავუძლებდი, ტელეფონს ვეცი და სახლში დავრეკე. აღმოჩნდა, რომ მშობლებს მშვენივრად ესმოდათ ჩემი, მხიარულობდნენ და დროს ატარებდნენ.

მერე დიდხანს ვიმტვრევდი თავს, რა დამემართა-მეთქი. მე უკვე ზრდასრული, საკმაოდ დამოუკიდებელი გოგო ვარ, ხშირად მიწევს სახლიდან შორს ყოფნა, ნეტავ რას ნიშნავდა ნოსტალგიის ის შეტევა?“

იზაბელს ვუპასუხებთ, რომ ნოსტალგია სრულიად მოულოდნელად შეიძლება გვეწვიოს და სულაც არ არის აუცილებელი იმ წუთში უბედურად ვგრძნობდეთ თავს. ეს ძალზე ინტიმური, ამოუცნობი და უკონტროლო გრძნობაა, რაც დიდ ნაღველს იწვევს. ნოსტალგიის შეტევისას ისეთივე შეგრძნება გვეუფლება, როგორც მრავალი წლის წინათ, დედამ პირველად რომ დაგვტოვა კოლეჯში. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ მიტოვების შეგრძნება, რომელიც საიმედოდ ჩაგვებეჭდა შემეცნებაში, დროდადრო თავს შეგვახსენებს ხოლმე. როცა მშობლიური კერა, დედა, მამა ან ბავშვობა მოგვენატრება, უცნაური მოგონებები გვეხვევა ხოლმე გარს. გვახსენდება ბებიას გამომცხვარი ნამცხვარი, დედის შემწვარი წიწილა, ძმის ხუმრობები და სხვა წვრილმანები და თვალები ცრემლით გვევსება ხოლმე.

ნოსტალგია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, — ამტკიცებს ფსიქოლოგი ელენა ვარელა, — ჯერ კოლეჯში მივდივართ, შემდეგ არდადეგებს ვატარებთ სახლიდან შორს, სხვა ქალაქში ვაგრძელებთ სწავლას და ვიწყებთ მუშაობას. შემდეგ საკუთარ ოჯახს ვქმნით და საკუთარ სახლს ვაშენებთ. მაგრამ საკმარისია საკუთარ თავთან მარტო დავრჩეთ, ან პრობლემები გაგვიჩნდეს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გვქონდეს მისაღები ან ემოციურად გადავიღალოთ, რომ ნოსტალგიაც თავს შეგვახსენებს.

იზაბელი დადებით ემოციებს ვერ გაუმკლავდა, ანას კი პირიქით მოუვიდა.

„მე სხვა ქალაქში ვსწავლობდი და სახლი მაინცდამაინც არ მენატრებოდა. ბოლო კურსზე დაბადების დღის გადახდა დავაპირე. ჩემებმა მთხოვეს, ეს დღე სახლში გამეტარებინა, მაგრამ გამგზავრება დამეზარა. თან მეგობრებთან ყოფნა მერჩივნა. მაგრამ რატომღაც ვერც მეგობრები გავაფრთხილე დროზე. მოკლედ, საკუთარ დაბადების დღეს მარტო შევხვდი. საღამოს ჩემი ცარიელი მაცივარი გამოვაღე და უცებ თვალწინ ჩემი სახლის ნუგბარი საჭმლით გატენილი მაცივარი წარმომიდგა. თვალნათლივ დავინახე ტორტი, რომელიც დედამ იყიდა ჩემი დაბადების დღისთვის. საშინლად მომინდა ჩემს საწოლში ჩაგორება და პლუშის დათვთან ჩახუტება. იქვე ჩავჯექი და ავტირდი 5 წლის ბავშვივით. არა და, ოცდასამის ვხდებოდი.

მშობლიური სახლის მონატრება შეიძლება სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებმა გამოიწვიოს. ჩუსს, რომელიც გალისიიდან მადრიდში გადასახლდა, ეს გრძნობა წვიმის დაწყებისთანავე ეუფლება. „ყოველთვის, როცა წვიმს, ვნაღვლიანდები ხოლმე. ჩემს მეგობრებს ჰგონიათ, რომ წვიმა არ მიყვარს, სინამდვილეში პირიქითაა. წვიმა მიყვარს, რადგან ის ჩემს სახლს მაგონებს“.

ხუანამ, რომელიც სარეკლამო სააგენტოში მუშაობს, სამსახურის გამო უკვე სამჯერ გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი. „ყოველთვის, როცა პრობლემები მიჩნდება, ვგრძნობ დაუძლეველ სურვილს მშობლიურ სახლში მივირბინო და ჩემს ოთახში ჩავიკეტო. თუმცა, როცა შვებულებას სახლში ვატარებ, ერთი კვირის შემდეგ უკვე გამოქცევაზე მიჭირავს თვალი“.

ლუიზამ ეს გრძნობა გათხოვების შემდეგ გამოსცადა. „საქორწინო მოგზაურობიდან რომ დავბრუნდით და ჩემს ახალ სახლში შევაბიჯე, წარმოუდგენელი ნაღველი დამეუფლა. თავი მიტოვებულად ვიგრძენი უცხო გარემოში და ჩემს მშობლიურ სახლში ყოფნა მომინდა. არადა, უკვე 33 წლის ვიყავი, ბოლო შვიდი წელი ჩემს საქმროსთან ვატარებდი არდადეგებს და საერთოდაც თავს დამოუკიდებელ ადამიანად ვგრძნობდი. ეს გრძნობა კარგა ხანს გამყვა და ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ჩვენს ურთიერთობაზეც იმოქმედა, რა თქმა უნდა, უარყოფითად.

ფსიქოლოგი ელენა ვარელა ამტკიცებს, რომ ნოსტალგიას ცხოვრებაში მომხდარი სასიამოვნო თუ უსიამოვნო ცვლილებებიც იწვევს, დიახ, სასიამოვნო ცვლილებებიც, რადგან ამ დროსაც კი ადამიანის შეგნებაში ილვიძებს ქვეშეუცნობი შიში და მშობლიურ სახლში თავშეფარების დაუძლეველი სურვილი. მისი აზრით, ეს არის ადგილი, სადაც დაზღვეული იქნება ყოველგვარი მოულოდნელობებისგან.

ზოგჯერ ადამიანი შეგნებულად მიისწრაფვის დამოუკიდებლად ცხოვრებისკენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისევ მშობლებთან უნდა ყოფნა. ასე დაემართა როსას.

„თვრამეტი წლის ასაკიდან ვოცნებობდი მარტო ცხოვრებაზე, — ამბობს იგი, — მაგრამ მხოლოდ 29 წლისამ განვახორციელე ოცნება, ბინა ვიქირავე. მთელი შვებულება მოვანდომე მის რემონტს და ჩემს გემოზე მოწყობას. მშობლებს ესმოდათ ჩემი და ყოველნაირად მიწყობდნენ ხელს. ერთ დღეს ჩემებს ვესტუმრე. სახლში შევედი თუ არა, საშინლად მოვიწყინე, ოთახებში დავდიოდი, ავეჯს ხელით ვეხებოდი და ჩემს ოთახში რომ შევედი, ცრემლები წამსკდა“.

ფსიქოლოგების აზრით, ასეთი ნოსტალგია ქალებს უფრო ემართებათ. ისინი კაცებზე ნაკლებად დამოუკიდებელები არ არიან, მაგრამ მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახურ ურთიერთობას და უფრო მჭიდრო სულიერ კონტაქტს ამყარებენ გარემომცველ სამყაროსთან (სახლთან, ეზოსთან, ნივთებთან, ბავშვობის მოგონებებთან).

ადამიანი ადრე თუ გვიან ტოვებს მშობლიურ კერას და საკუთარ ოჯახს ქმნის. ეს ბუნებრივი მოვლენაა, ისევე, როგორც ძველი სახლის მონატრება. როცა მსგავსი ნოსტალგია დაგეუფლება, საუკეთესო საშუალება ბავშვობის ადგილების მონახულებაა. თუ ასეთი შესაძლებლობა არ გაქვს, დაფიქრდი და მიხვდები, ეს მონატრება შენი აქტუალური ცხოვრების რომელიმე გარდამტეხ ეტაპზე ხდება. ყურადღება გადაიტანე აწმყოზე და პრობლემების მოგვარებას შეეცადე. როცა ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება, ნოსტალგიის შეტევაც გაივლის.

ესპანურიდან თარგმნა
**თეა გვასალიამ**
ჟურნალი „კოსმოპოლიტან“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე ამღერებული პოეტი

სიმღერას სასწაულის მოხდენა შეუძლია და თუ ღმერთი რომელიმე ენაზე ლაპარაკობს, უპირველეს ყოვლისა, მე ასე ვფიქრობ, იგი ალბათ მუსიკის, სიმღერის იმ განსაკუთრებულ ენაზე მეტყველებს, რომელიც მართლაც რომ ღვთიური ძალით ერთმანეთთან აახლოვებს ადამიანებს და სასიკეთოდ განაწყობს მათ.

მორის ფოცხიშვილი



● ორი მეგობარი — გიორგი ცაბაძე და მორის ფოცხიშვილი



ამ ჭეშმარიტ მამულიშვილზე, უჩვეულო ბედის ადამიანზე ბევრი შეიძლება ილაპარაკო. ამბობენ, ადამიანი უფრო კარგად რომ შეიცნო, მისი მეგობრები უნდა გაიცნოო. სწორედ ამან მიმიყვანა ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის მეუღლესთან, ქალბატონ თამართან და მის ვაჟიშვილთან — კომპოზიტორ კახა ცაბაძესთან.

სამოციან წლებში დაუწყიათ მჭიდრო თანამშრომლობა პროფესიულ ესტრადაზე ახალგაზრდა პოეტს მორის ფოცხიშვილსა და კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს, მათმა შემოქმედებითმა დუეტმა მალე მოიპოვა წარმატება, ხოლო პირადი ურთიერთობა ძმურ სიყვარულში გადაიზარდა. მეგობრობა ოჯახის წევრებსაც გადაედოთ.

ქალბატონ თამარისგან შევიტყვე, რომ ამ ორ განუყრელ მეგობარს აკავშირებდა პიროვნული მსგავსებაც: სიხპეტაკე, კაცთმოყვარეობა და ყველაფერი ის, რაც კარგ ქართველშია თავმოყრილი. ხოლო, როცა ვთხოვე დაეხასიათებინა მორისი, მითხრა: მორისი ღრმა პიროვნება გახლდათ, მისი სულიერი მშვენიერების დასანახად საჭირო იყო მასთან სიახლოვე.

ტექსტი და მუსიკა განუყოფელი იყო გოგისათვის. სწორედ ეს იზიდავდა მორისს და სასიმღეროდ ტექსტების სულ სხვადასხვა ვარიანტები მოჰქონდა, რომლებსაც წინასწარ ეწერა — „ტექსტი მორის ფოცხიშვილის, მუსიკა — გიორგი ცაბაძისა“, ეს მაშინ, როცა მუსიკა ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ასეთი ფურცლები მრავლად მოიპოვება ოჯახში... და იყო გახსენება მათი ერთობლივი მუშაობისა „ვერის უბნის მელოდიებზე“, როდესაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ პოეტი და კომპოზიტორი.

კახა ცაბაძეს ასეთი ფრაზაც კი წამოსცდა: რაც თავი მახსოვს, მორისი სულ ჩვენთან იყოო. მან, როგორც კომპოზიტორმა თავისი შემოქმედება მორის ფოცხიშვილის ლექსით დაიწყო. გაიხსენა ბოლო ლექსზე მუშაობა: „მელოდიის“ თანამშრომლებმა უსასყიდლოდ მოამზადეს კლიპი საყვარელი პოეტის პატივსაცემად. სიმღერა უკვე მზად იყო, როდესაც ტკივილებისაგან სასოწარკვეთილ მორისს ტკივილგამაყუჩებლის გაკეთების წინ უთქვამს: ჯერ სიმღერას მოვისმენო. მართლაც და, მთელი გული, მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა ჩაქსოვილი პოეტს ამ ლექსში, რომელიც მისი შემოქმედების ერთგვარი შეფასებაა... მან უცრემლოდ ვერ მოისმინა მუსიკა, მოეწონა, მაგრამ ველარ ილაპარაკა. რადგან უკვე...

...მიდიოდა ამ ქვეყნიდან ამღერებული პოეტი ღმერთთან და თან მიჰქონდა მუსიკა მასთან სასაუბროდ.

თამარ ნინიძე





ნაზი კილასონია

# მადლობელი ვართ

„ჩაიარა აგვისტომა, გზები აფერებული“... ჩაიარა და თან გაიყოლა ნაზი კილასონიას სული...

„ცოცხალ ენციკლოპედიას“ ვეძახდით ნაზის, ისე მკაფიოდ იყო გაცხადებული მისი განათლებულობა და ლამის ყველაფრისმცოდნეობა; აღარას ვამბობთ მის პოეზიაზე, მის მშვენიერ, მგრძნობიარე ლექსებზე, მკითხველის გულისგულამდე რომ აღწევს და იქ ივანებს.

დიდ შემოქმედთა მერჩშდენეობა ვინ თქვა და მაინც: ნაზი კილასონია ჩვენს პოეტ ქალებში ერთ-ერთი პირველთაგანია. თუმცა მისი მშვენიერი ლირიკის მრავალი მარგალიტი უკვე გამომზეურებულია და ცნობილიცაა, მაინც საკმაოდ მიჩუმებულ-მიყუჩებულია და თავის დღესასწაულს ელის— ნაზი კილასონია მომავლის პოეტია.

„მადლობელი ვარ ყველაფრისათვის“-ო — მოასწრო ამის თქმა პოეტმა და ისე წავიდა იმ ქვეყნად. ავმა სენმა, მთავარმა მიზეზმა მისი უგუნებობისა და ხელჩაქნეულობისა, ლამის მთლიანად რომ გამოხრა, ვერ ათქმევინა ავუგი წუთისოფელზე, დღენიადაგ სიკვდილს დანატრებული მაინც მადლობელი დარჩა.

უცნობისათვის, ნაცნობისათვის
ამა სოფელში გამზელისათვის,
თვალის პირველი აზელისათვის,
გაგებისათვის,
განგებისათვის,
მადლობელი ვარ ყველაფრისათვის“..

ჩვენც მადლობელი ვართ, ქალბატონო ნაზი, იმ წლებისათვის, ჩვენს რედაქციაში ასე ნაყოფიერად რომ გაატარეთ და ნიჭიერი კალმით ბევრი თაყვანისმცემელი შესძინეთ ჟურნალს, მადლობელი ვართ იმ ლამაზი მოგონებებისათვის, თქვენ რომ დაგვიტოვეთ, იმ მაზვილი გონებისა და მოქნეული სიტყვისათვის, იმ ლირიკისათვის, ასე რომ გვითბობს გულს.

მადლობელი ვართ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „საკუთარი საწოლი რომ მქონდეს"...





გავთხოვდი თუ არა, დათუნა გამიჩნდა. ვთქვი, ღმერთი რამდენ შვილსაც მომცემს, იმდენს ვიყოლიებ-მეთქი"...

მართლაც, ოთხი შვილის დედა გავხდი. ბავშვები თითო წლით არიან ერთმანეთზე უფროს-უმცროსნი... ყველა მილოცავდა, მამხნევებდა და მაიმედებდა. მეც მეამაყებოდა... ახლა კი, აუტანელმა სიდუხჭირემ საწყევარად გადაგვიქცია ეს სიამაყეცა და სიხარულიც!

დღე-დღეზე ბინის მიღებას ველოდებოდით... ომი დაიწყო და ჩვენი იმედებიც თავზე ჩამოგვექცა — ამ პატარა სამზარეულოში მიგვიჩინა სამუდამო ადგილი. წამომეზარდნენ ბავშვები და კიდევ უფრო გაგვიჭირდა ამ სივიწროვეში ცხოვრება...

ეს სამზარეულო არის ჩვენი საძინებელიც, ბავშვების სათამაშოცა და სასტუმროც.

ასე, ერთ საწოლზე არიან ყველანი მოკალათებულნი დღე და ღამე... ეს ერთი რკინის საწოლია მათი სამყოფელი... ანკი როგორ ვითარდებიან, მიკვირს...

ისნის რაიონში ვცხოვრობთ, გურჯაანის ქ. № 18-ში.

კარგად ვიცი, ჩემნაირი გაჭირვებული, ბევრი ლტოლვილი ოჯახი წარმოშვა ამ ომმა, ბევრი დედაშვილიც სამათხოვროდ გაიმეტა...

მე კი — მომკლას ღმერთმა, როცა ლუკმა-პურისათვის ქუჩაში დავჯდე... რას დაიმახსოვრებენ ბავშვები თავისი ისედაც უფერული ბავშვობიდან, დედის სამათხოვროდ გაწვდილ ხელს? — არასოდეს!

თუ თბილისის ქუჩებს კარგად დავაკვირდებით, იქ მათხოვრების გარდა, უცხოური მარკის მანქანებიც მომრავლდა! ვერავინ დამარწმუნებს, რომ მათ თანამოძმეთა ყოფა არ აწუხებთ, მაგრამ ბევრმა არც იცის, თუ როგორ, რა გზით დაეხმაროს ამდენ გაჭირვებულს, ამასაც რაღაცა გარკვეული ფორმის მოძებნა უნდა, რაზეც ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ!

ჩემი მეუღლე, სოსო გოგიჩაიშვილი, მშრომელი, კირკიტა კაცია — ყველანაირი საქმე ეხერხება... მაგრამ ერთმა უბედურმა შემთხვევამ მარჯვენა ხელის თითები დააკარგვინა... ქარელის რაიონის სოფელ ატოცში მიწისძვრას ძლივს გადაურჩა მისი მშობლების სახლიც, რომლის დაბზარულ კედლებს შიშით შევცქეროთ ხოლმე ზაფხულობით, როცა იქ ავდივართ...

სოფელში ვიცხოვრებდით... მაგრამ ზამთარი ხანგრძლივი, დიდთოვლიანი და ყინვიანი იცის. არც წყალია ახლოს. ხშირად ირთვება ელექტროენერგიაც, ექიმიც სანთლით საძებნელია, მოკლედ, არსებობის არანაირი საშუალება არ არის...

სოფელზე დიდი ხანია არავინ ზრუნავს... იქ რომ წავიდეთ, სრული უსახსრობა გველოდება...

ამ ომმა გული იმითაც მომიკლა, რომ ჩემი ერთადერთი იმედი, ჩემი ძმა — ამირან მიქელაძე შეიწირა... კარგა ხანს, როცა ქირით ვცხოვრობდით, გვეხვეწებოდა, მოდით, ჩემთან იცხოვრეთო, მეც დაგეხმარებითო! ახლა მასაც ოჯახი უპატრონოდ დარჩა, მცირეწლოვანი ბავშვით...

ეს ტელევიზორიც ბავშვებს საჩუქრად ამირანმა დაუტოვა. მულტფილმები ხომ ერთადერთი გასართობი, ერთადერთი სიხარულია მათთვის... ახლა ისიც გაგვიფუჭდა და იმის შეკეთებას კი ათასებიც არ ეყოფა... მოკლედ, ჩვენზეა ნათქვამი: „გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო"...

მარგარინი მოგვცეს ამას წინათ სიებით. მაცივარიც არა გვაქვს, რომც მქონდეს, სად დავდგამდი... სარეცხს ზამთარ-ზაფხულს ეზოს ონკანთან ვრეცხავ... ესეც არაფერი!

ძალიან კეთილი მეზობლები მყავს. უყვართ ჩემი ბავშვები და ეცოდებათ კიდეც. მეხმარებიან, როგორც შეუძლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა მათგანს, ვინც თანაგრძნობის კალთას გადაგვაფარებს.

ეჰ, კეთილი ნათესავები რომ არ მყოლოდა, ამაზე უარეს დღეში ჩავცვივდებოდით. ხშირად მოაქვთ ბავშვებისათვის ჩასაცმელი, პროდუქტი, თავის წილ ლუკმას ჩვენ გვინაწილებენ...

მინდა ჩემი ფიქრებით შევეხმიანო იმათაც, ვინც მრავალშვილიანი დედაა... დედებო, იცოდეთ, ომი მალე დამთავრდება... ბევრ შაოსანს შეაშრება თვალზე ცრემლი... და როგორც შავ-თეთრ ზამთარს ფერადი გაზაფხული მოჰყვება ხოლმე, ისე შემოაბიჯებს საქართველოს მადლიან მიწაზე ნანატრი მშვიდობა. ბუნების კანონი ასეთია.

ჩემი ფიქრებიც იმიტომ გაგიმხილეთ ასე ხმამაღლა, რომ იმედით იცხოვროთ. გულკეთილ ადამიანებს რა დალევს ამ მადლიან მიწაზე. მათაც მოვუწოდებ — იქნებ უკეთ მიიხედ-მოიხედონ თავის გარშემო და რითიც შეუძლიათ, ხელი შეაშველონ დანგრევის პირამდე მისულ ჩვენნაირ მრავალშვილიან ოჯახებს...

ჩვენს მთავრობას, ქალაქის მერიას, არაფერსა ვთხოვ. ვიცი, უფრო რთული პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი, ათასობით ლტოლვილი ოჯახი ჰყავთ მისახედი, საპატრონებელი... მხოლოდ მორიდებით გავუმხელ ჩემი შვილების ნატვრას: საკუთარი საწოლი რომ მქონდეს!!!

**ირმა მიქელაძე-გოგიჩაიშვილს პურის რიგში შევხვდი. მომიყვა თავის ცხოვრებაზე... ვერ მოვისვენე და შინ გავყევი.**

**მინდოდა, ირმას ტკივილისათვის თვალებში ჩამეხედა. მზიანი ეზო სარეცხით იყო სავსე, ირმას თვალები — ცრემლებით. ამ სივიწროვეში საოცარი სისუფთავე და წესრიგი შევნიშნე... ბავშვები სუფთად ჩაცმულები... ყურადღებით მომზირალი მეზობლებიც დავლანდე აქა-იქ.. და ყველაზე პატარა თამრიკო· თავის საწოლში მიჯაჭვული, ორი წლის ბავშვი არასრულფასოვანი კვების გამო რომ ვერ დადის. საჭირო წამლებს კუპონებზე ვერ ყიდულობენ.**

**ვინატრე, სასწაულმოქმედი ვყოფილიყავი და შემძლებოდა ამ პატარებისათვის ნათელი ოთახები სათამაშოებით, ხილითა და ტკბილეულით ამევსო. ო, როგორი მზეები აციმციმდებოდა მათ სევდიან თვალებში, მე რომ სასწაულმოქმედი ვყოფილიყავი და ეს შემძლებოდა...**

**ნუნუ დალაქიშვილი**

# სასარგებლო რჩევები

● თხელ ქსოვილს წითური ლაქები რომ არ დააჩნდეს, გარეცხვის წინ მოხსენით ლითონის ღილები, სამაგრები და ა. შ. გამოსახარშად გამზადებულ საცვლებს მოაჭერით პლასტმასის ღილები — ხარშვის დროს იბრიცება. თეთრი ფერის ტანსაცმელზე მიკერებული აპლიკაციები მოხსენით — ალარ გახუნდება.

● გარეზინებული ლაბადები კარგად ირეცხება ნიშადურის სპირტიან ხსნარში (1 ჩაის კოვზი 2 ლ წყალზე).

● ნატურალური თხელი აბრეშუმის ბოლო ამოვლებისას წყალში ჩაუმატეთ ნატეხი შაქარი (1 ლ წყალზე) და ცოტა ლიმონმჟავა. შედარებით სქელი აბრეშუმი შეიძლება გაავლოთ მარილიან წყალში.

● შიფონს ავლებენ ცივ წყალში, სადაც ჩამატებულია 2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი.

● ნატურალური აბრეშუმის ბზინვარების აღსადგენად გახეხეთ უმი კარტოფილი, გაწურეთ მიღებული სითხე, გააზავეთ თბილი წყლით და ამ ხსნარში ჩაალბეთ აბრეშუმის ნაჭერი. 3 საათის შემდეგ გაავლეთ და იგი ახალივით აბზინვარდება.

● თუ აბრეშუმის ქსოვილი უთოთი მიგეწვათ, სასწრაფოდ მოამზადეთ ფაფა საჭმლის სოდითა და წყლით და გაუსვით ლაქას. როცა ის გახმება, სოდა მოაცილეთ ჯაგრისით, შემდეგ ამოავლეთ ცივ წყალში.

● კაბა, რომლის გაუთოება არ შეიძლება ძალიან ცხელი უთოთი, დაკიდეთ ცხელწყალჩასხმული ჯამის ზემოთ. როცა ის „დაიორთქლება“, ჩამოკიდეთ მხრებით საკიდზე გასაშრობად, შემდეგ კი თბილი უთოთი გააუთოვეთ.

● ხელოვნური ნაჭრის მამაკაცის პერანგები, ქალის ბლუზები და კაბები უნდა გაშრეს ყველა ღილზე შეკრული, რის შემდეგ ისინი დაუთოებას არ მოითხოვენ და საკმარისია ოდნავ თბილი უთოთი „შესწორება“.

● აბრეშუმის ქსოვილს ელასტიურობასა და სიმკვეთრეს დაუბრუნებს ჟელატინით გახამება: მას უმატებენ ამოვლების დროს.

● ხელოვნური ბოჭკოსაგან ნაკეთები კორსეტები, ქამრები, ბიუსჰალტერები გარეცხეთ „რპილ“ სარეცხ საშუალებებში — „ოლანი“, „სუპერალი“, „კაშტანი“, ბოლო ამოვლებისას წყალში ურევენ რამდენიმე წვეთ ნიშადურის სპირტს.

მოამზადეს **მარლენ აბაზაშვილმა, მზია გოგიშვილმა.**

## ამოჭერით, გამოგადგებათ

ერთი მუჭა ვარდის ფურცლებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 15-20 წუთი. დღეში 2-ჯერ გაიწმინდეთ სახის კანი. ეს პროცედურა ზაფხულში ახალისებს კანს. ვარდის ფურცლების ნაყენისაგან შეიძლება დაამზადოთ პატარა ყინულები სახის, კისრის და გულმკერდის გასაწმენდად.

რეცხვისას ქსოვილის ფერები რომ გავაცოცხლოთ, გასავლებ წყალს დავუმატოთ:

შავი ფერის ქსოვილისათვის — მარილი,

წითელი და ცისფერისათვის — ძმარი,

ვარდისფრისათვის — ნიშადურის სპირტი.

ყვითელისათვის — ხახვის კანის გაწურული ნახარში.

ნატურალური აბრეშუმის კაბებსა და ბლუზებს ფერსა და ელვარებას უნარჩუნებს ჩვეულებრივი მარილი. ამისათვის გარეცხვის შემდეგ გაავლეთ მარილწყალში (50 გ. მარილი 2 ლიტრ წყალზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიყვარულსაც ცოდნა უნდა

ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოთერაპევტმა ვირჯინია სატირმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ოჯახის ინსტიტუტის შესწავლას შეალია. იგი სამართლიანად ითვლება ოჯახის ფსიქოლოგიის და ოჯახის თერაპიის ფუძემდებლად, პრაქტიკოსი ფსიქოლოგები დღემდე წარმატებით იყენებენ მის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიულ მოსაზრებებს ოჯახის შესახებ. იგი საოცრად გახსნილი პიროვნება იყო და სხვებსაც ურჩევდა, გახსნილად გამოეხატათ დადებითი ემოციები. ადამიანები ყოველდღიურად უნდა ხვეწდნენ ურთიერთობის ფორმებს. ოჯახი ურთულესი სოციალური ინსტიტუტია. ადამიანების დიდი ნაწილი ეგუება ისეთ ცხოვრებას, რომელიც მას განგებამ არგუნა. მას ვერც წარმოუდგენია, რაიმეს შეცვლა თუ შეიძლება. არადა, მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე ოჯახიდან, ფუძიდან მომდინარეობს.

ვირჯინია სატირმა ჩამოაყალიბა სამი კითხვა. მასზე გაცემული პასუხები დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ, თუ როგორია ჩვენი ოჯახი.

## როგორ გრძნობთ თავს საკუთარ ოჯახში?

**1. როგორ გრძნობთ თავს საკუთარ ოჯახში?**

**2. არიან თუ არა თქვენი ოჯახის წევრები თქვენი მეგობრები?**

**3. უბრალოდ მიჰყვებით ცხოვრების დინებას, თუ ოჯახის წევრთა ურთიერთობა ხალისითა და ინტერესით გავსებთ?**

თუ სამივე კითხვაზე დადებითად უპასუხეთ, ესე იგი, უკეთესი რიგზეა, თქვენ ჰარმონიული ოჯახი გქონიათ, სადაც ყველა ლაღად და მშვიდად გრძნობს თავს. უარყოფითი პასუხები კი იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახში უამრავ სიძნელეს და პრობლემას მოუყრია თავი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ცუდი ოჯახი გაქვთ. უბრალოდ თქვენი ოჯახის წევრებმა არ იციან, როგორ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. ნუ გაგიკვირდებათ — სიყვარულსაც ცოდნა უნდა!

ვირჯინია სატირი გამოყოფს ოჯახის ორ ტიპს: სალი ოჯახი და პრობლემური ოჯახი. სალი ოჯახის წევრები კარგად ეგუებიან, უსმენენ ერთმანეთს. თუ არ მოუსმინე, ვერ გაუგებ! ამგვარ ოჯახში ყველა სიძნელე დაძაბულობის გარეშე დაიძლევა. აქ წუხილი, გაბრაზება, დარდი იშვიათია. რა თქმა უნდა, აქაც სტკივათ, რაღაცაზე გული სწყდებათ, მაგრამ არ ეუხერხულებათ გრძნობების გამოხატვა. იციან, რომ მის დარდს გაიზიარებენ.

ნუ იფიქრებთ, რომ ასეთი ოჯახი არ არსებობს. თუ კარგად დააკვირდებით, აუცილებლად „აღმოაჩენთ“ ასეთ ოჯახებს თქვენს გარშემო. აბა, გაიხსენეთ, რომელ ოჯახში გრძნობთ თავს კარგად, სადაც, როგორც იტყვიან, ეკლებზე არ ზიხართ. ამგვარ ოჯახში ფსიქოთერაპევტიც ადვილად მუშაობს. რა თქმა უნდა, პრობლემა იქაც ბევრია, მაგრამ ყველა კეთილადაა ერთმანეთისადმი განწყობილი, ეხმარებიან ერთმანეთს სიძნელეების დაძლევაში. ერთი სიტყვით, სულიერი სიმშვიდის კერაა. „ქარიშხალი“ ასეთ ოჯახშიც იცის, მაგრამ იოლად ჩქრება.

პრობლემური ოჯახი მძიმე ოჯახია. როდესაც ამგვარ ატმოსფეროში ხვდება უცხო ადამიანი, პირველ რიგში, სიცივეს იგრძნობს. ოჯახში სიმშვიდე შინაგანი თავშეკავების ხარჯზე მიიღწევა. ასეთ ოჯახში გამეფებული სიჩუმე ჭექა-ქუხილის წინა პერიოდს გვაგონებს, ფსიქოთერაპევტს ამგვარ ოჯახში ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს საიდუმლო შტაბ-ბინაშია. ფსიქოთერაპევტთან პრობლემური ოჯახის წევრები ძნელად, მაგრამ მაინც იხსნებიან. ისე გამოდიან „საკნიდან“, როგორც ლოკოკინა ნიჟარიდან, იხსნიან სიმშვიდის ნიღბებს, რომლის ქვეშაც სულიერ განცდებს მალავენ. სწორედ ამგვარი დაფარული განცდების შედეგია ადამიანის ფსიქიკური თუ ფიზიკური დაავადებები. უარყოფით ემოციებზე ადამიანის მთელი ორგანიზმი რეაგირებს, რაც მრავალ გართულებას იწვევს. და რაოდენ ძნელია: იმის წარმოდგენა, რომ შენი ტკივილი შენი საკუთრებაა და შენს მეტს არავის აინტერესებს. ადამიანები ეგუებიან ამგვარ მდგომარეობას, თავიც კი მოაქვთ „ჭირთა თმენის“ უნარით.

პრობლემური ოჯახის წევრებს გულწრფელად უკვირთ, როგორ შეიძლება ოჯახში სიამოვნება მიიღო. მათთვის ოჯახი არის ირონია, სარკაზმი, გამუდმებული რჩევა-დარიგება, აკრძალვები — ეს შეიძლება, ეს არ შეიძლება და ასე დაუსრულებლად. ამ ოჯახის წევრებს ცხოვრებაზე ხელი აქვთ ჩაქნეული და წლების განმავლობაში ჩუმად, მოთმინებით, სხივებს შეუწუხებლად ეზიდებიან კუთვნილ მძიმე ჯვარს.

ზემოთ თქმულის უკეთ გასაგებად მოგიყვანთ მაგალითს: ვთქვათ, ოჯახის უფროსი ცუდ გუნებაზეა. სალი ოჯახის შვილს შეუძლია გახსნილად უთხრას მამას: „მამა, დღეს რაღაც ვერა ხარ გუნებაზე!“ პრობლემურ ოჯახში კი თუ მოზარდი ამის თქმას გაბედავს, უპასუხებენ: „როგორ ელაპარაკები უფროსს“, „შენი საქმე არ არის“, ან „უფროსების საქმეში ნუ ერევი“.

სალ ოჯახში უნარი შესწევთ მშვიდად მიიღონ შენიშვნები, ბავშვებისაგანაც კი. შეუძლიათ რეალურად გაიაზრონ სიტუაცია.

ვთქვათ, ბავშვმა გატეხა ჭიქა. პრობლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურ ოჯახში ერთი ამბავი ატუდება. ქმარი დაადანაშაულებს ცოლს, ბავშვს დატუქსავენ, გალახავენ. ბავშვი ვერც ხვდება, რაშია მისი დანაშაული, მას ხომ ჭიქა უნებურად გაუვარდა ხელიდან. იგივე „დანაშაულზე“ სრულიად საპირისპირო რეაქცია იქნება სხვა ოჯახში: ჭიქა გატეხე? არა უშავს, ალბათ სწორად არ გეჭირა. ხელი ხომ არ გაიჭერი? და ა. შ.

არა თუ დატუქსვა, არ შეიძლება დაცინვა, თუნდაც მოფერებით: „ფლავი გაქვს ხელში? შე უშნო, შენა“...

მშობელი თანამდგომი, სულისჩამდგმელი უნდა იყოს და არა ხელმძლვანელი, რომელიც ძალით ყველაფერს მიაღწევს. „სხვას უხეშად ნუ მოექცევი“, — მოძღვრავენ ბავშვს და მეორე წუთში თავადვე უყვირიან და ამცირებენ მას.

ადამიანი გამუდმებით მიილტვის სიყვარულისკენ. რაც უფრო უჭირს, მით უფრო საჭიროებს სიყვარულსა და ურთიერთგაგებას. თბილ, ჰარმონიულ ოჯახში გაზრდილი ბავშვი ნაკლებად დათრგუნულია და შესწევს უნარი, გაუძლოს ალკოჰოლის, ნარკოტიკის ცდუნებას, ცუდი გარემოს ზეგავლენას.

დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება. იცვლება ოჯახიც. ამ ცვლილებებში ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობს. არ არის გამორიცხული, რომ ოჯახის რომელიმე წევრი მოექცეს მეორე წევრის გავლენის ქვეშ. სასიკეთო ცვლილებები ცხოვრების ყველა ეტაპზეა შესაძლებელი. მთავარია, გინდოდეთ რალაცის შეცვლა და გჯეროდეთ, რომ აუცილებლად მიაღწევთ წარმატებას.

გთავაზობთ ვირჯინია სატირის რჩევებს, რაც საკუთარი თავის შეცნობაში დაგეხმარებათ:

თქვენ სამყაროს ნაწილი ხართ, და მისგან იღებთ ენერგიას, ამ ენერგიის წყალობით თქვენ არასოდეს იქნებით უმწეო. თქვენ შეგიძლიათ დათესოთ სიკეთე თქვენთვისაც და სხვისთვისაც. გამოიყენეთ სასიკეთოდ თქვენი ენერგია, გადადგით პირველი ნაბიჯები სულიერი კონტაქტისაკენ. გამოიყენეთ სიცოცხლის იმპულსი, ნუ დაიხარჯებით უქმად — ისწრაფეთ სიყვარულისკენ. პატივი ეცით საკუთარ თავს, თქვენს გრძნობებს, თქვენს სულიერ სამყაროს.

გახსოვდეთ, თქვენი თავი მხოლოდ თქვენ გეკუთვნით. ამიტომ შეეცადეთ კარგად გაიცნობიეროთ, ჩაწვდეთ საკუთარ მეს. რას წარმოადგენს ის? დაარწმუნეთ საკუთარი თავი: ჩემი შეცდომები და წარმატებები მხოლოდ მე მეკუთვნის. მე შემწევს სიყვარულის, ფიქრის, მოქმედების უნარი. მე ჩემს თავს ვეკუთვნი და ამდენად შემიძლია ჩემი თავი სასიკეთოდ შევცვალო. ეს მე ვარ — არაჩვეულებრივი, უნიკალური და განუმეორებელი!

**მაკა ხარშილაძე,**
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



# ბორის ბეკერი და მისი ზანგი საცოლე



როცა 1985 წელს 17 წლის გერმანელმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა უიმბლდონის ტურნირი მოიგო, იგი ეროვნულ გმირად შერაცხეს მშობლიურ გერმანიაში. მას შემდეგ ბეკერმა მრავალ წარმატებას მიაღწია, რამდენიმე წელი იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი. სულ მალე მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება. 5 მარტს მან ზანგი მსახიობი ქალი ბარბარა ფელტუსი დანიშნა და მალე ცოლად შეირთავს კიდეც. აი, როგორ მოგვითხრობს ამ ღირსშესანიშნავ ამბავს ბედნიერი წყვილი.

— როგორი იყო თქვენთვის 5 მარტი?

ბარბარა: — ძალზე რომანტიული. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ბორისმა ვახშამზე დამპატიჟა რესტორანში.

ბეკერი: — პარასკევი იყო. მე მიუნჰენში ვიყავი და მეორე დღეს ფლორიდაში მივდიოდი ტურნირზე. იმ დღეს ბარბარა ძალზე დაღლილი იყო. მაგრამ მაინც დავპატიჟე რესტორანში. მას კი ეზარებოდა სახლიდან გასვლა და იქვე დაიჭირა ვახშმის თადარიგი. როგორც იქნა, გადავარწმუნე. ჩვენ იგივე რესტორანში წავედით, სადაც პირველად ვივახშმეთ ერთად 1991 წელს. მისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ მაგიდა უკვე შეკვეთილი მქონდა. ნავახშმევს ვთხოვე ხუთი წუთით გასულიყო, პიანისტს მისი საყვარელი სიმღერა „სამერთაიმ“ შევუკვეთე, ოფიციანტს კი — ჩვენი საყვარელი სასმელი. შემდეგ ბარბარას ჭიქაში ბეჭედი ჩავაგდე, ბოლოს სინათლეები ჩავაქრობინე და სანთლის შუქზე დავუწყე ლოდინი. ბარბარამ კი სანამ ჭიქა არ დაცალა, ბეჭედი ვერც შეამჩნია.

ბარბარა: — როცა ბოლოს და ბოლოს ბეჭედი დავინახე, ბორისმა მკითხა, თანახმა ვიყავი თუ არა.

ბეკერი: — მე ტრადიციების მიმდევარი კაცი ვარ. სხვანაირი ნიშნობა ვერც წარმომედგინა. მე მიყვარს პასუხისმგებლობა. დღეიდან ბარბარა ჩემი ოჯახის წევრია.

ბარბარა: — ჩვენი ამბავი ყველამ სხვადასხვაგვარად მიიღო. გაზეთებმა ეს ცნობა სენსაციასავით აიტაცეს და მოკლე ხანში ათასი ტყუილი თუ მართალი დაწერეს ჩემზე. მეგობრებს გულწრფელად გაუხარდათ, მეუბნებიან, რომ ახლა შემიძლია აღარ ვიმუშაო, რადგან ცხოვრება გარანტირებული მაქვს. მე კი ბედნიერი ვარ, რომ ბორის ბეკერის ცოლი გავხდები, მსურს ყოველთვის მხარში ვედგე მას და ნამდვილი მეგობრობა გავუწიო.

ბეკერი: — ჩვენ მონტეკარლოს დავტოვებთ და პარიზში ან ლონდონში დავსახლდებით. იქ ბარბარა დრამატული ხელოვნების სკოლაში ისწავლის და მის კანის ფერსაც ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ.

ბარბარა: — გერმანიაში ეს მართლაც დიდი პრობლემაა. ხანდახან ქუჩაში მაჩერებენ და მეუბნებიან, რომ ბეკერს თავი დავანებო და ჯუნგლებში დავბრუნდე.

ბეკერი: — ჩემს ქვეყანაში მომრავლდნენ რასისტები და ნეონაცისტები. სამაგიეროდ, ფერადკანიანებს შევუყვარდი, ისინი ქუჩაში მესალმებიან და ძმას მეძახიან. მე ეს ძალიან მომწონს და შემაყება.

ესპანურიდან თარგმნა
**თეა გვასალიამ**

# მამის კვალზე



**სახელოვანი ქართველი მეცნიერის სიმონ ყაუხჩიშვილის ქალიშვილი ქალბატონი თინათინი მამის გზას გაჰყვა — დაუღალავად ემსახურება კლასიკურ ფილოლოგიას. მრავალი წიგნი აქვს გამოცემული წყაროთმცოდნეობასა და ქართულ-ბერძნული ურთიერთობის საკითხებზე...**

**— ქალბატონო თინათინ, როგორ შეაფასებდით თქვენს მეცნიერულ მიღწევებს, თქვენს განვლილ ცხოვრებას?**

— პატივმოყვარე არასოდეს ვყოფილვარ. მიღწევები და აღიარება შრომის საფასურად მოდიოდა. 34 წლისა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვიყავი, 1968 წლიდან — პროფესორი... თუკი რაღაცას ვერ მივაღწიე, ჩემს თავს ვაბრალებ. ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შემეძლოს, ალბათ იგივე შრომით გზას ამოვირჩევდი, პირად ცხოვრებაში კი შეიძლება რაღაც კორექტივები შემეტანა.

**— თქვენ პირადი ცხოვრება ახსენეთ...**

— მყავს ორი შვილი. ჩემი ვაჟი გია გელაშვილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია, ქალიშვილი — ლია ჯინორია უცხო ენათა ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს. ჩემი სიცოცხლის დიდი ნაწილი ოთარ ჯინორიას გვერდით გავატარე, იგი გერმანისტი იყო...

**— რას იტყოდით მამათქვენზე, ცნობილ მეცნიერ სიმონ ყაუხჩიშვილზე. რას გაიხსენებდით თქვენს ოჯახზე?**

— მამა ძალიან ყურადღებიანი და მეგობრული იყო. ჩვენი ურთიერთობა უფრო და-ძმურს ჰგავდა, ვიდრე მამაშვილურს. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა მას შვილიშვილებთანაც. დიდად წიგნიერი, განათლებული ადამიანი გახლდათ. დამეთანხმებით, დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისათვის ოჯახის მამას დღედაღამ წიგნებთან ჩამჯდარს რომ ხედავენ. ამდენად, მას დიდი გავლენა ჰქონდა შვილებზე.

სამწუხაროდ, ვერც ჩვენ გადავურჩით რეპრესიებს. 1938 წელს მამა დააპატიმრეს. შალვა ნუცუბიძე, მამა და რამდენიმე სხვა მეცნიერი გერმანიის „აგენტები" აღმოჩნდნენ. შინიდან გამოგვყარეს დედა, დიდედა და მე — პატარა ბავშვით... 39 წლის სექტემბერში მამა გამოუშვეს, მაგრამ იძულებით მოსკოვში დატოვეს. ივანე ჯავახიშვილის დახმარებით წელიწადნახევარის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. მერე ბინაც დაგვიბრუნეს. 1953 წლის ბოლოს, როცა ბერიასთან ანგარიში გაასწორეს, კვლავ მოგვიბრუნდნენ. თუ მანამდე მამა გერმანიის „აგენტად" ითვლებოდა, ახლა ბერიას „აგენტად" მონათლეს, თუმცა აღარ დაუჭერიათ, მაგრამ მაინც ჩვენი ოჯახი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და მამა ორი წელი უმუშევარი იყო.

როდესაც ჩვენს ოჯახზეა საუბარი, ჩვეულებრივ აღნიშნავენ ხოლმე მამის დამსახურებას. არადა, დედას არანაკლები ღვაწლი მიუძღვის. იგი იყო ცნობილი მსახიობის გიორგი არადელ-იშხნელის და — თამარ იშხნელი. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტი და ერთხანს ქართულ სემინარიაში ასწავლიდა. საუკეთესო პედაგოგი იყო, მაგრამ მაინც თავის ძირითად მოვალეობად ოჯახის მოვლა მიაჩნდა. ბუნებით და მოწოდებით არ იყო დიასახლისი, მე მგონი, შინაგანად განიცდიდა კიდეც სახლში ყოფნას, მაგრამ მთელი ძალისხმევა ჩვენს მოვლა-პატრონობაზე ჰქონდა გადატანილი. იგი მარტო ჩვენ კი არა, მამასაც „ზრდიდა" (მამა ასპირანტი იყო, როცა შეუღლდნენ). ერთი სიტყვით, დედა ჩვენი ინტელექტუალური ხელმძღვანელი გახლდათ.

**— ალბათ ძნელია, ქალბატონო თინათინ, იყო დედაც, მეუღლეც და ამავე დროს — მეცნიერ-მკვლევარიც?**

— საბედნიეროდ, არ გამჭირვებია არც მამის, არც საკუთარ ოჯახში. მამის ოჯახზე უკვე მოგახსენეთ, ხოლო ქმრის ოჯახი ნახევრად ევროპული იყო: დედამთილი — გერმანელი, ბებია — ბერძენი... ჩვენთან მამაკაცის კულტი არ ყოფილა, როგორც ბევრ ქართულ ოჯახშია. მკაცრად განსაზღვრული გვქონდა ქალისა და კაცის საქმე. მე ჩემი სამყარო მქონდა, სრულიად ძალდაუტანებლად ვახერხებდი ოჯახურისა და პირადულის შერწყმას. იგივე პრინციპით გაიზარდნენ ჩემი შვილებიც.

**— რა გაწუხებთ დღეს ყველაზე ძალიან?**

— როგორც ყველას, მეც ჩვენი ქვეყნის ბედი მაწუხებს. არასოდეს ვყოფილვარ პოლიტიკით დაინტერესებული, დღეს კი გულისკანკალით ვადევნებ თვალყურს ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ომმა და გაჭირვებამ ყველა და ყველაფერი დააზარალა, მათ შორის — ქართული მეცნიერებაც. ჩემი ოთხი წიგნი მზად არის გამოსაცემად და დღემდე ფერხდება, ველარ ვახერხებთ ექსპედიციების მოწყობას, დიდმასშტაბიან გამოკვლევებს.

**— და ბოლოს, დავუბრუნდეთ თქვენს მიერ ქართული მეცნიერებისათვის გაწეულ დიდ სამსახურს — ამჟამად რას საქმიანობთ, რის გაკეთებას აპირებთ უახლოეს მომავალში?**

— ჯერჯერობით ისევ ვკითხულობ ლექციებს ქართულ-ბერძნული ურთიერთობის საკითხებზე. ძირითადად ვმუშაობ ისტორიის ინსტიტუტში — ვარ წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერ-მუშაკი. სულ ახლახან ბაგინეთიდან ჩამომიტანეს ბერძნულწარწერიანი ქვა, რომლის წაკითხვაზეც ამჟამად ვმუშაობ.

არ ვიცი, კიდევ რამდენს ვიცოცხლებ, მაგრამ ძალიან მინდა მოვესწრო წიგნების გამოცემას, რომლებიც უკვე გამზადებული მაქვს. აგრეთვე — მრავალი ასეთი წარწერის აღმოჩენა-გაშიფვრაზე ვიმუშაო... შრომა ჩემთვის ყველაფერია...

ესაუბრა **ელისო კაპანაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ისინი კვლავ ახალგაზრდად გრძნობენ თავს

ყველა მათგანი ორმოცდაათს გადაცილებულია, მაგრამ ერთმანეთზე ლამაზები და სასურველნი არიან. მათ ნახევარი საუკუნის მანძილზე შეინარჩუნეს მომხიბვლელობა. ასე რომ, შეუძლებელი არაფერია. მოუფრთხილდით თავს, ივარჯიშეთ, იკვებეთ ზომიერად. გახსოვდეთ, თქვენი სილამაზე თქვენს ხელშია.

**რაქელ უელჩი.** 52 წლის, მსახიობი და სექსსიმბოლო. სამსახიობო კარიერა დაიწყო როგორც ფოტომოდელმა და მოცეკვავემ. დღემდე შეინარჩუნა კარგი ფიგურა. გატაცებულია იოგათი, დილაობით დარბის და ჯანსაღ საკვებს მიირთმევს. ჰყავს ორი შვილი, 33 და 31 წლის.

**კლაუდია კარდინალე.** 54 წლის.

იგი ორი შვილის დედა და 14 წლის შვილიშვილის ბებიაა. იტალიელი მსახიობი ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს. მას კვლავ წარმატებით იღებენ მომხიბვლელი ქალების როლში.

**სარა მონტიელი.** 65 წლის.

მას ესპანელ ლიზ ტეილორს უწოდებენ. სარა აღიარებს, რომ ქირურგიული ჩარევის შედეგად ოდნავ „მოიწესრიგა“ სახე. სარა მონტიელი ახლახანს დაქვრივდა. მას ორი შვილი ჰყავს.

**ჯეინ ფონდა.** 55 წლის.

ამერიკელ მსახიობს ორი შვილი ჰყავს, შესანიშნავ ფორმაშია და ახალგაზრდულად გამოიყურება. იგი ფიზიკური ვარჯიშის თავგამოდებული მომხრეა. გამოსცა წიგნი აერობიკაზე, სადაც ფორმის შენარჩუნების საიდუმლოებას გვიზიარებს. შარშან გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია მკერდზე და ამ ფაქტს არც მალავს. იგი იცავს დიეტას, მიირთმევს მხოლოდ ბუნებრივ საკვებს და არ ეკარება ალკოჰოლს.

**ელიზაბეტ ტეილორი.** 61 წლის.

იგი ამ ასაკშიც მეტად მომხიბვლელია. ვერ ვიტყვით, რომ ლიზი ძალზე უფრთხილდება თავს. რამდენჯერმე მკურნალობდა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გავლენისგან თავის დასაღწევად. რამდენჯერმე მკვეთრად იცვალა წონა, რაც, ბუნებრივია, არავის რგებს.

**სოფი ლორენი.** 58 წლის.

„უნივერსალური იტალიელი“, ასე უწოდებენ მსოფლიო კინემატოგრაფის ამ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს. მისი მეუღლე კარლო პონტი ცოლზე 21 წლით უფროსია. მათ ორი შვილი ჰყავთ. სადაც უნდა გამოჩნდეს სოფი ლორენი, მუდამ ყურადღების ცენტრშია.



სოფი ლორენი



ჯეინ ფონდა



ელიზაბეტ ტეილორი



კლაუდია კარდინალე



სარა მონტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა





# უფალი კვლავაც მოგვხედავს!

— საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა ჩვენს ერთობაშია, — ბრძანა ქალბატონმა, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება. დიახ, დღეს სტუმარი გვახლავთ აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე.

**— ამბობენ, ისტორია მეორდებაო. რამდენად ხრულდება ეს გამონათქვამი დღეს?**

— 1918 წლის ისტორიულ მასალებს რომ ვეცნობი, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა აფხაზეთში ახალ დაარსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, იმდენად ჰგავს დღევანდელ მდგომარეობას, საკმარისია, სახელები და გვარები შევცვალოთ, დანარჩენი ფაქტიურად იგივე დარჩება, მართალია, მაშინ ხელისუფლება, ფორმაცია შეიცვალა, ბოლშევიკები მოვიდნენ სახელმწიფოს სათავეში, მაგრამ რუსეთს არ სურდა იმპერიის საზღვრების შეცვლა და საამისოდ ყველაფერს აკეთებდა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორია მეორდება და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, იმ სამწუხარო მაგალითებზე ვისწავლოთ და შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

**— დღეს ხშირად გაიგონებთ, თურმე რა ცუდები ვყოფილვართო. ნუთუ მართლა ასეთი ცუდები ვართ?**

— საუბედუროდ ბევრი ცუდი თვისება გამოვამჟღავნეთ, მაგრამ ეს შედეგია დღევანდელი მდგომარეობისა, გაუგებრობისა, დაბნეულობისა. თითოეულ ადამიანში არის კარგიც და ცუდიც. ასევე შეუძლებელია, რომელიმე ერში ყველა კარგი ან ყველა ცუდი იყოს. წარსულშიც მრავლად იყო ერის და ოჯახის ღალატი. ეს არის ისტორია და არა მარტო ჩვენი. ამას ისიც დაემატა, რომ სამოცდაათი წლის განმავლობაში მრავალი ინსტიტუტი მუშაობდა ადამიანის ახალი ტიპის ჩამოყალიბებაზე. მიაღწიეს კიდეც ამას. ყალბი, მატყუარა, მოღალატე ადამიანები ერთგვარ საყრდენს წარმოადგენენ იმდროინდელი ხელისუფლებისათვის. ახლა ყველამ აიშვა. გამოიკვეთა ერის უარყოფითი თვისებები. მაგრამ მე მჯერა, რომ სამშობლოს მოყვარული, ერთგული ადამიანები ქართველი ერის უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ.

**— ოდითგანვე ცნობილი იყო ქართველი ქალის კდემამოსილება. დღეს კი...**

— სიმართლე გითხრათ, ხანდახან მრცხვენია, ქალი რომ ვარ. ადრე, საბჭოთა სინამდვილეში, ქალი დათრგუნული იყო. ახლა რაღაც ნაწილმა აიშვა, იმის თქმა არ მინდა, რომ ისინი ცუდები არიან. ზოგი პატიოსნად ცდება, ზოგი მოტყუებულია, ზოგიც დარწმუნებულია თავის სიმართლეში. იგი ისევ ცხოვრებამ უნდა გადაარწმუნოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საბაბს ცხოვრება არ იძლევა. ეს არ არის ქართველი ქალის მოდელი. ყველა ერთნაირად ვერ იფიქრებს და ერთი აზრი ვერ ექნება, მაგრამ პოზიციის გამოვლენა აქტიურად აგრესიული არ უნდა იყოს. განსხვავებული აზრი იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად იჩხუბო და სხვას დაუპირისპირდე.

**— კამათიც ხომ ერთგვარი ხელოვნებაა...**

— თანაც რთული ხელოვნება, რაც ყველას არ ეხერხება. ამიტომ გადადიან ჩხუბზე, ლანძღვაზე, მუშტიკრივზე, რაც პირადად მეც ვიწვნიე. გასაკიცხი ის კი არ არის, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, გასაკიცხია ის, ვინც აგრესიულია.

**— დღეს საქართველო იმედით ცოცხლობს. თქვენი აზრით, რამდენად ნათელია ჩვენი მომავალი?**

— იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. დღევანდელი უმძიმესი მდგომარეობის გამო ბევრს პესიმიზმი დაეუფლა. ხანდახან მეც მემართება ეს. ისტორიკოსი ვარ და კარგად ვიცოდი, რომ იმპერია დაემხობოდა, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, ამას თუ მოვესწრებოდი. მეგონა, 21-ე საუკუნეში დაიწყებოდა იმპერიის დაშლის პროცესი. მე გავხდი მომსწრე იმპერიის დაშლისა, იმ იმპერიისა, რომელმაც ჩემი ოჯახის ბედი უკუღმა დაატრიალა. თავადური წარმოშობის ვარ, დედა მიქელაძე მყავს, ბაბუა გენერალი იყო. ჩემს წინაპრებს რაც კი გააჩნდათ, ყველაფერი წაართვეს. მამა რომ გადაასახლეს, დედამ მუსიკის მასწავლებლობა დაიწყო. შემდეგ ჩემს ძმას სამი თვე საავადმყოფოში თავზე ადგა და იქიდან სმენადაქვეითებული გამოვიდა. მუსიკის მასწავლებლობას ვეღარ შეძლებდა და შიმშილით რომ არ დავხოცილიყავით, სარდაფში რაღაც არტელში მუშაობდა. უბოროტოდ, შურისძიების გრძნობის გარეშე გაგვზარდეს. გაჭირვების მიუხედავად, ქუჩაში არ გავსულვართ, ვცდილობდით, ჩვენი ქვეყნისათვის რაღაც გაგვეკეთებინა.

**— როგორ ფიქრობთ, რა გამოგვიყვანს ჩიხიდან?**

— საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა ჩვენს ერთობაშია. უნდა შევძლოთ საერთაშორისო ვითარების, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის რეალური განსჯა და შეფასება. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, ვინ არის ჩვენი მეზობელი, რა სურს მას. მე ვერავინ დამწამებს ქედმოხრილობას რუსების წინაშე, მაგრამ ყველაფერს უნდა გავუწიოთ ანგარიში. ჩვენ რაც დავკარგეთ, ისიც გვეყოფა. დღეს ვერ დავთმობთ და არ დავთმობთ მიწის ერთ მტკაველსაც კი. არ დავთმობთ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ სუვერენიტეტს. დანარჩენი პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ.

**— ის ადამიანებიც, ვისაც ერის ბედი და მომავალი აბარიათ, საკუთარ პიროვნებაზე უნდა ამაღლდნენ. დათმონ პირადი ინტერესები.**

— ზოგიერთის პირად ინტერესებს პოპულიზმიც ერთვის თან. ესეც ალბათ დრომ მოიტანა. ყველა გავპოლიტიკოსდით. დღეს პატრიოტიზმად ის მიაჩნიათ, ხმამაღლა იყვირონ:

გაეთრიონ რუსები! აბა, დავფიქრდეთ: მიუხედავად იმისა, რომ მილიარდებს ახარჯავენ, გავიდნენ რუსები გერმანიიდან? ან კი საიდან წავიდნენ? იმაზე ორი აზრი არ არსებობს, რომ აფხაზეთიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს რუსის ჯარი, მაგრამ მთლიანად რესპუბლიკიდან ჯარების გაყვანა ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ხსნას ნატოს ჯარების შემოსვლაში ხედავენ. ნატოს ჯარი იუგოსლავიაში რომ შევიდა, რა გააკეთა? უნდა ევროპას თავის შუაგულში ომი? განა არ იციან იმ ომში ვისი ხელი ურევია, მაგრამ გახდნენ რამეს?

**— თანაც არა მგონია, რუსების გასვლით ჩვენთან წესრიგი დამყარდეს. ჩვენ მათ გარეშეც „შეხანიშნავად“ დავერიეთ ერთმანეთს.**

— დიახ. რა შუაშია რუსის ჯარი, ჩვენივე მოდგმის ყაჩაღები სახლებში რომ უვარდებიან ხალხს. მე არ მაინტერესებს ყაჩაღს ვისი ფორმა აცვია. მანქანებს აჩერებენ, ბავშვებს იტაცებენ. შუასაუკუნეებში მონების ბაზრებში ჩვენს სისხლსა და ხორცს ჩვენივე სისხლი და ხორცი ურჯულოზე ჰყიდდა. ახლა მშობლებს ართმევენ ფულს, მაგრამ იმ ზომამდე მიჰყავთ, მყიდველი რომ გამოჩნდეს, ბავშვებს ახლაც დაუფიქრებლად გაჰყიდდნენ. ნუ დავაბრალებთ ყველაფერს რუსებს. საკუთარ გულშიც ჩავიხედოთ. ნარკოტიკები სხვა ეროვნების ადამიანებსაც შემოაქვთ, მაგრამ ქართველებიც რომ ყიდიან?.. ნარკომანი ავადმყოფია, მას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ ნარკოტიკების გამსაღებელი, ღმერთმა მაპატიოს, დანდობის ღირსი არ არის.

**— ძალიან დაგვიმძიმდა საუბარი...**

— დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის ჯანსაღი ნაწილი დასძლევს ქაოსს. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც ეკონომიკური გაჭირვება, პოლიტიკური დესტაბილიზაცია და გამწვავებული კრიმინოგენური ვითარებაა. ესე იგი, მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ ცუდები. იმპერიის ნგრევა უსისხლოდ არ ხდება.

ღვთის მფარველობით მოვდივართ საუკუნეების მანძილზე. თუმცა ღვთის რისხვაც მრავალჯერ დაგვტეხია თავს. შუასაუკუნეების ისტორიკოსები წერენ: ღმერთმა წყალდიდობა და მიწისძვრები მოავლინა, მაგრამ შემდეგ უფალმა მოხედა თავის ქვეყანას. მეც ჩემი შუასაუკუნეების კოლეგების მსოფლმხედველობას ვიზიარებ და ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენც ვისჯებით ცოდვების გამო. იმედი მაქვს, უფალი კვლავ მოგვხედავს.

ვარინე ნაკაიძე

# „ოქროს არწივის“ კვლავმოახლება



ქართული კინოს ფესტივალი „ოქროს არწივი“, რომელიც შარშან სექტემბერში პირველად გაიმართა, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა დედაქალაქის ცხოვრებაში. „ოქროს არწივმა“ უამრავი მაყურებელი და მომხრე შეიძინა, ბევრი დაუვიწყარი შთაბეჭდილება და შეხვედრა გვარგუნა.

ალბათ, გახსოვთ ფესტივალის საზეიმო დახურვაზე გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ „ოქროს არწივი“ საერთაშორისო ფესტივალად გადაქცეულიყო. ახლა ფესტივალის ორგანიზატორთა ეს ჩანაფიქრი, ამიერიდან „ოქროს არწივი“ შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალად იწოდება. იგი გაიმართება დევიზით „ჩვენ და ჩვენი მეზობლები“.

იმისათვის, რომ პირველი საერთაშორისო ფესტივალი ღირსეულად გამოიყურებოდეს, დიდ შრომას ეწევიან კომპანია და კინოფესტივალ „ოქროს არწივის“ პრეზიდენტი გოჩა აბაშიძე, ფესტივალის დირექტორები კორა წერეთელი და ლაშა იმედაშვილი, ერთ-ერთი დამფუძნებელი კობა იმედაშვილი. გენერალური სპონსორია კომერციული ფირმა „ბიპ-კოგი“, სპონსორი საქართველოს სამეფო ბანკი.

„ოქროს არწივი“ წლეულს 19-26 სექტემბერს გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებს 1990-1998 წლებში შექმნილი ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის, სომხეთის, ალბანეთის, აზერბაიჯანის, ირანის, თურქეთის, საბერძნეთისა და საქართველოს კინოსტუდიებში შექმნილი ფილმები. ყველა მათგანი სამ-სამ ნამუშევარს წარმოადგენს. „ოქროს არწივს“ ექნება ძირითადი კონკურსი და ფორუმიც (კონკურსგარეშე ჩვენება).

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე გამოაცხადა ჟიურის თავმჯდომარე — კინორეჟისორი ლევან ზაქარეიშვილი.

ყოველ მეორე წელს ფესტივალი „ოქროს არწივი“ საერთაშორისო იქნება, წლის გამოშვებით კი — ეროვნული. „ე. ი. ცალ-ცალკე და მონაცვლეობით გაიმართება საერთაშორისო და ეროვნული.

კინოფესტივალს წლეულს მრავალფეროვანი კულტურული პროგრამაც ექნება. მოეწყობა გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის თენგიზ აბულაძის პერსონალია-ფილმების რეტროსპექტივა და შეხვედრა რეჟისორთან. ჩატარდება გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების აუქციონი სახელწოდებით „არაჩვეულებრივი გამოფენა“. „არ დაიდარდო“ — ასე ერქმევა სიცილის საღამოს, რომელშიც ქართული კინოსა და თეატრის მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი საფესტივალო დღეებში გამართავს ქართული კინოსადმი მიძღვნილ ვრცელ ექსპოზიციას.

შედგება საერთაშორისო კინოკლუბის „ჩვენ და ჩვენი მეზობლების“ პრეზენტაცია, რომლის მიზანიც იქნება შემოქმედებითი და საქმიანი კავშირების დამყარება მეზობელი ქვეყნების კინოცენტრებთან.

ძალიან მცირე დრო გვაშორებს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალთან. იმედია, იგი ჩვენს შეპირვებულ სულიერ ცხოვრებაში ოდნავ შვებას და სინათლეს შემოიტანს, მტერ-მოყვარეს დაანახვებს ჩვენი სულის მხნეობასა და სიძლიერეს.

ერთ-ერთი საუბრისას კარგად თქვა ამის შესახებ „ოქროს არწივის“ პრეზიდენტმა გოჩა აბაშიძემ. ჩვენც მისი სიტყვებით გვინდა დავასრულოთ: „ერთ რეჟისორს, ვისთანაც ვმუშაობდი, უყვარდა ხოლმე თქმა: „კინოს შეუძლია ადამიანს სულში ჩახედოს“. დღეს ისე ძალიან გვაკლია ერთმანეთის სულში ჩახედვა და თანაგრძნობა, რომ ვისაც რა შეგვიძლია ამ მიმართებით, უნდა გავაკეთოთ. თავს ბედნიერად ჩავთვლით, თუ ქართული კინოს პოპულარიზაციის გზით ერთმანეთს სულში ჩავხედავთ ყველა ის ადამიანი, რომლებიც შავი ზღვის ირგვლივ ვბინადრობთ. მჯერა, რომ ირგვლივ გამეფებული ძალადობის, მკვლელობის, სიდუხჭირისა და ათასგვარი უბედურების გარემოცვაში ჩვენი ფესტივალი გადაიქცევა პატარა ოაზისად...“

გიორგი ლალიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტები

# მაია — პიერის შვილიშვილი

შარშან საქართველოს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ თეატრმცოდნე მაია კობახიძე რომ დანიშნეს, არავის გაკვირვებია, პირიქით, ამ სისტემაში მისი მისვლა სავსებით ბუნებრივად მიიჩნიეს.

ათ წელზე მეტია მაიას საზღვარგარეთის თეატრის კურსი მიჰყავს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში, ასე რომ, ახალი თეატრალური თაობის ერთ-ერთი აღმზრდელია.

კობახიძეების დიდი თეატრალური გვარის წარმომადგენელია ქალბატონი მაია — პიერის შვილიშვილი და ბადრის ქალიშვილი. ასე რომ, მისი ბავშვობა და მთელი ცხოვრება დაკავშირებულია ჩვენი ხელოვნების აღიარებულ მოღვაწეებთან, მათ წრეში ჩამოყალიბდა მომავალი პროფესიონალი თეატრმცოდნის გემოვნება და ინტერესები.

ჩვენი საუბარი ქალბატონ მაიასთან პიერ კობახიძის გახსენებით დაიწყო.



— ექვსი წლისამ სცენაზე პირველად ვნახე ბაბუა, ეს იყო აღდგენილი „ურიელ აკოსტა", სწორედ ის სპექტაკლი, რომელზეც ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ ხელი მოიტეხა და მეორე მოქმედებაში თაბაშირში ჩასმული ხელით ითამაშა...

პატარაობისას ბაბუა „რომეო და ჯულიეტას" და გალაკტიონის ლექსებს მიკითხავდა, ჩემს გასართობად რაღას არ იგონებდა.

მამაზე მიმძიმს ლაპარაკი... ეს ყველაზე გაუყუჩებელ ტკივილთან არის დაკავშირებული. ძალზე მოულოდნელად წავიდა, ბევრი რამ დარჩა განუხორციელებელი...

დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა და თეატრალურ ინსტიტუტს მივაშურე, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავირიცხე დოდო ალექსიძის ჯგუფში. იუმორით უყურებდა იგი ჩემს გადაწყვეტილებას გავმხდარიყავი მსახიობი. მახსოვს, როცა ეტიუდებზე მუშაობისას რაღაც გამომდიოდა, ბავშვივით უხაროდა, როცა რაღაცას ვერ ვაკეთებდი, მოიწყენდა, გამებუტებოდა...

მეორე კურსიდან აღარ ვისურვე მსახიობობა, თეატრმცოდნის პროფესიამ დამაინტერესა და გავხდი კიდეც თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი. ჩვენი კურსის ხელმძღვანელი დიმიტრი ჯანელიძე იყო. მან ძალიან ბევრი შეგვძინა.

თეატრალური კრიტიკის სემინარს ვასილ კიკნაძე გვიკითხავდა. მან პროფესიაში ორიენტირი მოგვცა. გვასწავლა არა მარტო ის, თუ როგორ ვწეროთ, არამედ როგორ უნდა ვიცხოვროთ, რადგან ჩვენ თანამედ-

ჭადრაკი

# კანონები

როცა მსოფლიო ჩემპიონი თავის წოდებას კარგავს, ეს, უმეტეს შემთხვევაში მის დიდ სპორტთან გამოთხოვებას ნიშნავს. მაგრამ, ამ თავისებურ კანონს თავისი გამონაკლისებიც აქვს. ვაჟთა ჭადრაკს თუ გავითვალისწინებთ, აქ, ადრე დაკარგული მსოფლიო ჩემპიონობა ჯერ ალექსანდრე ალიოხინმა დაიბრუნა, შემდეგ კი მიხეილ ბოტვინიკმა (და თანაც ორჯერ!).

ჩვენ, ქართველებს, გასაგები მიზეზების გამო, უფრო ქალთა ჭადრაკი გვაინტერესებს. აქ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა დამარცხებულ ჩემპიონის „დაბრუნებისა", თუმცა, ვინ იცის...

მაია ჩიბურდანიძემ მსოფლიო ჩემპიონობა 30 წლის ასაკში დაკარგა და თანაც ისეთ მეტოქესთან ბრძოლაში, რომლისგანაც რაიმე ხიფათი მოსალოდნელი არ იყო. მაგრამ მოდით, ნუ გამოვეკიდებით 1991 წლის ამბებს — რაც მოხდა, მოხდა! მთავარია, ერთი რამ: ხომ აღემატებოდა მაია თავისი საჭადრაკო ძალით ახლანდელ ჩემპიონ სიე ჟუნს, აღემატება ახლაც!

ის, რომ 1991 წლის მარტში მსოფლიო პირველობაზე რაღაც დიდი გაუგებრობა მოხდა და მაია (პირდაპირ ვთქვათ!) შემთხვევით დამარცხდა, დადასტურდა, თუნდაც შარშან, მანილას ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე. აქ ქართველმა მოჭადრაკემ, რომელიც სიე ჟუნს მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა „რეიტინგლისტში" (ძალთა შედარებითი ნუსხა) მანამდეც უსწრებდა და ახლაც საგრძნობლად უსწრებს, ჩინელ ჩემპიონს სასტიკი მარცხი აგემა. საერთოდ, მაია ჩიბურდანიძის შედეგი ქალთა ოლიმპიადაზე მართლაც უბრწყინვალესი იყო: 11,5 ქულა, ცამეტი შესაძლებლობიდან (10 მოგება და სამად-სამი ყაიმი!), ასეთი შედეგი მხოლოდ ექსტრა-კლასის დიდოსტატს შეიძლებოდა ჰქონოდა.

დიახ, მაია ინარჩუნებს თავის დიდ ძალას! სხვა შეჯიბრებებს რომ თავი დავანებოთ, ვიმსჯელოთ თუნდაც ერთ მათგანზე, რომელსაც თავისებური სახელი ჰქვია: „ქალბატონები" „სენიორების" წინააღმდეგ. ეს ტურნირი შარშანდელი წლიდან ტარდება და ტრადიციად მკვიდრდება. რაშია მისი თავისებურება?! 6 უძლიერესი დიდოსტატი ქალი ერთმანეთს არ ეთამაშება, ხვდება მხოლოდ ამდენივე ვაჟს, ასაკის მიხედვით ვეტერანს, თანაც ორჯერ. ერთი სიტყვით, თვითეულ ქალს 12 ძნელი პარტიის თამაში მოუწევს. პირადი შედეგების გარდა, არის გუნდური ჩათვლაც. შარშან მაგალითად, პირველ ასეთ ასპარეზობაზე, ვაჟებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, მოიგეს მატჩი ქულათა საგრძნობი განსხვავებით 39:33.

დიახ, მაგრამ როგორი დამაჯერებელი რევანში აიღეს ქალებმა წლეულს! თუმცა სჯობს, ჯერ გუნდების შემადგენლობებს გადავხედოთ. ვაჟთა გუნდში გამოდიოდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვასილ სმისლოვი, ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევე თეატრალურ პროცესებთან, თანამედროვეებთან გვექნება საქმე და ამდენად რთული და პასუხსაგებია ხვედრი — თეატრალურ კრიტიკოსთა.

რაც შეეხება უშუალო ხელმძღვანელს ქალბატონ ელენე თოფურიძეს, ჩემი საკურსო, სადიპლომო და სადისერტაციო თემების მოძღვარს, იგი არის ევროპული დონის მეცნიერი, ძალიან მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ და იმათ მიმართაც, ვისთანაც მუშაობს.

რამდენი ერთი გავიხსენო...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მაია კობახიძე ასპირანტურის კურსის გასავლელად ინგლისში ესექსის უნივერსიტეტში მიავლინეს. იქ შეაგროვა მასალა დისერტაციისათვის ინგლისელი დრამატურგის ჰაროლდ პინტერის შემოქმედების ირგვლივ.

ამჯერად, ქალბატონი მაია სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს. „დიდი მისტერიალური ციკლები შუა საუკუნეების ინგლისში“.

— ამ თემით ინგლისში ყოფნისას დავინტერესდი, იორკში იმართება ხოლმე შუა საუკუნეების დრამატურგიის ფესტივალი. ერთ-ერთ ამ ფესტივალზე დასწრებისას უკვე გადავწყვიტე და მაშინვე დავიწყე საჭირო მასალების ძიება. სანამ ცოცხალი იყო დიდი შექსპიროლოგი ანიქსტი, მისგან ვიღებდი კონსულტაციებს.

სამი წლის წინათ მაია სტაჟირებაზე იყო ნიუ-იორკში, სიტის უნივერსიტეტში, თანამედროვე თეატრალური პროცესის გაცნობის მიზნით.

მაია კობახიძე არის საქართველოს შექსპირის საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი. შექსპირის კაბინეტი ბატონ ნიკო ყიასაშვილის ხელმძღვანელობით რომ დაარსდა რამდენიმე წლის წინათ, შარშან შექსპირის საზოგადოებად დაფუძნდა, იგი სტრადფორდშია რეგისტრირებული, როგორც შექსპირის კვლევის ერთ-ერთი ცენტრი.

წელიწადზე მეტია, რაც მაია კობახიძე საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილეა.

— მძიმე პერიოდში გვიწევს მუშაობა, ვცდილობთ, როგორმე კულტურული ცხოვრების უწყვეტი რიტმი შევინარჩუნოთ. მიმდინარე სეზონში საკონცერტო, სამხატვრო და სათეატრო საქმიანობა არც თუ უფერულად წარიმართა. იყო საინტერესო პრემიერები და ვერნისაჟები. ჯერჯერობით ძველი რესურსების წყალობით გადიან ფონს კულტურის მუშაკები, მაგრამ ეს რესურსები თანდათანობით იშრიტება, უნდა ვეძებოთ ახალი წყაროები. გარდამავალი პერიოდისათვის გარდამავალი კანონების მიღებაა საჭირო.

დიდ ყურადღებას მოითხოვს სახელოვნებო განათლების სფერო. აქ რთული პროცესებია. ბევრი დაწესებულება გადადის ფასიანი სწავლების პრინციპზე. ყველაფერი იქით მიდის, რომ მხოლოდ გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულმა ბავშვებმა ისწავლონ უფასოდ, დანარჩენებს ფასიანი სწავლება მოუწევთ.

როცა საუბარი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ქალების ყოფნაზე ჩამოვუგდე, ქალბატონმა მაიამ აღნიშნა:

— დღეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ცოტა ქალია. ჩვენთან არც ერთი ქალი მინისტრი არ არის. მაშინ, როდესაც საქართველო ასე მდიდარია გონიერი ქალებით, სახელმწიფო მასშტაბის მოაზროვნეებით.

მაია კობახიძე ორი ქალიშვილის დედაა, ტასიკო ჩვიდმეტი წლისაა, ნელი — ათის. იგი წლეულს ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე გახდა. დაინტერესებულია საბალეტო ხელოვნებით. მეუღლე თეატრალური რეჟისორია, საკმაოდ საინტერესო სპექტაკლების ავტორი გრიბოედოვის სახელობის თეატრში. მაიას ყველაზე დიდი პირადი სიხარული ერთი წლის შვილიშვილი ანია.

ჩვენ გვჯერა, რომ ჭეშმარიტი ინტელიგენტის, საუკეთესო ქართული გვარის შთამომავლის საზოგადო ასპარეზზე გარჯა იქნება გონივრული და ნაყოფიერი, მისი სახით კულტურის მოღვაწეთ თანამოაზრე, მოსარჩლე და გულშემატკივარი ეგულებათ.

**გიორგი ლალიაშვილი**



# და გამონაკლისები

ლანდელი მსოფლიო ჩემპიონი „სენიორთა“ (ე. ი. 60 წელს გადაცილებულთა) შორის ეფიმ გელერი, განთქმული დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენი, რომელსაც უამრავ საერთაშორისო ტურნირში აქვს მოპოვებული პირველი ჯილდო, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ფრიდრიხ ოლაფსონი (ისლანდია), ცნობილი იუგოსლავიელი მოჭადრაკე, პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილე ბორისლავ ივკოვი და ავსტრიელი დიდოსტატი ანდრეას დიუკშტეინი. მათ დაუპირისპირდა ქალთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით: მსოფლიო ჩემპიონი სიუ ჟუნი, დები ჟუჟა და სოფია პოლგარები (ამჯერად არ თამაშობდა უმცროსი და — იუდითი) ალისა გალიამოვა, მაია ჩიბურდანიძე და ქეთევან არახამია. რა თქმა უნდა, ამ მატჩში, რომელიც ვენაში ჩატარდა, შეეძლო ეთამაშა ნანა იოსელიანსაც, მაგრამ ეტყობა არ ღირდა ერთ შეჯიბრებაში გამოსვლა სიუ ჟუნთან, მით უმეტეს, რომ მსოფლიო პირველობის მატჩამდე ბევრი არაფერი რჩება.

დიახ, წლევანდელი შეჯიბრება ქალებმა მოიგეს და თანაც როგორი ანგარიშით: 40,5:31:5. ეს მეტად დამაჯერებელი რევანშია და ძირითადად მაია ჩიბურდანიძის წყალობით. თვით იმსჯელეთ: 12 შეხვედრიდან ვაჟების წინააღმდეგ მან 9 ქულა მოაგროვა, რაც შეჯიბრების აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი გახლავთ. ხომ ძალიან კარგად ითამაშა შარშანდელ ასეთივე შეჯიბრებაში განთქმულმა დიდოსტატმა ლევ პოლუგაევსკიმ, რომელმაც ქალებთან 12 შეხვედრაში 8,5 ქულა მოაგროვა. მაიამ წლეულს მას გადააჭარბა და მომავალი წლის შეჯიბრებამდე რეკორდიც ეკუთვნის. მაგრამ გადააჭარბებს კი გაისად ვინმე მას?!

რაც შეეხება ჩინელ მსოფლიო ჩემპიონს, მან ძალიან კარგად ითამაშა (7 ქულა 12-დან), მაგრამ ეს ქალთა შორის მხოლოდ მესამე შედეგია. 7,5 ქულა მოაგროვა ჟუჟა პოლგარმა. რაც შეეხება ვაჟებს, მათ შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა სახელგანთქმულ ბენტ ლარსენს — 7,5 ქულა.

ერთი სიტყვით, ვითარება ქალთა ჭადრაკის „ოლიმპზე“ კვლავინდებურად მეტად მძაფრია. ყველა დიდი ინტერესით მოელის მატჩს მსოფლიო პირველობაზე, სადაც ნანა იოსელიანს კარგი შესაძლებლობა აქვს სძლიოს სიუ ჟუნს. ამასთან ერთად, უდავოდ კარგია მაია ჩიბურდანიძის საბრძოლო მზადყოფნაც. ბოლოს და ბოლოს, ისეთი რა ასაკია 32 წელი?! თუ აქამდე დაკარგული მსოფლიო ჩემპიონობა არც ერთ ქალს არ დაუბრუნებია, რატომ არ შეიძლება მაია ჩიბურდანიძემ ეს გააკეთოს?! იგი ხომ ერთი დიდი რეკორდის ავტორია — 17 წლის ასაკში მსოფლიოში უძლიერესი იყო. რა თქმა უნდა, არსებობს საჭადრაკო კანონები. მაგრამ გამონაკლისებიც ხომ არსებობს!

**გივი გამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს შვიდი საოცრება

ყოველწლიურად სილამაზის კონკურსში 300-მდე ქალიშვილი მონაწილეობს, რომლებიც ოცნებობენ გახდნენ ფოტომოდელები, მაგრამ ზოგჯერ პირველ ადგილზე გასულის ბრწყინვალე კარიერაც კი არაა გარანტირებული. მარტო ნიუ-იორკში ათასი ფოტომოდელი მუშაობს. ფოტოგადაღებაზე კი მხოლოდ გამორჩეულებს უხდიან დღეში 6-დან 7 მილიონამდე დოლარს (იმდენს, რამდენიც ვან გოგის სურათი ღირს).

„მსოფლიოს შვიდი საოცრება", შვიდი ქალიშვილი, რომელთა ზომებიც სრულყოფილია (90-60-90), გახდნენ თანამედროვე კულტურისა და ცივილიზაციის ფენომენები. ესენი არიან ლინდა ევანგელისტა, კრისტი ტარლინგტონი, ნაომი კემბელი, სინდი კროუფორდი, კლაუდია შიფერი, ჯესმინ გხაური და პაულინა პორიზკოვა. რაც მათ ეხერხებათ, ვერ გააკეთებს ვერ ერთი კინოვარსკვლავი და როკ-კერპი. მათ შეუძლიათ მილიონობით ადამიანის ყურადღება მიიპყრონ.

ახლა პირველ პლანზე გამოვიდა ფოტომოდელი. 70-იან წლებში ცნობილ მოდელების სახლებში გამოჩნდნენ არაჩვეულებრივი სილამაზის შავკანიანი ქალიშვილები. მათ იდეალური ზომების გარდა, მოიტანეს არატრადიციული მოძრაობის მანერები. მათმა თანდაყოლილმა გრაციამ გარდაქმნა ტანსაცმლის მოდელების დემონსტრაცია. დამთავრდა უსახელო პიროვნებების ერა. მთელმა ბიზნესმა ორიენტირება პიროვნების ინდივიდუალობაზე აიღო.

მთელს მსოფლიოში დარბიან საგენტოს „მონადირეები" დავალებით — ხალხში აღმოაჩინონ მომავალი ვარსკვლავი, რომელიც პირველი ჩვენებიდანვე მიიქცევს ყურადღებას.

გამოჩენილი მსახიობების კლიპებშიც გამოჩნდნენ ფოტომოდელები. ისინი აწყობენ თავისი თავის დემონსტრაციას მაიკლ ჯეკსონის, მადონას, ჯორჯ მაიკლის ტელედისკებში, რა თქმა უნდა, დიდ გასამრჯელოდ. ბევრი ფოტომოდელი წინადადებას იღებს კინორეჟისორებისგანაც. მაგალითად, პაულინა პორიზკოვა გადაიღეს ფილმებში: „ანა" და „მისი ალიბი", კერი ოტისი — ფილმში „ველური ორქიდეა". სინდი კროუფორდმა აღიარა, რომ ფოტომოდელის პროფესიამ დაღალა და უარს არ იტყოდა გახდეს მეორე ბარბარა უოლტერსი ამერიკულ ტელევიზიაში.

პოპულარული ფოტომოდელები მონაწილეობენ სასიკეთო აქციებშიც. მაგალითად, ბრძოლა სპიდთან, ქალების უფლებების დაცვა და ა. შ.







### № 1 ლინდა ევანგელისტა

მისი ელეგანტურობა. გერმანელია. 26 წლის. უყვარს ექსტრავაგანტური ნივთები. ამიტომ აღმერთებენ ძვირადღირებული მაღაზიების მფლობელები. ის წელიწადში თვითმფრინავით 150-ჯერ მოგზაურობს. უკრავს აკორდეონზე. გათხოვილია. მისი ქმარი პარიზში შეფობს ფირმა „ელიტ მოდელ მენეჯმენტს".



### № 2 კრისტი ტარლინგტონი

მისი ორიგინალობა. ამერიკელია. 22 წლის. ის ხშირად ჰყვება თავის კოლეგების კონფლიქტებზე. არ ამხანაგობს მოდელიერებთან. იმიტომ, რომ თვლის, მათ სულის სიღრმეში ეჯავრებათ ფოტომოდელები, რადგანაც ისინი ძვირად უჯდებათ. განთქმულია როგორც ფასიანი ფოტოების კოლექციის მფლობელი.

### № 3 ნაომი კემპბელი

მისი ღმერთქალი. შავკანიანი ინგლისელი. 22 წლის. მოსწონს, როცა მისი სილამაზით ტკბებიან. მან ხელი არ მოაწერა კონტრაქტებს კოსმეტიკის მწარმოებლებთან, რადგანაც თვლის, ამ დარგში რასისტული ჯნებები მეფობს. მას ხშირად შეხვდებით მსახიობ რობერტ დე ნიროს წრეში.



№ 4 სინდი კროუფორდი

მისი სექსი. მას ხშირად ეკითხებიან, ბავშვს ხომ არ ელოდება. არა, არ ელოდება. არ ალიზიანებს ხალხის ყურადღება, გაოცებულნი რომ მისჩერებიან მის ტანს. „ესეც ცოტა როდია", — ამბობს სინდი. მსოფლიოში არ არსებობს ქალი, ასე ხშირად რომ იღებდნენ. ამჟამად 26 წლის სინდიმ, როგორც მანეკენმა, წარმატებას მიაღწია პარიზის „შანელის" მოდელების სახლში.

№ 5 კლაუდია შიფერი

მისი ბუნებრიობა. გერმანელია. 21 წლის. მას „მეორე ბრიჯიტ ბარდოს" ეძახიან. ის პარიზის მოდების განთქმული კანონმდებლის კარლ ლაგერფელდის ყველაზე საყვარელი მოდელია. ძალიან მოწესრიგებულია და უყვარს ჟურნალისტები. ჟურნალისტებიც თავის მხრივ თავს იმტვრევენ კიდევ ვინ უყვარს კლაუდიას. დედა უეჭველად — მას კლაუდია ყოველდღე ურეკავს, მშობლიურ დიუსელდორფში.





№ 6 ჟასმინ გხაური

მისი ეგზოტიკა. პაკისტანელია, 21 წლის. გაიზარდა კანადაში, სადაც მისი გარეგნობა მეტისმეტად ეგზოტიკურად ითვლებოდა. სამაგიეროდ, ევროპაში დააფასეს ქალიშვილის ინდივიდუალობა. მას აუარებელი თაყვანისმცემელი ჰყავს. ცნობილია, ბელგიის კრონპრინცი ფილიპიც კი „სთხოვდა ტელეფონს". ჟასმინი ფრანგი მოდელიერის ვერსოს უსაყვარლესი ფოტომოდელია.

№ 7 პაულინა პორიზკოვას ფოტოს

ჟურნალი „ეხო პლანეტი", საიდანაც შემოკლებით გთავაზობთ ამ მასალას, არ აქვეყნებს.



წერილები თქვენს გამოხმაურებას ელიან

## იქნებ დედობას ვეღირსო

ქვრივს, რომელსაც ცოლად გავყევი, სამი წელი ვიცნობდი. იმდენი სითბო და ყურადღება გამოიჩინა ჩემდამი, თავი შემაყვარა და მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, ხუთი წელია მისი მეუღლე ვარ. ჩვენი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა არ განელებულა, მაგრამ... სხვათათვის უხილავი ჩრდილი და გულში ჩამალული ნაღველი, დაუოკებელი სურვილი დედობისა, მოსვენებას მიკარგავს. მიზეზი? საყვარელი მეუღლე, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგია შვილის ყოლისა (მას ჰყავს 16 წლის გოგონა, რომელსაც თავის საცოდავი ბებია არ გვანებებს).

იქნებ ამ საკითხზე თქვენს ჟურნალში დაბეჭდოთ წერილი, რომ ჩემს მეუღლეს აზრი შეაცვლევინოს, მეორე შვილის სურვილი გაუჩნდეს და ვიდრე ჯერ ახალგაზრდა ვარ (მე 26 წლის ვარ, მეუღლე ოცდაჩვიდმეტის), დედობას ვეღირსო.

თამარ მ.

## დედინაცვალი და ერთი კოვზი შაქარი

მეხუთე კლასში ვიყავი, მამამ დედინაცვალი რომ მომიყვანა (ახლა მეათე კლასში ვარ). ჩემი დედინაცვლის ჭულციობისა და მძიმე ხასიათის გამო, ისედაც ხევდიანი ბავშვი, ბეჩავი და გულჩათხრობილი გავხდი. საკუთარ მამისეულ ოჯახში თავს ისე ვგრძნობ, როგორც სტუმარი ან შინამოსამსახურე.

ჩემი სურვილით პურს ვერ მოვიტეხ და საჭმელს ვერ გადმოვიღებ ქვაბიდან. დედინაცვალი ერთი კოვზი შაქრით თავად მიშაქრავს ჩაის (თავის ჭიქას კარგად ატკბობს). ერთხელ, როდესაც მაგიდიდან რაღაცისათვის წამოდგა, ჩემს ჭიქას ხელი დავტაცე და დედინაცვალს შევუცვალე. ჩაი რომ მოსვა, სულ არ ჰქონია სიტკბო ამ შაქარსო, — ჩაილაპარაკა და ორი კოვზი კიდევ დაიმატა. მე ჩემი ჩაი უცებ გადავღვარე, იმ დღის შემდეგ ჩაის სმაც ავიკრძალე და მოსვენებაც დავკარგე.

მაია ოზოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემთვის იღბლიანი წელიწადი






ცნობილ სპორტსმენს, ნინო სალუქვაძეს ბინაზე ვესტუმრე. იქ ნინოს დედმამა — ქალბატონი ნანული, ბატონი ვახტანგი და ნინოს მეუღლე, გოჩა მაჭავარიანი დამიხვდნენ. მათ სტუმართმოყვარე ოჯახს დიდი ხანია ვიცნობდი, გოჩა კი ახლა გავიცანი. იგი სპორტსმენია, რეგბისტი. აფხაზეთის ომში მთელი გუნდი წავიდა. გოჩა მძიმედ დაიჭრა. როგორც კი გამოჯანმრთელდა, ახალგაზრდებმა ჯვარი დაიწერეს. ახლა სპორტზე ვეღარც კი იფიქრებს, ალბათ, გეოლოგის პროფესიას დაუბრუნდება.

ნინოს ახალ ოჯახზე ვეკითხები. მაინტერესებს როგორ შეეგუა ნებივრად გაზრდილი დედისერთა ახალ პირობებს.

— მაჭავარიანებმა ისე თბილად მიმიღეს, ახალ ოჯახს უცებ შევეგუე. თქვენ წარმოიდგინეთ, დედა ყოველ მოსვლაზე იმას მარიგებს, ქმრის ოჯახში არავის აწყენინოო.

ყველა დედა ასე რომ მოძღვრავდეს ქალიშვილს, ალბათ, რძალ-დედამთილობაში მეტი სითბო და გაგება იქნებოდა.

**— შენს თაროებზე მედლების მთელი კოლექციაა. 24 წლის ასაკში ამდენი ჯილდო დიდი ბედნიერებაა. როგორც ვიცი, მამამ გაგიყვანა სპორტის დიდ გზაზე, რამ განაპირობა გოგონა მსროლელად რომ გაგზარდა?**

— უბრალო შემთხვევამ, პირველად 13 წლისამ ვისროლე და თურმე ვირტუოზულად. მაშინ მამას უბრალოდ დამთხვევა ეგონა, მაგრამ მერე ყოველ დღეს წარმატება მოჰქონდა და მწვრთნელის ალღომ მიახვედრა, რომ ჩემგან კარგი სპორტსმენი დადგებოდა.

**— ნინო, რამდენ საათს ვარჯიშობ და განსაკუთრებული კვება თუ გჭირდება?**

— ყოველ დღე 3 საათს ვვარჯიშობ. ძალიან მეღლება თვალები და ხელები. კვება, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულია: დიდი რაოდენობით კალორიები, ვიტამინები, წვენები.

**— როგორც ვიცით, 1988 წელს სეულში, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონატის პრიზიორი გახდი. მაშინ 19 წლის იყავი და იქიდან მოყოლებული სულ პრიზები და პირველი ადგილები ჩამოგქონდა, 1992 წელს კი ბარსელონაში მეორე ადგილზე გამოხვედი, რამ შეგიშალა ხელი?**

— 1990 წლიდან მოყოლებული, საქართველოში არასტაბილური მდგომარეობისა და მაშინდელი მთავრობის უყურადღებობის გამო, სპორტი აღარავის აინტერესებდა, ამიტომ ჩვენმა სპორტსმენებმა ადგილები დაკარგეს მსოფლიო ჩემპიონატებში. იქ მონაწილეობისათვის ჯერ ესენგეს ნაკრებში უნდა შესულიყავი და მერე გეძლეოდა უფლება მსოფლიო ასპარეზობაზე. 1992 წელს სამი დიდი შეჯიბრი გავიარე მოსკოვში და დაღლილი ჩავედი ბარსელონაში, თან იარაღი გამიფუჭდა. თბილისში ყველა უკმაყოფილოდ მეკითხებოდა, რატომ მეორე ადგილიო...

**— როგორია შენთვის მიმდინარე წელიწადი?**

— მართალია, საქართველოში ომი და ეკონომიკური კრიზისია, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს წელი წარმატებებით დაიწყო. ჯერ ერთი, თებერვალში გავთხოვდი და ძალიან მიყვარს ჩემი მეუღლე, მეორე — ახლახანს დავბრუნდი იტალიიდან, სადაც მსოფლიოს თასის გათამაშებაზე სროლაში პრიზი ავიღე.

**— რას აპირებ ახლო მომავალში?**

— აგვისტოში ევროპის ჩემპიონატზე მივდივარ ჩეხოსლოვაკიაში. მერე, ომი რომ დამთავრდება, სპორტსმენებს დიდი გეგმები გვაქვს...

**— რამდენი შვილი გინდა რომ გყავდეს?**

— დედისერთა ვარ და სამს ვინატრებდი...

**— ღმერთმა გისმინოს!**

**ირმა ჩოფიკაშვილი**

# პაწაწა ქალური საიდუმლოებანი

## წარმატება თქვენს ხელთაა

გინდათ წარმატებას მიაღწიოთ საყვარელ მამაკაცთან? რა თქმა უნდა, გინდათ. მაშინ გულდასმით წაიკითხეთ და გამოიყენეთ ფსიქოლოგ მარგარეტ ქენთის ათი პრაქტიკული რჩევა:

1. ნუ იქნებით ექსტრავაგანტული, თუ არ ეძებთ ასეთსავე მამაკაცს.
2. ნუ შეიჭრით თმას ძალიან მოკლედ.
3. თუ თმისათვის ლაქს ხმარობთ, ეცადეთ არ იყოს წებოვანი ან მძაფრსუნიანი, თან დაისხით რაც შეიძლება ცოტა.
4. თუ თმაში ჭაღარა გამოგერიათ, აუცილებლად შეიღებეთ. მამაკაცების უმრავლესობას არ უყვარს ჭაღარა თმა. თმა სისტემატურად იღებეთ, შეუღებავი თმის ძირები, ძალიან არასასიამოვნოა მამაკაცის თვალისათვის.
5. ეცადეთ თმა რბილი და მბზინავი გქონდეთ.
6. ნუ ატარებთ შენობაში ქუდს. მამაკაცებს უყვართ ქალის თმის ცქერა.
7. არასოდეს დაიხვიოთ თმა მამაკაცის თანდასწრებით.
8. ნუ დაიხვევთ თმას ქიმიური საშუალებებით.
9. გადახალისების მიზნით შეიმოკლეთ თმის ძირები.
10. შეეცადეთ გქონდეთ ისეთი ვარცხნილობა, რომ მამაკაცს აღძრას სურვილი მიუალერსოს თქვენს თმას.

წიგნიდან „როგორ გავთხოვდეთ საყვარელ მამაკაცზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულინარია კულინარია

# გერმანული ნუგბარი

## ქაცვის ჟელე

500 გრამი ქაცვი გარეცხეთ, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაფარეთ წყლით და ხარშეთ 20 წუთის განმავლობაში. შემდეგ გაწურეთ, წვენს დააყარეთ შაქარი, შედგით ცეცხლზე და კოვზითურიეთ და ადუღეთ ვიდრე წვენი შესქელდება. მიღებული ჟელე მოათავსეთ მინის ქილაში, გაცივების შემდეგ მოხუფეთ. საწურზე დარჩენილი ქაცვი გაატარეთ საცერში, დააყარეთ მცირეოდენი შაქარი, წამოადუღეთ და მიიღებთ მშვენიერ ჯემს.

## დაშაქრული შინდი

მასალა: 500 გრამი მსხვილი შინდი, 700 გრამი შაქარი, მცირეოდენი შაქრის პუდრი.

შინდი მოათავსეთ მომინანქრებულ თასზე, დაასხით 1 ჭიქა ცხელ წყალში გახსნილი 300 გრამი შაქრის ხსნარი, კარგად წამოადუღეთ, გადმოდგით ცეცხლიდან და დატოვეთ მეორე დღემდე. მეორე დღეს შინდი ამოიღეთ ქაფქირით, მოათავსეთ ცალკე ჭურჭელში, დარჩენილ ხსნარს დაუმატეთ 100 გრამი შაქარი, კვლავ წამოადუღეთ, ცხელი ხსნარი დაასხით შინდს და დატოვეთ მეორე დღემდე. მეორე დღესაც იგივე გაიმეორეთ და ეს პროცედურა შეასრულეთ იმდენჯერ, ვიდრე შაქარს მთლიანად დახარჯავთ. შემდეგ შინდი ხსნარში დატოვეთ რამდენიმე (2-3) დღე. ბოლოს შეათბეთ, მოათავსეთ საწურზე და გააჩერეთ უკანასკნელი წვეთის ჩამოწურვამდე. წვენისგან დაწრეტილი შინდი სათითაოდ დაალაგეთ სუფთა ფიცარზე გასაშრობად, გამშრალი შინდი ამოავლეთ შაქრის პუდრში.

## კომშის ჟელე

1 კილო კომში გარეცხეთ, დაჭერით თხელ და პატარა ნაჭრებად ისე, რომ გული არ მოაცილოთ, მოათავსეთ წვენსაწურში, გამოწურეთ, წვენი აწონეთ, დააყარეთ იმავე რაოდენობის შაქარი, შედგით ცეცხლზე და კოვზის მუდმივი მორევით ადუღეთ შესქელებამდე (კომში შეიცავს ბევრ პექტინს, ამიტომ სწრაფად სქელდება). თბილი ჟელე მოათავსეთ ქილაში, გაცივების შემდეგ დააფარეთ ზემოდან არაყში დასველებული პერგამენტის ქაღალდი და მოხუფეთ.

## ხურტკმელის ლიქიორი

მასალა: 500 გრამი ხურტკმელი, 100 გრამი შაქარი, 0,5 ლიტრი არაყი.

გარეცხილი ხურტკმელი ჩაყარეთ ბოთლში, დააყარეთ შაქრის ფხვნილი, დაასხით არაყი, რამდენიმე კვირის შემდეგ გაწურეთ, მოათავსეთ სხვა ბოთლში და რამდენიმე დღის შემდეგ მოიხმარეთ.

გერმანულიდან თარგმნა
**თენგიზ ბეჟაშვილმა**



## თევზი ზეთში

1 კილო წვრილი თევზი (ხამსა ან მოივა), გასუფთავეთ, გარეცხეთ, ფენა-ფენა ჩააწყვეთ მომინანქრებულ ქვაბში (ყოველი ფენის შემდეგ მოაყარეთ მცირეოდენი მარილი და შავი პილპილი), დაასხით 1 ჩაის ჭიქა ზეთი, შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე და მოთუშეთ. თევზს ამორევა არ სჭირდება. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ შეამოწმეთ თუ მზადაა, გადმოდგით, გააცივეთ, და შემდეგ შედგით მაცივარში.

## თევზი ტომატში

1 კილო რომელიმე სახეობის თევზი გარეცხეთ, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ფენა-ფენა ჩაალაგეთ ქვაბში, ფენასა და ფენას შუა დააყოლეთ ზეთში მოშუშული ხახვი, მარილი, მცირეოდენი შავი პილპილი, დაასხით 1 ჩაის ჭიქა შინ მომზადებული პამიდვრის წვენი ან 1 ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი 2-3 სუფრის კოვზი ტომატი-პასტა, დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა ზეთი, შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე და ადუღეთ 20-25 წუთის განმავლობაში (შეამოწმეთ, იქნებ უფრო ადრეც მომზადდეს).

## თევზი კარტოფილით

1 კილო ნებისმიერი სახის ნაკლებად ფხიანი თევზი (უმჯობესია თევზის „ფილე“) დაჭერით, შეწვით ზეთში ჩვეულებრივი წესით, შემწვარი თევზის ნაჭრები ჩააწყვეთ ქვაბში, ფენა-ფენა, ფენასა და ფენას შუა დაუმატეთ ზეთში მოშუშული ხახვი, შემწვარი კარტოფილი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში. დაასხით 1 ჩაის ჭიქა შინ მომზადებული პამიდვრის წვენი ან 1 ჭიქა წყალში გახსნილი 2-3 სუფრის კოვზი ტომატი-პასტა, შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე და წამოადუღეთ 5 წუთი. მზა თევზი გადმოიღეთ შესაფერის ჭურჭელში და ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა ან ოხრახუში.

## სალათი „რამე-რუმე“

მასალა 300 გრამი ბულგარული წიწაკა, 500 გრამი ბადრიჯანი, 300 გრამი ახალი კიტრი, 2 თავი ხახვი, 3-4 კბილი ნიორი, 20-30 გრამი კამა, 20 გრამი ახალი ქინძი, 2 სუფრის კოვზი ძმარი, 100 გრამი ზეთი.

გარეცხეთ ბადრიჯანი, დასერეთ სიგრძეში დანით, ოდნავ დაამარილეთ, მოათავსეთ თასზე, დაადგით ზემოდან სიმძიმე, 10-15 წუთის შემდეგ გამოწურეთ, გარეცხეთ, დააწყვეთ ტაფაზე, დაახურეთ თავსახური ტაფას, დადგით ნელ ცეცხლზე და შეწვით. შემდეგ ფრთხილად შემოაცალეთ კანი, შემწვარი ბადრიჯანი დაკეპეთ, შეაზავეთ ძალიან თხლად და წვრილად დაკეპილი ხახვით, დანაყილი ნივრით, წვრილად დაჭრილი ქინძით, 50 გრამი ზეთით და ხიზილალა მოათავსეთ გაშლილი თეფშის შუაგულში.

თესლგამოცლილ შემწვარ წიწაკას უყავით მცირეოდენი მარილი, მოასხით ძმარი და ზეთი, წიწაკის გული ამოავსეთ პატარა ოთხკუთხედ ნაჭრებად დაჭრილი ახალი ქინძით შეზავებული კიტრით, შემოუწყვეთ ირგვლივ ბადრიჯნის ხიზილალას და შემდეგ შეალამაზეთ ლამაზად დაჭრილი პამიდვრით.

ყθ - 16/2

ეროვნული ბიბლიოთეკა






# კროსვორდი

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. საცხოვრებელი სადგომი — სახლის სხვენზე. 6. სქელი ქსოვილის მსგავსად დამზადებული მოთელილი მატყლი. 9. წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისაგან გაკეთებული კერძი. 10. მეორე საუზმე ინგლისში, ამერიკასა და ზოგ სხვა ქვეყანაში. 11. ძვირფასი ნივთეულობა, განძი, საუნჯე ძველად. 12. განსაკუთრებით მდიდრულად მოწყობილი რისამე აღნიშვნა. 13. სიმღერა ერთი ხმისათვის. 14. შერეული შემადგენლობის ორკესტრი, რომელშიც სჭარბობს ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები. 15. ზ. ფალიაშვილის ოპერა. 17. იაპონური პოეზიის უძველესი ჟანრი. 21. მინერალური წყალი საქართველოში. 22. საზოგადოების ზედაფენა, „რჩეული" საზოგადოება. 23. მთათა სისტემა ციმბირში. 25. ქაშაყისებრთა ოჯახის თევზი. 28. ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ერთ-ერთი ქალღმერთთაგანი ბერძნულ მითოლოგიაში. 30. დ. თორაძის ოპერა. 31. ზოგ დიდ მამათა მონასტრის სახელწოდება. 32. კოლოფი, რომელსაც იაპონელები ჯიბით ატარებენ, მასში უდევთ ბეჭედი, რომელზედაც პატრონის გვარის აღმნიშვნელი იეროგლიფებია ამოტვიფრული. 33. რაიმე საკითხთან საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები, ერთად შეკრებილი. 34. კარგ პირზე ამობურცული სახეების მქონე ბამბის ან ხელოვნური აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი. 35. ძველი ხალხური თქმულება ღმერთებსა და გმირებზე, სამყაროს შექმნასა და სიცოცხლის წარმოშობაზე. 36. ბერძენი მსახიობი ქალი, რომელმაც აანთო XXII ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი ოლიმპიაში.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სახელმწიფო კარიბის ზღვაში. 2. მექსიკური ფილმის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახელი. 4. ქართველი მოქანდაკე ქალი. 5. უცხოეთში მცხოვრები ქართველი ისტორიკოსი, ქართველოლოგი, ქველმოქმედი ქალი. 6. ძვირფასი ქსოვილის, ბეწვმოვლებული მამაკაცის ზედა სამოსელი. 7. დესერტი. 8. ტუალეტისა და პირადი მოხმარებისათვის საჭირო სხვადასხვა წვრილმანი ნივთი. 16. ოპერა „სევილიელი დალაქის" პერსონაჟი. 18. ხალხური გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი. 19. ქართველი პოეტი ქალი. 20. სპორტის რაიმე სახეობაში პირველობაზე გამართული შეჯიბრება. 24. ქალების ცეკვა თითის წვერებზე. 25. ქალის ტანსაცმელი ფართო-გრძელი წამოსასხამი, რომელსაც აქვს პელერინი და ხელის გასაყოფი ჭრილები, მოდაში იყო მე-19 ს-ში. 26. ქალის ძვირფასი სამკაული — ღია გვირგვინი. 27. უნებლიე შეცდომა. 29. ს. რახმანინოვის ოპერა.

შეადგინა ᲪᲘᲐᲚᲐ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲛᲐ.

„საქართველოს კალ... მხატვარ თამარ მინაშვილის



ფასი 50 000 კუპ.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
შ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68;
ცნობებისათვის
98-95-79.

მასალები გადაეცა ასაწყობად 19. 07. 93 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად
7. 03. 94 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი
6 000. შეკვ. 1122.

ინდექსი 76178

